მარიკა ოძელი

ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები

MÀRIKA ODZELI

FRAMEWORK OF REFERENCE FOR CRITICISM

თბილისი - Tbilisi
2008

ნაშრომში წარმოდგენილია ლიტერატურული ფაქტებისა და ანალიზის კლასიფიკაციის მოდელები კომპიუტერული საძიებო სისტემისათვის და მოცემულია მათი ენციკლოპედიური განმარტებები; ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურული ურთიერთობა და თარგმანი მათი კვლევის დარგებისა და მეთოდების საფუძველზე სისტემატიზებულია ზოგადლიტერატურული პროცესისა და მისი შესწავლის ფონზე.

Models of classification of literary facts and analysis for a computer search engine with their encyclopaedic explanations are given in the paper. A systematization of general and comparative literature, literary relations and translation on the bases of the branches and methods of their research are presented against the background of literary process and its study.

რედაქტორი ვოვა კიკილაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რაჟდენ ნინუა

Editor Vova Kikilashvili
Technical editor Razhden Ninua

ISBN 978-9941-0-0958-7

შინაარსი

შესავალი
ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები 5

ნაწილი I
ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

მხატვრული ლიტერატურა და მისი კვლევა 11
ლიტერატურული კომუნიკაცია 23
მსოფლიო ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა 32

ნაწილი II
ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის კომპიუტერული დამუშავება

კომპიუტერული საძიებო სისტემები და მათი ენციკლოპედიური განმარტებები 49
ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა 50
ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა 51
შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა 52
ლიტერატურული ურთიერთობა და მისი კვლევა 53
თარგმანი და თარგმანმცოდნეობა 54

მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი 55

დავალებები
დამოუკიდებელი მუშაობისათვის 83
შენიშვნები 87
ბიბლიოგრაფია 91

CONTENTS

INTRODUCTION
FRAMEWORK OF REFERENCE FOR LITERATURE AND LITERARY CRITICISM 5

PART I
LITERATURE AND LITERARY CRITICISM

Fiction and its Study 11
Literary Communication 23
World Literary Process and its Study .....

PART II
COMPUTER DEVELOPMENT OF LITERARY AND CRITICAL MATERIAL

COMPUTER SEARCH SYSTEMS WITH THEIR ENCYCLOPAEDIC DEFINITIONS 49

Literary Process and its Study 50
General Literature 51
Comparative Literature 52
Literary Relations and its Study 53
Translation and Science of Translation 54

BRIEF ENCYCLOPAEDIC DICTIONARY 55

TASKS
for Independent Work 83
NOTES 87
BIBLIOGRAPHY 91

ჩემი სათაყვანებელი და საამაყო დედის – ნანა დავითიშვილის ხსოვნას ვუძღვნი ამ ნაშრომს.

შესავალი

ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები

წინამდებარე ნაშრომში ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემატიკა წარმოჩენილია ინტერკულტურულ ჭრილში და ჰუმანიტარული დისციპლინების ფონზე. მას აქვს როგორც თეორიული ხასიათი, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენ შეეცადეთ ლიტერატურათმცოდნეობის დარგებისა და კვლევის მეთოდების სისტემატიზაციასა და ორგანიზაციას, რისთვისაც გამოვიყენეთ საინფორმაციო ტექნოლოგიები და შევიმუშავეთ კომპიუტერული მოდელები, რომლებიც შემდგომში შეიძლება ლიტერატურულ და ლიტერატურათმცოდნეობით მონაცემთა ბაზების საფუძველი გახდეს.

კომპეტენცია (ლათ. Competentia), როგორც ტერმინი, ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი ცოდნის ფარგლების აღმნიშვნელად შემოვიტანეთ. თუ გავიხსენებთ, ლიტერატურული კომპეტენციის შესანიშნავი ნიმუშია გურამ დოჩანაშვილის *კაცი, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა*. ეასიკო კეცერაძე იყო პიროვნება, რომელსაც შეეძლო ეცხოვრა სხვადასხვა გმირის ცხოვრებით, გაეზიარებინა მათი მწუხარება თუ სიხარული, ემოგზაურა დროში; ერთი სიტყვით, იყო კარგი მკითხველი, ლიტერატურის დიდი მოყვარული და დამფასებელი. კაცს, რომელსაც უყვარდა წიგნი და მისი კითხვა, ძნელად ესმოდა, თუ როგორ შეიძლებოდა ადამიანს არ ჰყვარებოდა კითხვა და მისი ნება რომ ყოფილიყო, იძულებით ზომებს მიმართავდა, რომ არამკითხველი სასოგადოებისათვის წიგნის კითხვა შეეყვარებინა იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს პირადად განეცადა წიგნის კითხვით მიღებული ტკბობა, რაც მისი აზრით, პიროვნებას ხელს შეუწყობდა, რომ გონებით ამაღლებულიყო საკუთარ თავზე.

ლიტერატურის მოყვარული კითხულობს როგორც ეროვნულ, ასევე უცხოეროვნულ მწერლობას. რამდენადაც ენობრივი კომპეტენციები აძლევს მას საშუალებას, კითხულობს ორიგინალის ენაზე, სხვა შემთხვევაში კი თარგმანში ეცნობა მხატვრულ ქმნილებას. ასე რომ, ორიგინალურ მწერლობასთან ერთად, მხატვრულ თარგმანს დიდი ფუნქცია აკისრია პიროვნების კულტურული თუ ინტერკულტურული კომპეტენციების გაფართოებაში.

ლიტერატურა კულტურის ის სფეროა, რომელიც თანაბრად იზიდავს სხვადასხვა პროფილისა და ინტერესის ადამიანებს. ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები კი პროფესიული დონეა. კაცს, რომელსაც ძლიერ უყვარდა ლიტერატურა, ასევე ძლიერ უყვარდა თავისი პროფესია. იგი თავისუფლად ფლობდა პროფესიულ კომპეტენციებსაც – ფოტოხელოვნების უბადლო მცოდნე გახლდათ.

ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციები განისაზღვრება მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურული პროცესის ფლობისა და კვლევის უნარით. აქვე დავძენთ, რომ ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციების ფლობა ჰუმანიტარულ დისციპლინათა ფართო სპექტრის ცოდნას მოითხოვს, ვინაიდან დღესდღეობით ლიტერატურათმცოდნეობა ინტერდისციპლინარულ ხასიათს ატარებს.

* * *

ამ სახელმძღვანელოს მომხმარებლები მიიღებენ თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ცოდნას და შეძლებენ თავიანთი ლიტერატურათმცოდნეობითი კომპეტენციების გაფართოებას. მასში გათვალისწინებულია მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობის მიღწევები და შემსწავლელებისათვის დამოუკიდებელი ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ჩვეულების ჩამოყალიბებისა და განვითარების მოთხოვნა.

პირველ ნაწილში, ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა, წარმოდგენილია თეორიული მოსაზრებები მხატვრული ლიტერატურის, ლიტერატურული პროცესისა და მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების შესახებ; ასევე დამუშავებულია ის კომუნიკაციური მოდელები, რომლებშიც მოცემულია მწერლის, ნაწარმოებისა და მკითხველის ურთიერთმიმართების საკითხი. მეორე ნაწილში, *ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის კომპიუტერული დამუშავება*, სისტემატიზირებულია მსოფლიო ლიტერატურის შემადგენელი კომპონენტები, ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დარგები და კვლევის მეთოდები, მომიჯნავე ჰუმანიტარული დისციპლინები; კლასიფიცირებულია ლიტერატურულ ურთიერთობათა ფაქტები. ასევე სისტემაშია მოყვანილი თარგმანი და მისი შემსწავლელი მეცნიერება თარგმანმცოდნეობა. ყოველივე ეს წარმოდგენილია კომპიუტერული მოდელების სახით (სულ ხუთი მოდელი), რომლებსაც ახლავს საძიებო სისტემების მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. მოდელები მხოლოდ ძირითადი ველებით არის ნაწილობრივ შევსებული, რაც შემსწავლელებს მისი მუდმივი გავრცობის საშუალებას მისცემს თავიანთი მოპოვებული თეორიული თუ ფაქტობრივი მასალით, ახალი მოდელებით, ახალი ველებით. მოდელებში შეტანილი მასალის შესაბამისად მათ ასევე უნდა გააკრცონ ენციკლოპედიური ლექსიკონი საკუთარი განმარტებებით. ყოველივე ეს კი მოძიებული და დამუშავებული მასალის შენახვასა და

მის პერმანენტულ დახვეწას, ახლებურად გადამუშაებასა და სისტემატურ შეცვლას განაპირობებს.

მიგვაჩნია, რომ ამ სახის სამუშაო სასარგებლო იქნება სტუდენტებისათვის და სწორედ სტუდენტები გახდებიან ლიტერატურათმცოდნეობაში კომპიუტერიზაციის პროცესის წარმმართველები. ვიმედოვნებთ, რომ ეს სახელმძღვანელო პრინციპები ასევე საინტერესო იქნება ლიტერატურის მკვლევართათვის, ლიტერატურის თეორეტიკოსების, ლიტერატურის მასწავლებლებისა და ლიტერატურის მოყვარულთათვის.

სახელმძღვანელოს დართული აქვს დავალებები სემინარული მეცადინეობისათვის, შენიშვნები და ბიბლიოგრაფია.

ჩართალია, ეს ნაშრომი წიგნად 2008 წელს იბეჭდება, იგი გაცილებით ადრე დასრულდა. შექმნის პროცესში, ანუ მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების გასაყარზე, იგი პილოტირებას გადიოდა ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრანტებთან, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი მისი საბოლოო სახით ჩამოყალიბებას.

ნაწილი I

ლიტერატურა და ლიტერატურათმცოდნეობა

მხატვრული ლიტერატურა და მისი კვლევა

კულტურა, როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს აერთიანებს, ხოლო სუფლიერი კულტურა ხელოვნების სხვადასხვა დარგს მოიცავს. მათ შორისაა ლიტერატურა, მხატვრობა, ქანდაკება, გრაფიკა, თეატრი, ქორეოგრაფია, მუსიკა, არქიტექტურა, გამოყენებითი და დეკორატიული ხელოვნება, ფოტოხელოვნება, ცირკი, კინო, ტელევიზია. ასახვის საშუალებების მიხედვით ისინი შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს – სამემრულებლო და არასამემრულებლო ხელოვნებად. პირველი – ესთეტიკური ზემოქმედებისათვის საჭიროებს ხელოვანს, რომელმაც აუდიტორიას უნდა მიაწოდოს შემოქმედებითი ქმნილება (თეატრი, მუსიკა, ქორეოგრაფია...), მეორე კი ავტორსა და აუდიტორიას შორის არ საჭიროებს შემოქმედებით შუამავალს (ქანდაკება, მხატვრობა...). თავდაპირველად, როდესაც ლიტერატურა მხოლოდ ზეპირსიტყვიერების სახით არსებობდა, ალბათ უფრო საშემსრულებლო ხასიათს ატარებდა, ხოლო მწერლობის განვითარებასთან ერთად არასამემსრულებლო ფუნქცია იტვირთა – მხატვრულ ლიტერატურასა და მკითხველს შორის არსებული უშუალო კავშირის გამო (თუმცა მისი საშემსრულებლო ფორმა კვლავაც აგრძელებს არსებობას ფოლკლორის სახით). ლიტერატურას ხელოვნების სისტემაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს და არსებით გავლენას ახდენს მისი სხვა დარგების განვითარებაზე.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიმართულია სიტყვის ხელოვნებაზე. ხელოვნების ეს სახეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეპირსიტყვიერების საფუძველზე აღმოცენდა და სიტყვის მხატვრული გამოყენებით საკუთარი ფორმა შეიმუშავა. მას შემდეგ მხატვრული სიტყვა სხვადასხვა ენობრივი ფონდის საშუალებით სხვადასხვაენოვან ლიტერატურას ქმნის. იქმნება მხატვრული, ტექნიკური, სამეცნიერო, პუბლიცისტური, საცნობარო, ლექსიკოგრაფიული, ენციკლოპედიური, ეპისტოლარული და სხვა სახის ლიტერატურა, მაგრამ ტერმინი *ლიტერატურა* უპირველესად მხატვრულ ლიტერატურას, მწერლობას აღნიშნავს. ლიტერატურაში სიტყვა აზროვნების ფორმა, მისი აზრის გამოხატვის საშუალება და ხატოვანების საფუძველია. მხატვრულ ლიტერატურას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს და აქედან გამომდინარეობს მისი პოლიფუნქციური ხასიათი – საზოგადოებრივი, შემეცნებითი, მხატვრული, წინასწარმეტყველური, ევრისტიკული, აღმზრდელობითი, ესთეტური, ინფორმაციული, კომუნიკაციური...

ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტების ერთობლიობა ქმნის ლიტერატურას, ლიტერატურის შიგნით კი გამოიყოფა მხატვრულ ნაწარმოებთა კორპუსი, ანუ მხატვრული ლიტერატურა. მეთვრამეტე საუკუნემდე *ლიტერატურა*, როგორც ტერმინი, არ იხმარებოდა. მის ნაცვლად *პოეზიას* იყენებდნენ. ბევრი მსჯელობაა იმის გარშემო, თუ რით განსხვავდება მხატვრული ლიტერატურა წერილობითი ძეგლებისგან. ლიტერატურის, როგორც ხელოვნების დარგის განმარტება, მომდინარეობს ჰეგელის განსაზღვრებიდან, რომ ხელოვნება დაშლილია ნაწარმოებებად, *რომლებსაც ჰქვია ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფის ხასიათი; მის შემქმნელ სუბიექტად და მის მჭვრეტელ და თაყვანისმცემელ სუბიექტად...*[1] მხატვრულ ლიტერატურასთან მიმართებაში, ჩვეულებრივი, ყოფითი ხასიათის მქონე ნაწარმოები არის მხატვრული ნაწარმოები, ნაბეჭდი ან ხელნაწერი ტექსტი; მისი შემქმნელი სუბიექტი – ნაწარმოების ავტორი, ხოლო მისი მჭვრეტელი და თაყვანისმცემელი სუბიექტი – წიგნის თუ ხელნაწერის მკითხველი.

ამგვარად, *მხატვრული ლიტერატურა* შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სქემით:



ჰეგელის განმარტების თანახმად, *მხატვრული ლიტერატურა*, როგორც სიტყვის ხელოვნების სახეობა, წარმოადგენს სისტემას. ტერმინი *სისტემა* მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან systema, რაც ნაწილებისგან შემდგარ მთლიანობას აღნიშნავს, მაგრამ მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე მეტია. თვით მხატვრული ნაწარმოები გარკვეული სისტემის (ავტორი – ნაწარმოები – მკითხველი) ნაწილია, ვინაიდან მას ჰყავს ავტორი და ჰყავს მკითხველი.

ხელოვნებასთან მიმართებაში მხატვრული ლიტერატურა არ არის ქვესისტემა. ჩვენში ფართოდ გავრცელებული გამოთქმა *ლიტერატურა და ხელოვნება* იძლევა იმის საშუალებას, რომ ლიტერატურა დამოუკიდებლად იქნეს განხილული ხელოვნების ანალოგიით და არა როგორც მხოლოდ მისი შემადგენელი ნაწილი.

მხატვრული ტექსტის, როგორც ცნების, საყოველთაოდ მიღებული, ერთმნიშვნელოვანი განმარტება ჯერჯერობით არ არსებობს. იური ლოტმანმა დასვა ასეთი

[1] Гегель Г., Энциклопедия философских наук. Философия духа, М., 1977. с. 383.

შეკითხვა: *როგორი ტექსტები ითვლება მხატვრულად და როგორი ტექსტები არ ითვლება მხატვრულ ნაწარმოებად? პასუხის სირთულე ყველასთვის ნათელია. ამის თაობაზე როგორც კი ჩამოაყალიბებ ნებისმიერ კანონს, მაშინვე აღმოჩნდება უამრავი გამონაკლისი ლიტერატურის ისტორიაში და ისეთი გამონაკლისები, რომ ჩამოყალიბებულ კანონს იქვე გააბათილებს.*[1] ამის მიუხედავად, ლოტმანმა გამოჰყო ტექსტის ფუნქციონირების ოთხი შესაძლებლობა:

მწერალი ქმნის ტექსტს, როგორც ხელოვნების ნიმუშს და მკითხველიც ამგვარადვე იღებს მას.

მწერალი ქმნის ტექსტს, არა როგორც ხელოვნების ნიმუშს, მაგრამ მკითხველი მას ესთეტიკურად აღიქვამს (მაგალითად, ძველი და შუასაუკუნეების ლიტერატურის საკრალური და ისტორიული ტექსტები).

მწერალი ქმნის მხატვრულ ტექსტს, მაგრამ მკითხველს არ შესწევს უნარი გააივოს ივი მისთვის ცნობილ რაიმე ისეთ სახეობებთან, რომლებითაც მისთვის მხატვრულობის გაგება ამოიწურება და მას არამხატვრულ ინფორმაციად აღიქვამს.

ეს შემთხვევა ტრივიალურია: ავტორის მიერ შექმნილი არამხატვრული ტექსტი მკითხველის მიერ აღიქმება როგორც არამხატვრული.

ზემოაღწერილი შემთხვევები წარმოადგენენ ურთიერთმიმართების *ავტორი –ტექსტი* და *ტექსტი –მკითხველი* ურთიერთობის ვარიანტებს და მათ აქვთ საერთო რგოლი *–ტექსტი.*[2]

ასე რომ, *სისტემა* მოიაზრება, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში მყოფი ელემენტებისაგან შემდგარი ერთობლიობა, გარკვეული მთლიანობა. ელემენტებს კავშირის გარდა ახასიათებს იერარქიულობა, რაც სისტემის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებას წარმოადგენს. როდესაც ჰეგელი წერდა ჯერ ნაწარმოებზე და შემდეგ მის შემქმნელსა და ნაწარმოების აღმქმელ სუბიექტზე, ივი ადგენდა არა მარტო ელემენტების განლაგებას სისტემაში *ხელოვნება*, არამედ იერარქიასაც, რომელიც განპირობებულია სამი ელემენტიდან თითოეულის ფუნქციით. ელემენტების წყობა სისტემაში *ლიტერატურა* ემთხვევა იმ პირდაპირ და უკუ კავშირებს, რომლებიც მიმართულია ავტორიდან მკითხველისაკენ და მკითხველიდან ნაწარმოების გავლით ავტორისაკენ. მათ გარეშე მხატვრული ლიტერატურის არსებობა შეუძლებელია. პირდაპირი კავშირის დარღვევა იწვევს კომუნი-

[1] Лотман Ю. М., Структура художественного текста, М., 1970, с. 346.

[2] იქვე, გვ. 346.

კაციის პროცესის გაწყვეტას, ხოლო უკუ კავშირის დარღვევა გამორიცხავს ტექსტის, როგორც ლიტერატურული ნაწარმოების ფუნქციონირებას. პირდაპირი და უკუ კავშირების იდეა გახდა მიხეილ ბახტინის *დიალოგიზმის*[1] კონცეფციის ერთ-ერთი საკვანძო საკითხთაგანი.

შევეცდებით კიდევ უფრო დავაზუსტოთ სისტემის *ლიტერატურა* არსი. ამისათვის მივმართავთ დიმიტრი ლიხაჩოვის განმარტებას. იგი წერს: *ლიტერატურის სისტემაში მე ვგულისხმობ მისი შემადგენელი ნაწილების, ლიტერატურის სახეების (ნათარგმნი, ორიგინალური, სასულიერო, ისტორიული, საბუნებისმეტყველო, სამეცნიერო, პუბლიცისტური და სხვა...), ჟანრების, ცალკეული ნაწარმოებების გარკვეულ ურთიერთმიმართებას. ამას გარდა, ლიტერატურის სისტემის ცნებაში შედის ასევე ლიტერატურის მიმართება კულტურის სხვა სფეროებთან: მეცნიერებასთან, რელიგიასთან, საზოგადოებრივ აზრთან, ხელოვნების სხვადასხვა დარგთან, ფოლკლორთან და ა.შ.* და ბოლოს, *ლიტერატურის სისტემას მიეკუთვნება მისი მიმართება სხვა ქვეყნებისა და ხალხების კულტურასა და ლიტერატურასთან. საბოლოო ჯამში, ლიტერატურის სისტემა განისაზღვრება მისი მიმართებით ისტორიულ სინამდვილესთან. სწორედ მასთან მიმართება წარმოადგენს სისტემის ყველაზე არსებით მხარეს.*

ეს შინაგანი არსი და მიმართება გარე, ლიტერატურის გარემომცველ მოვლენებთან შეადგენენ ორგანულ მთლიანობას. ლიტერატურის სისტემა მუდმივ წონასწორობაშია თავის შემადგენელ ნაწილებსა და მიმართებებთან, მაგრამ უძრავი როდია. ის მუდმივ ცვალებადობას განიცდის როგორც საკუთარი ნაწილების შიგნით, ისე გარე მოვლენებთან მიმართებაში. და მიუხედავად იმისა, რომ წონასწორობა მუდამ ირღვევა, იგი ისევ და ისევ აღდგება ხოლმე. ჩვენს წინაშეა სისტემის დინამიკური წონასწორობა.[2]

ამდენად, თუ ლიტერატურას შევხედავთ, როგორც სისტემას, ლოგიკურია მის შესასწავლად სისტემური მიდგომის გამოყენება. სისტემა *ლიტერატურა* არაა მხატვრული ლიტერატურის სინონიმი. მეცნიერებაში განსხვავება მათ შორის შედარებულია ადგილის სქემატურ გეგმასა და ცოცხალ ბუნებასთან. სისტემა *ლიტერატურის* აღწერა ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით ობიექტების ტოპოგრაფიას იძლევა, მაგ-

[1] Лотман Ю.М., Структура художественного текста, М., 1970, с. 346.

[2] Лихачев Д.С., Древнеславянские литературы как система. – В кн. Славянские литературы. VI Международный съезд славянистов, Прага, август, 1968. Доклады советской делегации, М., 1968, с. 5.

რამ ეს აუცილებელია ლიტერატურათმცოდნისათვის. როგორც მისივე სახელწოდებიდან ჩანს, სისტემური მიდგომა არ არის მეთოდი, იგი წარმოადგენს მეთოდთა ერთობლიობას. ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდები ლიტერატურული ნაწარმოების შესასწავლად იქმნებოდა. ამ მეთოდთაგან ზოგიერთი უშუალო კავშირშია გარე სამყაროსთან (მაგ, ბიოგრაფიული მეთოდი, კულტურულ-ისტორიული მეთოდი), ზოგიერთი კი არანაირ კავშირში არ არის გარემოსთან (მაგ, ფორმალური მეთოდი, სტრუქტურული მეთოდი). ლიტერატურის შესასწავლად სისტემური მიდგომა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. თუმცა ამ შესხელულებას არისტოტელეს იდეებთან მიეყავართ. ლიტერატურის შესწავლის მიმართ ეს დამოკიდებულება გამოიკვეთა ლ. ფონ ბერტალანფისა და ი.რ. პრიგოჟინის სისტემების ზოგადი თეორიის გავლენით. სისტემურ მიდგომას ლიტერატურის შესწავლისას იყენებდნენ დ.ს. ლიხაჩოვი, რ.ო. იაკობსონი, ნ.ი. კონრადი, ი.გ. ნეუპოკოევა. ამ უკანასკნელის კონცეფციაში განვითარებულია აზრი იმის შესახებ, რომ მხოლოდ სისტემური მიდგომისას შეიძლება თეორიული წარმოდგენის შექმნა ლიტერატურული ეპოქის შესახებ როგორც დინამიურ მთელზე და არა უბრალოდ, როგორც დროის ქრონოლოგიურ მონაკვეთზე, რომელიც დომინანტური და მეორეხარისხოვანი ნიშნებით არის განსაზღვრული.[1] დ. ლიხაჩოვს, ნ. კონრადს, ი. ნეუპოკოევას გარდა იმისა, რომ ყურადღება გამახვილებული აქვთ რეგიონალურ, ზონალურ და ნაციონალურ ლიტერატურულ სისტემებზე, ლიტერატურულ ეპოქებსაც განიხილავენ როგორც სისტემას. ასეთი მიდგომა შეიძლება რეალიზებულ იქნას ისტორიული მეთოდის ჩარჩოებში, წერდა ი. ნეუპოკოევა და მიაჩნდა, რომ იგი ორგანულად უნდა ყოფილიყო შერწყმული შედარებით მეთოდთან.[2] მიუხედავად იმისა, რომ სისტემური მიდგომა ლიტერატურის შესწავლასთან მიმართებაში ფართოდ გამოიყენება, მისი ერთგვაროვანი განსაზღვრება ჯერჯერობით არ არის ფორმულირებული. მისი სამუშაო განსაზღვრება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც *მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს სისტემა ლიტერატურის სპეციფიკას.*

* * *

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მესამედში დაიწყო განვითარება და მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში გამოიყენებოდა ლიტერატურათმცოდნეობაში ფსიქოლოგიური მიდგომა. იგი ეყრდნობა შემოქმედის ფსიქოლოგიასა და მკითხველების მიერ ნაწარმოების აღქმას. ფსიქოლოგიური მიდგომის მიმდევრებს სისტემა *ლიტერატუ-*

[1] Неупокоева И. Г., История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа. М., 1976. с. 34.

[2] იქვე, გვ. 40

რაში უპირველესად აინტერესებთ კავშირი *ავტორი – ნაწარმოები* და *ნაწარმოები – მკითხველი*. ასევე იკვლევენ ავტორისეული ქმნილების სუბიექტურ მხარეს, რომელსაც მკითხველი სწვდება თავისი სულიერი მდგომარეობისა და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე.

ფსიქოლოგიური სკოლის სათავეებთან დასავლეთში იპოლიტ ტენის, ხოლო რუსეთში ა. ნ. ვესელოვსკის ნაშრომები მოიაზრება. კულტურულ-ისტორიული და სოციალურ-ისტორიული სკოლების თეორიებთან ფსიქოლოგიურ მიმდინარეობას აახლოვებს ძირითადი დებულება ისტორიულ პროცესსა და ნაციონალურ ტრადიციებთან ლიტერატურის კავშირის შესახებ. ასე მაგალითად, ფრანგმა მეცნიერმა ემილ ენეკენმა წამოწია იდეა ესთეტიკური და სოციოლოგიური ასპექტების შერწყმის შესახებ და ამისათვის სპეციალური ტერმინიც შექმნა – *ესთოფსიქოლოგია*. მხატვრის საიდუმლოს გასახსნელად იგი მხოლოდ ტექსტში ეძებდა აუცილებელ მინიშნებებს. ენეკენის ანალიზის ზოგადი გეგმა ითვალისწინებდა ნაწარმოებისადმი ესთეტიკურ, ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ მიდგომას.

ფსიქოლოგიურ მიდგომას ლიტერატურათმცოდნეობაში განაპირობებს თვითონ ნაწარმოები და მკვლევარის ინდივიდუალობა. მხატვრული ლიტერატურის ამგვარ განსილვას დიდ ყურადღებას აქცევს ფსიქოანალიტიკური მიდგომა. ლიტერატურათმცოდნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია არა მარტო ფსიქოანალიზის კლასიკოსთა შეხედულებებს, არამედ თანამედროვე მიდგომებსაც, სადაც განსხვავებული შეხედულებებია გამოთქმული, მაგრამ ფსიქოანალიტიკური მიდგომის ძირითად პრინციპებს ინარჩუნებენ. ასეთი მიდგომები მხოლოდ პათოლოგიაზე არ ამახვილებს ყურადღებას, ისინი შემოქმედების პროცესის პრიმატს აღიარებენ. მხატვრულ ნაწარმოებში არაცნობიერ ლტოლვებზეა ხაზგასმა, რამაც შესაძლოა სიმბოლური სახით იჩინოს თავი. ამ სიმბოლოების ახსნა კი სხვადასხვა ანალიტიკური მიდგომით შეიძლება (ზ. ფროიდი, კ. გ. იუნგი).

ანალიტიკურ ფსიქოლოგიაში კ. გ. იუნგი შედარებით ნაკლებ ყურადღებას აქცევს *სამედიცინო მიდგომას* ლიტერატურათმცოდნეობაში. მისთვის მნიშვნელოვანია ის საფუძვლები, რომლებიც თავს იჩენს მწერლის ნაბრევში. მწერალი, მართალია, თავისუფალია ფორმისა და სტილის შერჩევაში, მაგრამ იგი მხატვრულ ნაწარმოებს ძირითადად იმ არქეტიპული ხატებით ავსებს, რომლებიც მას თვითონ აქვს. კ. გ. იუნგი აღნიშნავს, რომ საინტერესოა იმის ცოდნა, თუ რომელ პიროვნულ ტიპს მიეკუთვნება თვითონ მწერალი – ექსტრავერტულს თუ ინტრავერტულს. აქედან გამომდინარე, ნაწარმოებიც შესატყვის სახეს ილებს. ნაწარმოების შექმნაში არა მხოლოდ პიროვნული არაცნობიერი მონაწილეობს, არამედ კოლექტიურიც. აქ მნიშვნელოვანია არქეტიპური ფიგურები (ანგე-

ლოზი, დემონი, ადამიანი, მოვლენა და სხვა), რაც არქეტიპური ხატების სახით იჩენს თავს. სწორედ ეს ხატები ქმნის მხატვრული ლიტერატურის ნაირსახეობას. ხატად წარმოდგენილი არქეტიპი უმეტესად მისაღებია მკითხველისათვის და ფაქტობრივად განსაზღვრავს ნაწარმოების აღიარება-არაღიარებას. დღესდღეობით ფსიქოანალიტიკური მიდგომის რევიზია ხდება თანამედროვე პოსტსტრუქტურალისტურ მიდგომებში.

პოსტსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი ფსიქოლოგიურ მიდგომასაც ითვალისწინებს. ასეთი კვლევის დროს მნიშვნელობა ენიჭება ნარატივის შესწავლას. ნარატივისა და ცხოვრების ურთიერთმიმართება ძირითად პრობლემას წარმოადგენს. სწორედ ნარატიული ტექსტის ანალიზის საშუალებით ხორციელდება სამყაროს გააზრება და მასში ადამიანის არსებობის ფორმების ძიება, რათა შეიქმნას *სამყაროს შეცნობის* მოდელები. ასეთი მიდგომა ფილოლოგიური კვლევიდან მოდის. შემდგომში კი სხვა დისციპლინებშიც იჩინა თავი, მათ შორის ფსიქოლოგიაში.

ფსიქოლოგიაში პოსტმოდერნისტული იდეების შემოჭრამ ახალი მიდგომა *სოციალური კონსტრუქციონიზმი* ჩამოაყალიბა. ამ მიდგომაში პიროვნების თეორიული კონსტრუქციების ასახსნელად ანუ პიროვნების იდენტურობის გამოსავლენად აზროვნების ტექსტუალურ მონაცემებს მიმართავენ, რომელშიც მეორდება მხატვრული ტექსტის სტრუქტურა (ბუნებრივია, ეს არ არის მაღალი დონის შემოქმედებითი ნაწარმოები).

კონსტრუქციონისტური მიდგომა გულისხმობს სოციალური და კულტურული პარამეტრების გათვალისწინებას, რომლებიც სოციალურად მისაღები სქემებით ყალიბდება. აქ ხდება საკუთარი *მე* -ს პროექცია წარმოსახვით, რომელშიც ეს ადამიანი არსებობს. ტექსტური ანალიზით არა მხოლოდ შიდა პიროვნულ საფუძვლებს ეძებს ფსიქოლოგი, არამედ დიდი ყურადღებაა გადატანილი სოციოკულტურულ რეალობებზე, იმ ღირებულებებზე, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებაშია გავრცელებული და პიროვნების სოციალიზაციას უწყობს ხელს ენობრივი კომუნიკაციისას. ასეთი მიდგომის შესწავლის მეთოდია თვითმონათხრობი (თვითნარატივი), რაც ლიტერატურაშიცაა ასახული. ასეთი პიროვნებები სოციალურადაა კონსტრუირებული, ამიტომაც ავტონარატივი, ძირითადად, მხატვრულ ფუნქციას ატარებს და კულტურულადაა განპირობებული.

სოციალური კონსტრუქციონიზმი სწავლობს თხრობით/ნარატიულ ტექსტებს, როგორც ფუნდამენტურ სისტემას არსებული ტექსტის გაგებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი არალიტერატურული დისკურსი ფუნქციონირებს იმ პრინციპებით, რომლებიც მხატვრულ ლიტერატურაშია გამოვლენილი. ლიტერატურა კი ტექ-

სტების ანალიზისას ის მოდელია, რომელიც უზრუნველყოფს მკითხველის მიერ მის გაგებას. ფსიქოლოგიური კუთხით დისკურსის ლიტერატურულობა იძლევა სამყაროს შემეცნების საზრისს და მის აღქმას უწყობს ხელს.

ფსიქოლოგი ჯ. ბრუნერი, რომელიც კოგნიტური ფსიქოლოგიის დამფუძნებლადაა მიჩნეული, ცვლის თავის მეცნიერულ პარადიგმას და ნარატიული მოდუსების შესწავლას იწყებს. მისი აზრით, ტრადიციული ფსიქოლოგია საკვლევ საგნად მეცნიერულ მოდუსს მიიჩნევდა. ახალი პარადიგმა კი კონკრეტული ინდივიდის გამოცდილებაზე მიუთითებს, რომელშიც უშუალოდ ცხოვრებისეული გამოცდილება ჩანს. ამგვარი გამოცდილება შეიძლება ნარატიული ტექსტით იქნას შესწავლილი. ნარატივის ფორმა სხვადასხვა კულტურასა და ლინგვოკულტურაში განსხვავებულადაა წარმოდგენილი და სწორედ ამიტომ ის ისტორიულია.

კანადელი ლიტერატურათმცოდნის ნ. ფრაის ცნობილ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით კ. მერეიმ პიროვნების მონათხრობის სტრუქტურა განსაზღვრა. ნ. ფრაისთან გამოყოფილია, ძირითადად, ოთხი ნარატიული მოდუსი: *ტრაგედია, კომედია, რომანი, ირონია*, რაც ლიტერატურის მხატვრული კანონზომიერებების შესწავლისათვის იქნა შემუშავებული. კ. მერეიმ ეს მოდელი ფსიქოლოგიაში გამოიყენა. მაგალითად:

კომედია – იგულისხმება ახალგაზრდობის გამარჯვება სიბერეზე და სიკვდილზე. ძირითადი კონფლიქტები გმირის იმ სურვილების განდევნასთანაა დაკავშირებული, რაც საზოგადოებრივი ნორმებითა და ჩვეულებებით იკრძალება. კომედიური მოდუსის გმირი ეძებს თავგადასავლებს, ხშირად სახიფათოს, მისი გარემოცვა მცირე ჯგუფითაა განსაზღვრული, სადაც საკუთარი იდენტურობის გამოვლენა ხდება.

რომანსი – ეს კომედიური გმირის საპირისპირო მოდუსია, რომელიც მიმართულია წარსულის აღდგენაზე, სადაც ძირითადი ბრძოლა იმართება ასეთ გმირსა და ბოროტ ძალას შორის და ხდება ხასიათის გამოცდა.

ტრაგედია – ასეთი მოდუსის მატარებელი გმირები ბოროტებასთან შებრძოლებისას მარცხს განიცდიან, მაგრამ აკეთებენ კეთილ საქმეს, რათა საზოგადოებას ბოროტება ააცილონ.

ირონია – ძირითადად, ტრაგიკული მოდუსის საპირისპიროა.

ამ მოდუსებს არა აქვთ პრეტენზია აღიარონ ინდივიდის ნამდვილი მდგომარეობა, მათი ფუნქცია სოციალური სამყაროს სტრუქტურირებაშია.

ნარატიული ტექსტის შესწავლა სხვადასხვა მეთოდით შეიძლება, მაგალითად, ტექსტის სტრუქტურული ერთეულებით – დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული. ასეთ მიდგომაში თავს იჩენს პრობლემის გადაჭრა, რომელსაც მორალური მხარე გააჩნია და სოციალური ღირებულებებით განისაზღვრება. ნარატივის შესწავლისას ტექსტში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ფორმა – პროგრესული, რეგრესული და სტაბილური. პროგრესულია, როცა თხრობა იწყება ნეგატიური ემოციით, მოვლენების შეფასებით და მთავრდება პოზიტიურით. რეგრესულია, როდესაც შეფასება პოზიტიური ემოციებით იწყება და შემდეგ ნეგატიურისაკენ იხრება. სტაბილურია, როცა უარყოფითი და დადებითი ემოციების ცვალებადობაა. ყურადღება ექცევა ასევე ნარატივის აგებულებას, ნარატივში გადმოცემულ ინფორმაციაში მოვლენათა თანმიმდევრობას, ნარატივის სიმჭიდროვეს – ითვლიან წინადადებების სიხშირეს (რაც უფრო მეტია ნარატიული წინადადებები, მით მეტია ნარატივის სიმჭიდროვე, როცა არასაკმარისი სიმჭიდროვის ტექსტია, ის უფრო გაუგებარია, ხოლო რაც შეეხება გადაჭარბებულ სიმჭიდროვეს, ის მკითხველს ღლის და ემოციურად ძაბავს). დღესდღეობით ნარატიულ მეთოდებს კომპიუტერული პროგრამების დახმარებით იყენებენ სხვადასხვა სახის კომუნიკაციაში.

* * *

ნარატიული მეთოდები ასევე წარმატებით გამოიყენება გენდერული კვლევისას. ჩვენს დროში ძალიან გაიზარდა ინტერესი გენდერული მიდგომისადმი. ბიოლოგიური (სქესი) და სოციალური (გენდერი) სქესის გამოყვნის იდეა პოსტმოდერნიზმის პერიოდში აღმოცენდა. სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ ლინგვისტური ტრადიცია, რომელიც სქესის ფაქტორს ითვალისწინებს, სათავეს იღებს ანტიკური დროიდან, როდესაც გააზრებულ იქნა ბუნებრივი და გრამატიკული სქესი (sexus – gender). სამეცნიერო აპარატში კატეგორია gender შემოვიდა მეოცე საუკუნის 60-იან წლებში და თავდაპირველად გამოიყენებოდა ისტორიაში, ისტორიოგრაფიაში, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, ხოლო მოგვიანებით ლინგვისტიკაში. მეცნიერებაში გენდერის ბუნებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი მოსაზრებებია ჩამოყალიბებული. ზოგიერთი განმარტების მიხედვით, გენდერი არის სოციალური ფაქტორი, რომელსაც ქმნის საზოგადოება სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ენობრივითაც. არსებობს ისეთი აზრიც, რომ გენდერი არის მოდელი, რომელიც შეიქმნა სქესის პრობლემის უფრო სრული აღწერისათვის, მისი ბიოლოგიური და სოციალური ფუნქციის გასამიჯნავად და ა. შ. ჩვენ მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც გენდერული მიდგომა ნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ასპექტების შედარებით კვლევას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, იგი შეიძლება გამოვიყენოთ მხატვრული

ლიტერატურის ანალიზისას, ვინაიდან ამ სახის კვლევის ფართო საშუალებებს იძლევა მსოფლიო ლიტერატურა. გენდერული მიდგომა ნაწარმოების სხვადასხვა სქესის პერსონაჟების შეპირისპირების თვალსაზრისით, იქნება ეს მათი მეტყველების (წერითი თუ ზეპირი), ქცევის, ინტელექტის, ფსიქიკური წყობის თუ სხვა ასპექტების შესწავლა, ახალი კუთხით წარმოაჩენს ნაწარმოების მოქმედ გმირებს და მთლიანად ნაწარმოების განსხვავებულ ხედვას, მის ახლებურ წაკითხვას განაპირობებს.

* * *

არცერთი ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდი არ შეესატყვისება სისტემურობის ყველა პრინციპს და ვერ იქნება სისტემა *ლიტერატურასთან* მიმართებაში უნივერსალური, ისევე როგორც სხვადასხვა ტიპის ფსიქოლოგიური მიდგომა.

თითოეულ ლიტერატურათმცოდნეობით მეთოდს თავისი სპეციფიკა აქვს. თითოეული მათგანი მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა მხარეს სწავლობს, ბევრი განსხვავებული ეპოქა, ავტორი, ჟანრი თუ სტილი არსებობს, რომელთა სხვადასხვა ტიპის განმარტება გასაგებს ხდის მათ. ეს განმარტებები გარკვეულ მეთოდებს ეფუძნება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერება სწორედ კვლევის განსხვავებული მეთოდების საფუძველზე შეიძლება კლასიფიცირებულ იქნას როგორც *ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა*. ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდებია ბიოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული, სოციოლოგიური, ლიტერატურული ჰერმენევტიკის, ფორმალური, სტრუქტურული... შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდი კი არის ისტორიულ-შედარებითი.

მხატვრული ლიტერატურის შესწავლის პროცესში დღესდღეობით ჩართულნი არიან ფილოსოფოსები და სოციოლოგები, ფსიქოლოგები და თეოლოგები, ლინგვისტები და ლიტერატურათმცოდნენი. თუმცა ნ.ს. ტრუბეცკოის ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დოსტოევსკის შემოქმედების შესწავლის ხუთი მეთოდი ჰქონდა გამოყოფილი – ბიოგრაფიული, ფილოსოფიურ-იდეოლოგიური, ფროიდულ-ფსიქოანალიტიკური, სოციოლოგიური, ფორმალური *(О методах изучения Достоевского)*. სამოციან-ოთხმოციან წლებში უფრო ფართოდ მოიკიდა ფეხი ინტერდისციპლინარულმა კვლევამ. ლიტერატურის ამგვარი შესწავლა ნიშნავს სხვადასხვა მეცნიერების, მათ შორის, საბუნებისმეტყველოსი, მათემატიკის, კიბერნეტიკის მეთოდოლოგიური ბაზისა და ანალიტიკური საშუალებების გამოყენებას მხატვრული ნაწარმოებებისადმი კომპლექსური მიდგომისას.

ასე რომ, *სისტემური, ფსიქოლოგიური, გენდერული და კომპლექსური* მიდგომა ლიტერატურისადმი არის ის საშუალებები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა პლანში შესწავლა, მის სიღრმისეულ პლასტებში წვდომა.

* * *

ლიტერატურა ცოცხალი, მოძრავი მხატვრული სისტემაა, რომელიც სათუთად რეაგირებს ცხოვრებისეულ სიახლეებზე. ლიტერატურის განვითარების პროცესი – ეს არის მდგრადობისა და ცვალებადობის, მემკვიდრეობითობისა და ნოვატორობის ურთიერთქმედება. ადამიანის ცხოვრება საზოგადოებაში და საზოგადოებისა სამყაროში; ადამიანი, ბუნება, საზოგადოება და მათი ურთიერთობა ლიტერატურის მარადიული თემაა. ასევე მარადიულია მისი საშენი მასალა – სიტყვა. ჰეგელი სიტყვას მიიჩნევდა ყველაზე პლასტიკურ მასალად, რომელიც უშუალოდ სულის კუთვნილებას წარმოადგენს. სიტყვა ლიტერატურულ ნაწარმოებში მოქნილად და სხარტად განსაზღვრავს თავის აზრს. სიტყვის ქმედითობაზე, მის ძალაზე არაერთი თქმულებაა შემონახული. ბერძნული გადმოცემის მიხედვით, მგალობლები ორფეოსი და ამფიონი თავიანთი სიმღერებით ველურ ცხოველებს ათვინიერებდნენ და იმორჩილებდნენ. ხეები უკან მიჰყვებოდნენ ორფეოსს უდაბნოში, რომ იქ ტყედ ქცეულიყვნენ. ამფიონის სიმღერაზე ქვები თვითონ ეწყობოდნენ, რომ ქალაქის კედლებად აღმართულიყვნენ.

ეს ჰიპერბოლიზებული მაგალითი ლამაზად და ხატოვნად მოგვითხრობს სიტყვის ძალის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ლ.ნ. ტოლსტოის მიერ აღწერილი ნატაშა როსტოვას ცეკვა რომანში *ომი და მშვიდობა*, სადაც მწერალი მკაფიოდ გამოხატულ ქორეოგრაფიულ ეფექტს ქმნის. ვიქტორ ჰიუგოს *პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი* თვალწინ წარმოგვიდგენს უდიდეს არქიტექტურულ კომპლექსს. ა.ს. პუშკინის *ბრინჯაოს მხედარი* ფალკონეს ქანდაკებას აცოცხლებს. ძეგლის უნახავად წარმოადგენინებს მკითხველს *ქვის ჰარმონიის* სიდიადეს გალაკტიონ ტაბიძის *ნიკორწმინდა...*

მხატვრული აზრი მხოლოდ განსაზღვრული სიტყვებითა და სიტყვათა თანმიმდევრული წყობით გადმოიცემა. აქ სიტყვის გადაადგილება ან შეცვლა დაუშვებელია. სამეცნიერო აზრი უფრო იტანს სიტყვის გადანაცვლებას, სინონიმის ხმარებას, პერიფრაზირებას. სიტყვის სათუთი გამოყენებით შექმნილი ნაწარმოები გარდა იმისა, რომ სისტემის *ლიტერატურა* შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს, თვითონ

შედგება მხატვრული სახეების სისტემისაგან.

მხატვრული ნაწარმოებისადმი სისტემური მიდგომის შედეგად შეიძლება შესწავლილ იქნეს მისი შემადგენელი ელემენტები, ხოლო ინტერდისციპლინარული კვლევა მხატვრული ნაწარმოების სხვადასხვა ფუნქციას წარმოაჩენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაწარმოების ავტორი სისტემა *ლიტერატურის* არანაკლებ მნიშვნელოვანი კომპონენტია. *ნიჭიერი* ავტორი წერს ნაწარმოებს, რომელიც პრიორიტეტულია ამა თუ იმ საზოგადოებისათვის მისი განვითარების მნიშვნელოვან პერიოდში. *ტალანტური* ავტორი ისეთ ღირებულებას ქმნის, რომელსაც მარადიულად აქვს ნაციონალური და ზოგჯერ ზოგადსაკაცობრიო დატვირთვაც. *გენიოსი* კი უმაღლეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას ქმნის, რომელიც ყველა დროში თანაბრად მნიშვნელოვანია. მწერლის გენიალობა ვლინდება მის მიერ სამყაროს შეცნობის ძალასა და კიდევ იმაში, თუ რამდენად ღრმა ზემოქმედება იქონია მისმა ნაწარმოებმა კაცობრიობაზე.

გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება!

[1] ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში *ვაჟა-ფშაველა. თხზულებანი. თბ., 1990. გვ..308*

ლიტერატურული კომუნიკაცია

მეოცე საუკუნის ტექნიკურმა პროგრესმა საფუძველი ჩაუყარა საინფორმაციო საზოგადოების წარმოშობას, რომლის მთავარ მახასიათებელს კომპიუტერული ქსელის გამოყენება წარმოადგენს. გლობალურმა კომპიუტერიზაციამ კანონზომიერად გამოიწვია ინფორმატიზაციის პროცესი. ინფორმაციის (ლათ. informatio – განმარტება, გადმოცემა) მიღების, დაგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მოთხოვნილება ადამიანს ოდითგანვე ჰქონდა – სმენითი აღქმით ხდებოდა ინფორმაციის მიღება, გონება მას ამუშავებდა, აგროვებდა, ინახავდა, სამეტყველო აპარატის საშუალებით კი ვრცელდებოდა. დამწერლობის შექმნამ და მოგვიანებით ბეჭდვის ტექნოლოგიამ ძველი საინფორმაციო სისტემა ეტაპობრივად ახალ საფეხურზე აიყვანა. ინფორმაციის გავრცელების საშუალება არის კომუნიკაცია (ლათ. comunicatio – კავშირი, შეტყობინება) რაც ურთიერთობას, ცოდნის, ემოციების, აზრების გაცვლა-გამოცვლას ნიშნავს. ეს არის კატეგორია, რომელიც გამოხატავს სემიოტიკურ ასპექტში აღებულ სისტემურ ელემენტთა ურთიერთქმედებას.

ხელოვნება მხატვრული კომუნიკაციის საშუალებაა. ესთეტიკის ისტორიაში ხაზგასმულია მისი სიახლოვე ენასთან. ხელოვნების კომუნიკაციურ ბუნებას ეფუძნება მისი თანამედროვე სემიოტიკური გაგება (როგორც ინფორმაციის მატარებელი ნიშანთა სისტემის, როგორც კომუნიკაციის სპეციფიკური არსის), რომელიც ემსახურება ურთიერთობის ინდივიდუალური გამოცდილების საზოგადოებისათვის გაზიარებას და საზოგადოებრივი გამოცდილების ათვისებას ინდივიდის მიერ. საზოგადოებისა და პირის ურთიერთობის მიმართება სხვადასხვა პლანში მიმდინარეობს (პოლიტიკა, ეკონომიკა, რელიგია, ხელოვნება...). ყოველ მათგანში გამოიყოფა კომუნიკაციის საკუთარი არხი. ლინგვისტიკაში, ფსიქოლოგიაში, ეთნოლოგიაში გამოვლენილია კომუნიკაციის ფუნქციათა ფართო სპექტრი. ხელოვნების სფეროში გამაშუალებელი არის მხატვრული ლიტერატურა. ის გადმოსცემს გარკვეულ ღირებულებებს, რწმენას, სოციალურ ნორმებს, შეხედულებებს, აზრებს... მხატვრულ ლიტერატურას წამყვანი და გარკვეულ შემთხვევაში პირველადი ფუნქცია აქვს, ვინაიდან ხელოვნების სხვადასხვა დარგი სწორედ ლიტერატურულ ნაწარმოებს მიმართავს *თავის ენაზე* ასამეტყველებლად (ქანდაკება, მხატვრობა, კინო, თეატრი, მუსიკა...).

ყველა ნიშანთა სისტემის მსგავსად ხელოვნებასაც აქვს თავისი ისტორიული და ნაციონალური თვალსაზრისით შეპირობებული კოდი, საკუთარი პირობითი ნიშნები. სხვადასხვა ხალხთა შორის ურთიერთობა თუ ძველი კულტურების ათვისება ამ

კოდებსა და პირობითობებს ყველასათვის მისაწვდომს ხდის. ლიტერატურული ნაწარმოების დეკოდირებისას მკითხველის მიერ პირველ რიგში ხდება ძირითადად ახალი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება, მეორე მხრივ ემთხვევა მის მსოფლმხედველობრივ სისტემას. მაგრამ ეს არ არის ცალმხრივი პროცესი. მკითხველი ხანგრძლივი დროის მანძილზე აზრობრივ კავშირს ამყარებს მწერალთან და მის მიერ შექმნილ სამყაროსთან. ის უნებლიედ ხდება მხატვრული ნაწარმოების გმირი, მასში მიმდინარე პროცესების თანამონაწილე, ნაწარმოებში ხორცშესხმულ მწერლის გამოცდილებას რეციპიენტი (მიმღები) უმატებს თავის გამოცდილებას, რომელიც ათანამედროვებს, ხსნის და გარკვეულად ამდიდრებს ნაწარმოების შინაარსს. ნაწარმოების აღქმა ხდება ურთიერთობის კანონების მიხედვით. მხატვრული ურთიერთობა ხალხს აძლევს აზრების გაცვლა-გამოცვლის, სხვათა ისტორიულ და ნაციონალურ გამოცდილებასთან ზიარების, გეოგრაფიულად, თუ მთელი ეპოქებით დაშორებულ ამბებთან დაახლოების საშუალებას.

* * *

კომუნიკაციის ცნება ლიტერატურათმცოდნეობაში ინფორმაციის თეორიიდან შემოვიდა, სადაც იგი ნიშნავს ერთი სისტემიდან მეორეზე ინფორმაციის გადაცემის პროცესს. ამ პროცესის დასასრულად კი მიღებული შეტყობინების გამოყენება ითვლება. ლიტერატურული კომუნიკაციის დასასრული არაერთგვაროვნად მოიაზრება მეცნიერებაში – ერთნი მიიჩნევენ, რომ ესაა ტექსტის ინტერპრეტაცია, რეცეფციული ესთეტიკა კი შედეგს ხედავს კონკრეტული კომუნიკაციური აქტის მეშვეობით ტექსტის მხატვრულ ნაწარმოებად გარდაქმნის პროცესში. უკუკავშირი ელემენტებს შორის *ავტორი – ტექსტი* და *მკითხველი – ტექსტი* ინფორმაციის გადაცემის მიღმა მოიაზრება და ამიტომ მას არ აფიქსირებს არც ლიტერატურული კომუნიკაცია და არც რეცეფციული ესთეტიკა.

ვფიქრობთ, რომ ლიტერატურული კომუნიკაციის ფინალი უფრო პირობითია კომუნიკაციის სხვა არხებთან შედარებით. აქ მხედველობაში უნდა იყოს მიღებული სოციუმის ურთიერთობა არა მარტო ნაწარმოებთან, არამედ მწერალთან.

სოციალურ მეცნიერებებში მიღებულია შემდეგნაირი კომუნიკაციური მოდელი:

გამგზავნი → შეტყობინება → მიმღები

ამ სქემის მიხედვით ლიტერატურათმცოდნეობაში სხვადასხვაგვარი მოდელია შექმნილი. ყველაზე მარტივი კომუნიკაციური ჯაჭვი ამგვარად გამოიყურება:

გამგზავნი → შეტყობინება → მიმღები
↓
ავტორი → ტექსტი → მკითხველი

ეს კომუნიკაციური ჯაჭვი ჰეგელის ფორმულიდან მომდინარეობს. ამ სქემის გათვალისწინებით ლიტერატურათმცოდნეობაში შეიქმნა უფრო გავრცობილი სქემა – *ლიტერატურული კომუნიკაციის* მოდელი:



ამ მოდელის მიხედვით ავტორი ქმნის ნაწარმოებს, რომელიც ემყარება ტრადიციას. ივარაუდება, რომ ყველაზე გაბედულ ნოვატორებსაც კი არ ძალუძთ ტრადიციის იგნორირება. ავტორი ითვალისწინებს მკითხველის მიერ ამ ტრადიციის ცოდნას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ავტორის კავშირი რეალობასთან. ამ რეალობას მკითხველი უდარებს ნაწარმოებს მისი ღირსების განსაზღვრისას. აღნიშნულ მოდელში ფიგურირებს *ტექსტი* და არა *მხატვრული ნაწარმოები*. ამის მიზეზია ის, რომ ელემენტებს შორის *ტექსტი – მკითხველი*, არ არის უკუკავშირი. იგი არ ითვალისწინებს ტექსტის მკითხველისეულ შეფასებას, როგორც ამას ჰეგელი მიუთითებს, როცა მსჯელობს ხელოვნების ნიმუშის თაყვანისმცემელ სუბიექტზე. ამიტომ შეიქმნა კიდევ ერთი მოდელი, სადაც ტექსტი შეცვლილია მხატვრული ნაწარმოებით:



ამ მოდელიდან გამომდინარე *ავტორი* – რეალური პიროვნებაა, საკუთარი ბიოგრაფიით. *ნაწარმოები* – მისი ხელნაწერი ან ნაბეჭდი წიგნი. *მკითხველი* – წიგნის მყიდველი (*მყიდველის* ნაცვლად ჩვენ ვარჩევდით გამოგვეყენებინა სიტყვა *მომხმარებელი*, ვინაიდან *მყიდველი* შესაძლოა სულაც არ იყოს *მკითხველი*, მ.ო.). *ტრადიცია* – წინაპრები, რომლებზეც ორიენტირებულია ავტორი. *რეალობა* – მოვ-

ლენები, რომელთა წიალშიც ის ცხოვრობს. მკითხველი, რომელიც აღიარებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას, ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას, მორალურად და მატერიალურად მხარს უჭერს ავტორს – თავის თანამედროვეს, ასევე აგროვებს ცნობებს უკვე გარდაცვლილი ავტორის შესახებ. ამაზე მეტყველებს მკითხველის მიერ საკუთარი კეთილდღეობის ან ზოგჯერ სიცოცხლის რისკის ფასადაც კი გადანახული ხელნაწერები, ცენზურის მიერ აკრძალული წიგნები, ასევე შუასაუკუნეობრივი მოვლენა – საყვარელი წიგნების გადაწერა, წიგნების შეძენა პირადი ბიბლიოთეკისათვის, პოპულარული წიგნების ხელახლა გამოცემა და, შესაბამისად, საავტორო ჰონორარის გაზრდა, გავრცელებული ანეკდოტები მწერლებზე.

ამგვარად მოიაზრება ლიტერატურული კომუნიკაცია თანამედროვე მეცნიერებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საკითხზე მსჯელობისას *ტექსტსა* და *ნაწარმოებს* ხშირად ერთმანეთის სინონიმებად იყენებენ. სხვა შემთხვევაში *ტექსტი* შეაქვთ ისეთ სქემაში, რომელიც არ ითვალისწინებს მკითხველის მიერ ნაწარმოების შეფასებას. ჩვენი აზრით, *ნაწარმოების ტექსტით* ჩანაცვლება უნდა ნიშნავდეს, რომ მკითხველი ტექსტს თავისი მხატვრული აღქმის მეშვეობით აქცევს *მხატვრულ ნაწარმოებად*. თუმცა მიგვაჩნია, რომ მწერალი დასრულებულ ნაწარმოებს იძლევა და არა ტექსტს და აღქმის მეშვეობით შეიძლება მოხდეს მხოლოდ მისი ინვარიანტის შექმნა. ზემოთ მოყვანილ სქემებში *ტრადიციისა* და *რეალობის* შეტანა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან ვთვლით, რომ ნაწარმოების არქიტექტონიკასა თუ მის სიუჟეტში ამ ელემენტების ძიება ლიტერატურული კომუნიკაციის სფეროს მიღმა, კვლევის სხვა სიბრტყეზე უნდა იქნეს შესწავლილი.

***

ნებისმიერი მწერალი ნაწარმოებს წერს მკითხველისათვის, და თუ უფრო დავაზუსტებთ, თავის თანამედროვე მკითხველისათვის. თხზვის პროცესში გარკვეულწილად ითვალისწინებს თანამედროვე ვითარებას და ცდილობს ამაღლდეს მასზე, ჯობია გაუსწროს დროს. ასეა თუ ისე, მწერლის გზავნილება უმისამართო არ არის. მას ყოველთვის ჰყავს ადრესატი. ლიტერატურული კომუნიკაციის ბუნება საკმაოდ ზუსტად აქვს გახსნილი ალექსეი ტოლსტოის – *თქვენ, მწერალო გამოგრიყათ უკაცრიელ კუნძულზე და დაგუშვათ, დარწმუნებული ბრძანდებით, რომ სიცოცხლის ბოლომდე ვერ ელირსებით ადამიანებთან შეხვედრას და ისიც, რასაც დაუტოვებთ ქვეყნიერებას, ვერასდროს ელირსება სინათლეს. დაიწყებდით რომანების, დრამების*

ან ლექსების წერას? რა თქმა უნდა არა... შემოქმედებით ნაკადს სჭირდება მეორე პოლუსი – გამგები, თანამგრძნობი, მკითხველთა წრე, კლასი, ხალხი, კაცობრიობა.[1]

მხატვრული აღქმა მხატვრული კომუნიკაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ფენომენია. იგი ფაქტობრივად მხატვრული კომუნიკაციის დასასრულად, მის დამაგვირგვინებლად მოიაზრება. აღქმის ხასიათს განსაზღვრავს მხატვრული ტექსტი, რეციპიენტის ინტელექტუალური შესაძლებლობა და პიროვნული თავისებურებები. გოეთე მხატვრული აღქმის სამ ტიპს გამოყოფდა – i) სილამაზით ტკბობა მსჯელობის გარეშე; ii) მსჯელობა ტკბობის გარეშე და iii) მსჯელობა ტკბობისას და ტკბობა მსჯელობისას. გოეთეს შეხედულებისამებრ, ის ვინც, მხატვრული აღქმის მესამე ტიპს განეკუთვნება, ხელახლა ქმნის ნაწარმოებს, მხატვრული ნაწარმოების ბუნების ადეკვატურად შეუძლია შეითვისოს მხატვრული აზრის მთელი სიმდიდრე.

შემოქმედებითი ნიმუშის რეციპიენტი (მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი) ინდივიდუალური თვისებების მატარებელია. არსებობს ასეთი ლეგენდა, რომ შექსპირის *ოტელოს* წარმოდგენისას მაყურებელი იმდენად იყო მოცული პიესით და იმდენად შეძრა იაგოს მუხანათობამ, რომ აიჭრა სცენაზე და მოკლა იაგო – მსახიობი. როდესაც მან გაიაზრა, რაც ჩაიდინა, თვითონაც მოიკლა თავი. ლეგენდის მიხედვით, ისინი ერთად დაკრძალეს და აუგეს ძეგლი წარწერით – *საუკეთესო მსახიობსა და საუკეთესო მაყურებელს*. ჩვენ ვერ განვსჯით რამდენად საუკეთესო იყო მაყურებელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ტრაგიკულად დასრულდა ის კომუნიკაციური პროცესი, რომელიც მაყურებელს შემსრულებელთან აკავშირებდა. საუკეთესო შემთხვევა ალბათ ისაა, როდესაც ემოციები და ტკბობა მსჯელობაში გადაიზრდება (ერთი და იმავე ნაწარმოების ზემოქმედება სხვადასხვა ეპოქაში არაერთგვაროვანია).

ნაწარმოების მხატვრული აღქმა სხვადასხვა გზით ხორციელდება – წაკითხვის შედეგად (მხატვრული ლიტერატურა), წარმოდგენის ყურებით (თეატრი), ტელე ან კინოეკრანიზაციის ნახვით, რადიოდადგმის მოსმენით, ე.ი. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა დახმარებით. აღქმის ეს საშუალებები სრულიად განსხვავებულია.

მხატვრული ნაწარმოების არსის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებებია გამოთქმული. ასე მაგალითად, XX საუკუნის ერთ-ერთი ანგლო-ამერიკული კონცეფციის *ახალი კრიტიკის* მიხედვით, ნაწარმოები წარმოადგენს ნახევარფაბრიკატს, რომელიც საჭიროებს საბოლოო სრულყოფას მხატვრული კრიტიკის მიერ. რეცეფციული ესთეტიკა ამტკიცებს, რომ ნაწარმოების შინაარსი და მისი ღირებულება

[1] Толстой А. Н., Собр. соч. в 10-ти томах., М., 1961, т.10, с.63.

არის ავტორისა და რეციპიენტის ცხოვრებისეული გამოცდილების ამსახველი ტექსტის ურთიერთქმედების *(დიალოგის)* შედეგი. რუსული ლიტერატურათმცოდნეობა მიიჩნევს, რომ ავტორი ასრულებს ტექსტს, რომელიც შეუცვლელია და თავის თავში ინახავს აღქმის "პროგრამას"; კრიტიკა ქმნის საზოგადოებრივ აზრს; მკითხველის მიერ ნაწარმოების აღქმის დიალოგურობა არ ცვლის ტექსტს, მაგრამ იძლევა მისი აღქმის სხვადასხვა ვარიანტს. ჩვენ ეს ბოლო შეხედულება მიგვაჩნია უფრო მართლზომიერად. თუმცა ვფიქრობთ, რომ სოციუმის ურთიერთობა მწერალთან ერთგვარ გავრცობას საჭიროებს.

ცხადია, ერთი და იმავე ლიტერატურული ნაწარმოების წაკითხვა განსხვავებულია სხვადასხვა ეპოქაში და სრულიად ბუნებრივია, რომ ასევე განსხვავდება მწერლის თანადროული და მისი შემდეგდროინდელი მკითხველის მიმართება ნაწარმოებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ ნიშნის მიხედვით ლიტერატურული კომუნიკაციის პროცესიც შეიძლება ორგვარი იყოს. შესაბამისად, ლიტერატურული კომუნიკაციის პირველი მოდელი იქნება *მწერალი და მისი თანამედროვეობა*.



ეს მოდელი ასახავს მწერლისა და მისი თანამედროვე მკითხველის ურთიერთობას. მწერლის სიცოცხლეში ამ პროცესს ორმხრივი ხასიათი აქვს. მწერალი აგზავნის ნაწარმოებს მკითხველთან; შემდეგ იწყება შექცევადი პროცესი – მკითხველი გონებაში გადაამუშავებს ნაწარმოებს, ქმნის მის სხვადასხვა ვარიანტს. თავის მხრივ მწერალიც უბრუნდება ნაწარმოებს და აკვირდება მის ზემოქმედებას გარემომცველ სინამდვილეზე. ასე რომ, მწერლის მიერ ნაწარმოების გაგზავნისა და მკითხველის მიერ მისი მიღების შემდეგ, ორივე მხარე უბრუნდება ნაწარმოებს. გარდა ამისა, მკითხველი პირდაპირ კავშირსაც ამყარებს მწერალთან.

მწერლისა და მისი მკითხველის დამოკიდებულებასთან დაკავშირებით ქართველი მკითხველის გონებაში ამოტივტივდება ალექსანდრე ყაზბეგის *ელგუჯას* გადარჩენის ისტორია, რომელიც წიგნის პირველ მკითხველებთან – ასოთამწყობებთან არის დაკავშირებული. ეს მოთხრობა პირველად 1881 წელს გაზეთ *დროებაში* (№ 125-251) დაიბეჭდა და მთავრდებოდა ოფიციალური რედაქციის პირველი თაყვის ბოლოს *ელგუჯას* სიკვდილით, რამაც შეაშფოთა ასოთამწყობები და მათი თხოვნით მწერალმა გააგრძელა თხრობა. დასრულებული ნაწარმოები ცალკე წიგნად გამოვიდა 1884 წელს, მაგრამ ცენზურამ აკრძალა ეს გამოცემა და ტირაჟი დაწვა.

არსებობდა მოარული ამბავი, რომ ამ წიგნის ეგზემპლარები ნაწარმოებით მოხიბლულმა ასოთამწყობებმა გადამალეს და ასე გადაარჩინესო. 1933 წელს ასოთამწყობ ზ. კოტეტიშვილის მემკვიდრეების ოჯახში მართლაც იქნა მიკვლეული 1884 წელს დაბეჭდილი *ელგუჯას* ერთი ცალი. მას შემდეგ დამკვიდრდა *ელგუჯას* ეს რედაქცია.

მწერლისა და მკითხველის ურთიერთობას ცხადად ასახავს გადამწერების მიმართება *ეეფხისტყაოსანთან*. მათ ხომ სწორედ ნაწარმოების ინდივიდუალური აღქმის შედეგად გამოთქმული ნააზრევი შეჰქონდათ ტექსტში, რომლის დადგენაზე უკვე საკმაო ხანია მუშაობს სპეციალური კომისია.

ამ აზრის ნათელსაყოფად მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ჩარლზ დიკენსის შემოქმედებითი ბიოგრაფიიდან. მისი რომანის *ნიკოლას ნიკლბის* გამოცემის შემდეგ, დიკენსის დიდი თანამედროვე უილიამ თეკერეი მკითხველების შთაბეჭდილების შესახებ აღფრთოვანებული წერდა და იმოწმებდა ერთ ქალბატონს, რომელიც კითხულობდა *ნიკოლას ნიკლბის*, როდესაც კარგ გუნებაზე იყო, კითხულობდა *ნიკოლას ნიკლბის*, როდესაც უხასიათოდ იყო, კითხულობდა *ნიკოლას ნიკლბის*, როდესაც დაღლილობას გრძნობდა, კითხულობდა ნიკოლას ნიკლბის, როდესაც თავისუფალი იყო და როდესაც ამთავრებდა წიგნს, კვლავ იწყებდა *ნიკოლას ნიკლბის* კითხვას. ამ ამბავს მკითხველის ახირებას ნუ მივაწერთ. ვაჟა-ფშაველას აქვს გამოთქმული მოსაზრება, რომ ნიჭიერი მწერალია ის, *ვისი ნაწარმოებიც, რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, მით კიდევ მადას გიღვიძებს ახლად წაკითხვისას. მაშასადამე, ნაწარმოებში უნდა იყოს ჩაქსოვილი უკვდავ ჭეშმარიტება, სამარადისო მშვენიერება...*

თუ რა ზეგავლენა მოახდინა ამ ნაწარმოებმა თანადროულ განათლების სისტემაზე, ამაზე თავად მეტყველებს ის პროცესები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ინგლისში. პრესაში გამოჩნდა ინგლისის ჩრდილოეთიდან გამოგზავნილი ერთი პედაგოგის სევდით სავსე, მაგრამ მეტად კომიკური წერილი. *მისტერ დიკენსის ახალმა გამოცემამ თავისი აუდმყოფური რჩევებით, ქარიშხალივით ჩამოუქროლა ჩრდილოეთის სკოლებს*, წერდა იგი. ეს იყო იაფფასიანი სკოლის – დოთბოის ჰოლის მეპატრონე. ჩრდილოეთის საგრაფოები ამგვარი სკოლების სიმრავლით გამოირჩეოდა. მშობლები შეძრწუნებული იყვნენ და უამრავი ბავშვი გადაიყვანეს იმ სასწავლებლებიდან, სკოლების მეპატრონეები იძულებული შეიქნენ დაეხურათ თავიანთი ე.წ. საგანმანათლებლო კერები, პედაგოგებს სკვირსებს ეძახდნენ, კრიტიკამ თავისი ნაყოფი გამოიღო – სკოლაში ბიჭებს ზურგს წკეპლებით ისე აღარ უჭრელებდნენ, ულუფაც გაზარდეს, უფრო მეტი და ხარისხიანი ხორცითა და რძით კვებავდნენ.

დიკენსი – მწერალი აკვირდებოდა თავისი ნაწარმოების ზემოქმედების ძალას. *პიკ-ვიკის კლუბის ჩანაწერების* გამოქვეყნებიდან ათიოდე წლის შემდეგ ამ რომანის ხელახალი გამოცემის წინასიტყვაობაში იგი ერთგვარი კმაყოფილებით წერდა, ნაწარმოების თავიდან გადათვალიერებისას ვრწმუნდები, რომ ამ წიგნის პირველი გამოცემის შემდეგ ქვეყნის ისტორიაში ნელ-ნელა და შეუმჩნევლად სერიოზული ცვლილებები მოხდა უკეთესობისაკენო. სამართლებრივ რეფორმებს უკვე გამოეღო შედეგი – შეცვლილიყო კანონები ვალების გამო დატუსაღების შესახებ, თუმცა კვლავ მისახედი რჩებოდა ადვოკატების საქმიანობა, სასამართლო და მისი მოხელეები, საპარლამენტო არჩევნების სისტემა. მწერალი გამოთქვამდა რწმენას, რომ რეფორმები სრულყოფილად განხორციელდებოდა და კიდევ ბევრი რამ გაუმჯობესდებოდა ქვეყანაში.

გვინდა ასევე გავიხსენოთ ერთი ისტორია, რომელიც ეხება დიკენსის *დიდი იმედების* საბოლოო ვერსიის შექმნას. პირველი ვერსიის მიხედვით მწერალი ნაწარმოების მთავარ გმირს პიპს, რომელსაც მძიმე ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა მიღებული, რომანის ბოლოს ტოვებდა მარტოდ მარტო, საკუთარი ოჯახის გარეშე. დიკენსის მეგობარმა, მისი თხზულებების პირველმა მკითხველმა, მწერალმა ბულვერ ლიტონმა დაიყოლია დიკენსი შეეცვალა რომანის ბოლო თავი. ამის შესახებ დიკენსი თავის ბიოგრაფ ფორსტერს წერდა:

– მგონი უკვე გითხარით, რომ ბულვერს ძალიან მოსწონს ეს რომანი. მისი წაკითხვის შემდეგ იგი მარწმუნებდა, რომ დასასრული უნდა შემეცვალა. მან ისეთი საფუძვლიანი არგუმენტები მოიყვანა, რომ დამითანხმა. მე დავწერე ერთობ სანდომიანი ახალი დასასრული და ეჭვი არ მეპარება, რომ ამ სახით ის უფრო მისაღები იქნება.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, კიდევ ერთი რამ ხდება ნათელი, რომ მწერალი თავისი ნაწარმოებით კონტაქტს ამყარებს არა მხოლოდ ინდივიდუალურ მკითხველთან, არამედ მთელ სოციუმთან. მწერალი ხდება არა მხოლოდ ხელოვანი, რომელიც მკითხველის ტკბობისთვის წერს, არამედ მისი ხალხის წინამძღოლი, რომელიც საზოგადოებას უღვიძებს მიძინებულ ცნობიერებას, არ აძლევს დამახინჯებულ კანონმდებლობასთან, უზნეობასთან შეგუების საშუალებას, განაპირობებს მის გამოცოცხლებას, ამოქმედებას და საზოგადოებრივი ნების გამოხატვის სურვილს ალუძრაებს. ამდენად, გრაფაში *მკითხველი*, არა მარტო ინდივიდი, არამედ მკითხველი საზოგადოება იგულისხმება.

მკითხველის გემოვნების, მისი მოთხოვნილებებისამებრ მწერალმა შეიძლება დააზუსტოს, შეცვალოს გარკვეული პასაჟი ან გააგრძელოს თხრობა. ამას გარდა, მწერლის თანამედროვე მკითხველს უპირატესობა აქვს მის შემდეგდროინდელ მკითხველთან შედარებით იმ თვალსაზრისით, რომ მან შეიძლება ცოცხალი კონტაქტი დაამყაროს მწერალთან, რაც ცხადია, ნაწარმოებზე კიდევ სხვა კუთხით დაფიქრების საშუალებას მისცემს მას.

ჩვენი თვალთახედვით, ლიტერატურული კომუნიკაციის მეორე მოდელი იქნება *მწერალი და მომავალი ეპოქები*.



ამ მოდელის მიხედვით მკითხველი ღებულობს ნაწარმოებს, რომელიც შექმნილია არა მის თანამედროვეობაში, არამედ მანამდე. ამ შემთხვევაში მკითხველს საშუალება ეძლევა ნაწარმოების მიხედვით აღადგინოს უკვე გარდასული ეპოქა, პარალელი გაავლოს თანამედროვეობასთან, გამოავლინოს, რა ცვლილებები მოხდა მას შემდეგ საზოგადოებრიე ცხოვრებასა თუ ინდივიდის ფსიქიკაში, რა პრობლემები დარჩა უცვლელი და ა.შ. ასე რომ, მყარდება გარკვეული ურთიერთმიმართება ნაწარმოებსა და მკითხველს შორის. მწერლის გენიალობა იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ დასმული ზოგადადამიანური პრობლემები გარდა იმისა, რომ თავის დროს ასახავს, მომავალ ეპოქებშიც აქტუალურად რჩება, ვინაიდან ძირითადად იცვლება ზნეობრივი ნორმები, პოლიტიკური სტრუქტურა, ეკონომიკა, ადამიანის ფსიქოლოგიური წყობა კი ნაკლებად მობილურია. ამიტომ დიდი ნაწარმოები მომავალ ეპოქებსაც ეხმიანება და თამამად უძლებს ჟამთა სვლას.

ამგვარად, ჩვენ წარმოვადგინეთ ორი მოდელი: *მწერალი და მისი თანამედროვეობა* და *მწერალი და მომავალი ეპოქები*, რაც ვფიქრობთ, მეტ-ნაკლებად სრულად წარმოაჩენს ლიტერატურული კომუნიკაციის პროცესს. ორივე შემთხვევაში ერთი რამ უდავოა – რაც არ უნდა ბევრი ვიმსჯელოთ გამგზავნსა და მიმღებზე ლიტერატურულ სამყაროში, ძირითადი ფუნქცია გზავნილებას ენიჭება. მწერლისა და მკითხველის არსებობის პირობებში ყველაზე მთავარ და რთულ სისტემას მხატვრული ნაწარმოები წარმოადგენს.

მსოფლიო ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა

XXI საუკუნის გადასახედიდან ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რა სიახლით ხასიათდებოდა მეორე ათასწლეული და რა იყო კაცობრიობის ყველაზე დიდი მონაპოვარი ამ პერიოდში. ჩვენი გაგებით, დროის ამ მონაკვეთის უმთავრეს ღირსებად უნდა ჩაითვალოს თანამედროვე ცივილიზაციის შექმნა. ცივილიზაციის ცნება მეცნიერებაში არაერთგვაროვნად არის განმარტებული. მას ხმარობენ კულტურის სინონიმად, საზოგადოებრივი განვითარების, მატერიალური და სულიერი კულტურის დონის აღსანიშნად, ბარბაროსობის შემდეგი საფეხურის სახელწოდებად (კლასიფიკაციაში ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია); ცივილიზებულს უწოდებენ საზოგადოებას, დაფუძნებულს გონებასა და სამართლიანობაზე; ზოგიერთი განმარტება კულტურას, როგორც ორგანულ-სასიცოცხლო სამყაროს, უპირისპირებს ცივილიზაციას, როგორც ტექნიკურ-მექანიკური ელემენტების ერთობლიობას; ცივილიზაცია განსაზღვრულია როგორც კვლევის მიზნით ხელოვნურად გამოყოფილი ისტორიული პერიოდი; ზოგიერთ მეცნიერს ტექნიკის ბატონობა მიაჩნია ცივილიზაციის მაჩვენებლად, ზოგიერთს დიდი ქალაქების ზრდა, ზოგსაც გონითი განვითარების სფეროში დეგრადირება, დეჰუმანიზაცია. რუსოს მსგავსად ფურიეც აღნიშნავდა, რომ საზოგადოების დაღმაყალ განვითარებას ცივილიზაციის გზით საზოგადოების დაღუპვამდე მივყავართ. სწორედ ფურიეს ემყარებოდა შპენგლერი, როდესაც ამტკიცებდა, რომ ცივილიზაცია დაცემის ეპოქაა. ცივილიზაციაზე მსჯელობისას თანამედროვე მეცნიერებიც კი გვერდს ვერ უვლიან არნოლდ ტოინბის თეორიულ მოსაზრებებს, თუმც აღნიშნავენ რომ ტოინბი მოძველდა.

ჩვენ ცივილიზაციას მოვიაზრებთ, როგორც ადამიანთა კულტურული დაჯგუფების ყველაზე მაღალ საფეხურს, თანადროული მსოფლიოს განვითარების დონესთან შედარებით დაწინაურებულ წარმონაქმნს, რომელსაც საფუძვლად უდევს მაღალგანვითარებული და პროგრესული სააზროვნო სისტემა, რეალიზებული საზოგადოებრივ, ფილოსოფიურ, კულტურულ შეხედულებებსა და მატერიალურ ფასეულობებში.

ცივილიზაციის თვისებაა ის, რომ იგი გეოგრაფიულად ცვალებადია, დროის რაღაც მონაკვეთში გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში აღმოცენდება, არსებობს, ქრება, შემდეგ განახლებული, ან სრულიად ახალი სახით სხვა ტერიტორიაზე კვლავ აღმოცენდება... ასეთი იყო დიდი აღმოსავლური ცივილიზაცია, ანტიკური ცივილიზა-

ცია, ხოლო თანამედროვე, მეორე ათასწლეულის ცივილიზაციად ევროპული, ქრისტიანული ცივილიზაცია მიგვაჩნია.

ასეთი დროითი ჩარჩოდან გამომდინარე, ქართული კულტურა და კერძოდ, ქართული ლიტერატურა ევროპული ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი ხდება. რამდენად განეკუთვნება ჩვენი ლიტერატურის შედევრი *ვეფხისტყაოსანი* დასავლურ ცივილიზაციას, ამაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

შ. ნუცუბიძემ დასავლური რენესანსის ანალოგიით წამოწია ტერმინები – ქართული რენესანსი და აღმოსავლური რენესანსი და ტერიტორიული ფაქტორის გათვალისწინებით ქართული რენესანსი აღმოსავლეთში მოიაზრა. თავის ნაშრომში *რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი* მისთვის მნიშვნელოვანი იყო იმის გამოკვლევა, რომ *ქართულ რენესანსში ვხვდებით იმასვე, რაც მეტ-ნაკლები ცვლილებებით შეინიშნება ზოგადდრენესანსში – როგორც აღმოსავლეთში, ასევე დასავლეთში.*[1] მას მსოფლიო რენესანსის კვლევა ქართული რენესანსის შესწავლის გაუთვალისწინებლად სრულიად მიუღებლად მიაჩნდა.[2] შემდეგ რიგი მეცნიერები აგრძელებდნენ რა ზოგადად აღმოსავლური რენესანსისა და აღმოსავლეთის სხვადასხვა ეროვნულ კულტურაში რენესანსის კვლევას (ნ. კორნადი, ა. ლოსევი, დ. ლიხაჩოვი, ვ. ჩალოიანი, ვ. ჟირმუნსკი, ა. გაჯიევი), აღმოსავლურ რენესანსს გეოგრაფიული სივრცისა და ლიტერატურული ეპოქის გარდა, ახროვნების სტილის მიხედვითაც განასხვავებდნენ ევროპული რენესანსისაგან და რუსთველი აღმოსავლურ მოვლენად მიაჩნიათ. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ე. ხინთიბიძე. იგი რუსთველს არ თვლის აღმოსავლური რენესანსის წარმომადგენლად და აცხადებს, რომ *ვეფხისტყაოსანის* მსოფლმხედველობითი პრობლემატიკა გვიანდელი შუასაუკუნეების პრობლემატიკაა, ხოლო მისი რუსთველისეული გადაწყვეტა უახლოვდება რენესანსის ეპოქის ახროვნებას. ბოლო პერიოდის სამეცნიერო ლიტერატურაში მან დაამკვიდრა ახრი იმის შესახებ, რომ *რუსთველის მსოფლმხედველობა, ორგანული და კანონზომიერი ნაწილი ქართული საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული ახრის განვითარებისა, დგას ქრისტიანული ახროვნების განვითარების მაგისტრალურ ხაზზე და თავისი საერთო ხასიათით შეესაბამება საზოგადოებრივ-ფილოსოფიური და ლიტერატურული ახრის განვითარებას გვიანდელი შუასაუკუნეების, ანუ წინარე რენესანსის ეპოქის ევროპაში. რუსთველის შემოქმედების რენესანსული ელემენტი სწორედ ევროპული და ქრისტიანული ტიპისაა (ხაზგასმა ჩვენია, მ.ო.). რენესანსულ ელემენტს რუსთველის პოემაში აღმოსავლური შეიძლება ეწოდოს მხოლოდ გეოგრაფიული თვალსაზრისით, ხოლო თავისი მსოფლმხედველობის არსით რუსთვე-*

[1] Ш. Нуцубидзе, Руставели и Восточный Ренессанс, Тб., 1967, с.169

[2] იქვე, გვ. 279.

ლის შემოწმება ზოგადქრისტიანული და, ამდენად, თუ პირობითად ვიტყვით, დასავლური ხასიათისაა.[1]

თანამედროვე განმარტებით საქართველო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპადაა ცნობილი. ტერიტორიულად იგი ყოველთვის ევრაზიის კონტინენტის ევროპულ ნაწილს, მის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთს განეკუთვნებოდა. ევროპის საბჭოში საქართველოს გაწევრიანებით კიდევ ერთხელ დადასტურდა ეს ფაქტი. *მაგრამ რამდენად წმინდა ევროპულია თვით ქართული კულტურა და ქართული ცივილიზაცია?* (ცივილიზაციის ცნებაში, როგორც ჩანს, მეცნიერი ქართულ კულტურას გულისხმობს მთელი მისი განვითარების გზაზე, მ. ო.) *რომელ სამყაროს განეკუთვნება საქართველო კულტურულ-ისტორიულად – დასავლურს თუ აღმოსავლურს, როგორ კულტურულ-ისტორიულ კავშირებს ავლენს ქართული სახელმწიფო თავისი სამიათასწლოვანი ისტორიის მანძილზე* – ამგვარად სვამს კითხვას თ. გამყრელიძე.

თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, *ბუნებრივია ქართული კულტურა და ცივილიზაცია სწორედ დასავლურ-აღმოსავლური კულტურების სინთეზსა და სიმბიოზს წარმოადგენს, აღმოცენებულს ამ კულტურათა შერწყმისა და შერევის შედეგად. ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის აკვანად სამართლიანად ანტიკური ბერძნული კულტურა და ცივილიზაცია ითვლება. თვით ეს ბერძნული ელინური კულტურა მჭიდროდ არის დაკავშირებული თავისი ფესვებით ძველ აღმოსავლურ ცივილიზაციებთან.* თ. გამყრელიძე გამოთქვამს აზრს, რომ *ამ პროცესში წინარეისტორიულ ქართულ კულტურულ ტრადიციებსაც გარკვეული წვლილი უნდა შეეტანა.*[2] ამდენად, ბუნებრივია, რომ ქართული კულტურის განვითარებაზე დროის სხვადასხვა პერიოდში მეტ-ნაკლებ გავლენას ახდენდა როგორც დასავლური, ასევე აღმოსავლური კულტურა. სწორედ ამ მიზნით იკვლევდა ქეთრინ ვივიანი აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტებს *ვეფხისტყაოსანში*,[3] რამაც საშუალება მისცა დასკვნისთვის, რომ პოემა წარმოადგენს მთელი შუასაუკუნეების ლიტერატურის ინტეგრალურ ნაწილს.

ნაციონალური ტრადიციებით ნასაზრდოები და აღმოსავლური და დასავლური კულტურის ელემენტებით გაჯერებული პოემა შეიქმნა იმ პერიოდში, როდესაც ცივილიზა-

[1] ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული «ვეფხისტყაოსანში», თბ., 1993, გვ. 218.

[2] თ. გამყრელიძე, საქართველო ევროპა, თუ აზია? გაზ. ლიტერატურული საქართველო, 4-10 ივლისი, N27, 2003.

[3] K. Vivian, Vepkhistqaosani: Elements From Eastern and Western Cultures, Bedi Kartlisa, revue de Kartvelologie, vol. XXXIX, Paris,1981, pp. 216-221.

ციის კერა დასავლეთისაკენ ინაცვლებდა, ევროპაში იწყებდა აღმოცენებას. ასე რომ, სწორედ გეოგრაფიული ფაქტორისა და პოემის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით იგი ევროპული ცივილიზაციის ნაწილად მოიაზრება. ამდენად, საუსებით ლოგიკურია ევროპელ მეცნიერთა კვლევის მიმართულება – *ვეფხისტყაოსნის* თანადროული ევროპული ლიტერატურის კონტექსტში გააზრება. თანამედროვე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიზანიც ფაქტობრივად ამგვარადეა გამოკვეთილი – შეისწავლოს ქართული მწერლობის ადგილი ევროპულ ლიტერატურაში. აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ქართულმა მწერლობამ თავისი განვითარების გზაზე მხატვრულად ასახა ერის პოლიტიკური, სოციალური, სარწმუნოებრივი, ყოფითი თუ სხვა პრობლემები, ქარტეხილები თუ მშვიდობიანი ცხოვრება. ქართველი ხალხისათვის ძველთაგანვე მიუღებელი იყო ეთნიკური კარჩაკეტილობა. ამ თავისებურებამ დადებითი როლი შეასრულა ჩვენი ლიტერატურისათვის. ნიშანდობლივია, რომ ქართული ლიტერატურა ყოველთვის ცდილობდა არ ამოვარდნილიყო ეპოქის საერთო საპაროვნო სისტემიდან. პირიქით, მის წიაღში განვითარებულიყო და იმავდროულად თვითმყოფადობაც შეენარჩუნებინა. სწორედ ამაში მდგომარეობს ქართული ლიტერატურის სიძლიერე.

***

პირველად იყო სიტყვა, ასე ამბობს ბიბლია სამყაროს შექმნის შესახებ. მხატვრული სამყარო, რომელსაც ლიტერატურა ქმნის, სწორედ ამ ფორმულიდან მიმდინარეობს. ლიტერატურა ცოცხალი, მგრძნობიარე და მოძრავი მხატვრული სისტემაა, რომელიც სათუთად რეაგირებს ცხოვრებისეულ ცვლილებებზე და ამ ცვალებადობაში წარმოადგენს ერთიანობას. ლიტერატურულ პროცესს ძირითადად ისტორიული მოვლენები წარმართავს. მსოფლიო ლიტერატურის ეტაპები ფაქტობრივად მსოფლიო ისტორიისას ემთხვევა. ამასთანავე ისტორიული პროცესების არათანაბარი განვითარება სხვადასხვა ქვეყანაში განაპირობებს არა მარტო ლიტერატურათა ქრონოლოგიურად არათანაბარ განვითარებას, არამედ განსხვავებასაც სხვადასხვა ქვეყნის მსგავს ლიტერატურულ ეპოქებს შორის. აქედანვე გამომდინარეობს ის ფაქტი, რომ ყველა ლიტერატურა არ გადის ერთსა და იმავე სტადიებს. ყველა ქვეყნის ლიტერატურაში შეიძლება არ აღმოჩნდეს რენესანსის ეპოქა, მაგრამ ლიტერატურაში მისი ისტორიული ანალოგიების მოძებნა შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ იმ მოსაზრებას, რომ მსოფლიო ლიტერატურა მსოფლიო ისტორიის შემადგენელი ნაწილია და ამ თვალსაწიერიდან უნდა მოხდეს მისი შესწავლა. ე. ი. *მსოფლიო ლიტერატურა განიმარტება, როგორც ლიტერატურული პროცესი მსოფლიო ისტორიის კონტექსტში.*

ჩვენი დაკვირვებით ლიტერატურული ანალოგიები ორი სახის შეიძლება იყოს – ტიპოლოგიური და გენეტიკური. ავტორთა დიდი ნაწილი ლიტერატურათშორის *კონტაქტურ კავშირსაც* გამოყოფს და ფაქტობრივად ლიტერატურათა იმ გარეგან კავშირებს გულისხმობს, რასაც ჩვენ ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებად მივიჩნევთ (თარგმანი, სესხება, მიბაძვა, გადმოკეთება, ალუზია, რემინისცენცია...). ამასთანავე თვითონ ტერმინიც არ არის გამართული, ვინაიდან კონტაქტი სწორედ კავშირს ნიშნავს. მსოფლიო ისტორიასთან კავშირით შეიძლება აიხსნას ზოგადლიტერატურული პროცესის ისეთი მნიშვნელოვანი ფენომენი, როგორიცაა ტიპოლოგიური მსგავსება. თვითონ ტერმინი *ტიპოლოგია* გულისხმობს საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაციას მათი საერთო თვისებების გათვალისწინებით. ე.ი. ამ შემთხვევაში ლიტერატურულ ფაქტებსა და მოვლენებს უნდა მიეცეთ მეცნიერული სისტემატიზაციის სახე მსგავსება-განსხვავებათა საფუძველზე. ტიპოლოგიური სიახლოვე შეიძლება ჰქონდეთ როგორც თანადროულ ასევე სხვადასხვა დროის ერთი ლიტერატურის შიგნით მიმდინარე მოვლენებსა, თუ სხვადასხვა კონტინენტის ლიტერატურებს საერთო ისტორიულ-კულტურული გენეზისისა და კონტაქტებისგან დამოუკიდებლად. ლიტერატურული ფაქტების მსგავსების მიზეზი შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი და კულტურული განვითარების მსგავსი პირობები ან გარეგანი კავშირების ზემოქმედება.

ტიპოლოგიური მსგავსებები შეიძლება იყოს სინქრონული და დიაქრონული. დიაქრონული ტიპოლოგია განპირობებულია არათანაბარი საზოგადოებრივი განვითარების გამო სხვადასხვა რეგიონის ლიტერატურებში სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობისა და მხატვრული მეთოდების არათანადროული ჩამოყალიბებით ან გარეგანი კავშირების გავლენით.

გენეტიკური მსგავსება გულისხმობს ლიტერატურათა საერთო წარმომავლობას; მონათესავე ლიტერატურების განვითარების ანალოგიურ თავისებურებებსა და ტენდენციებს, რომლებიც განპირობებულია საერთო გენეზისით – საერთო ისტორიული ფესვებით, საერთო ლიტერატურული ან ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით.

***

ლიტერატურულ პროცესს და არა მარტო ლიტერატურულს, შემოქმედებით პროცესს და საზოგადოდ, სააზროვნო პროცესს თან სდევს ტრადიციულისა და ნოვატორულის მონაცვლეობა, შერწმა. ნოვატორობა – პროგრესის გამომწვევი ცვლილება, ხელს უწყობს ნაწარმოების მხატვრულ-კონცეპტუალური შესაძლებლობების ზრდას. მაგრამ ფაქ-

ტია, რომ ჭეშმარიტი ნოვატორობა ტრადიციებს ემყარება და სათუთ დამოკიდებულებას ავლენს კულტურული მემკვიდრეობისადმი. ეს პროცესი იმ მარადიულობის გამომხატველია, რომელზეც გურამ თევზაძე მიუთითებს – *რომელიმე საუკუნის ფილოსოფიური აზრი, ცხადია, მისი ქრონოლოგიური სწყისიდან არ იწყება, ეს მემკვიდრეობის ათვისების და სიახლის, ტრადიციისა და ნოვაციის შერწყმის რთული პროცესია. ამ პროცესში ძველი ახალ შინაარსს იძენს და ხშირად თვლის, რომ ის, რაც ახლადაა მიჩნეული, მასში უკვე მოცემული იყო. თავის მხრივ, ახალი ხშირად მიიჩნევს, რომ ძველი მხოლოდ კრიტიკის ობიექტია მისთვის. ამ დაპირისპირებაში, როგორც წესი, დგინდება, რომ ორივე მხარე გადაჭარბებით აფასებდა თავის შესაძლებლობებს. ამის გაცნობიერება ქმნის ფილოსოფიას და საერთოდ, კულტურის უწყვეტი განვითარების რეალურ გაგებას.*[1]

კულტურის დარგების და, კონკრეტულ შემთხვევაში, ლიტერატურის უწყვეტი განვითარება, ცხადია, არ ნიშნავს ერთი რომელიმე ნაციონალური ლიტერატურის უწყვეტობას, იგი ზოგადლიტერატურული პროცესის უწყვეტ განვითარებას გულისხმობს.

თითქმის ყოველი ეროვნული მწერლობა ჩამოყალიბებისთანავე გარკვეულ ლიტერატურულ პროცესში ერთვება. ამ პროცესში გაერთიანება შეიძლება მოხდეს ტერიტორიული სიახლოვის, პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის, რელიგიური თუ საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების თანაბარი განვითარების გამო. ამ დროს ლიტერატურები ეცნობიან ერთმანეთის მიღწევებს – იღებენ და გასცემენ გამოცდილებას და დიდი ლიტერატურული ენერგიის დაგროვების შედეგად (რაც ცხადია, უმეტესად ქვეყნების ისტორიულ განვითარებაზეა დამოკიდებული), ლიტერატურულ ეპოქებს ქმნიან. ასე რომ, დროის გარკვეული პერიოდი, რომელიც ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა, ახალ ლიტერატურულ ეპოქას ქმნის. ლიტერატურულ ეპოქებს საფუძვლად უდევს მეტად მგრძნობიარე და მობილური ერთიანი საარსებო სისტემა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურებს ინდივიდუალურთან ერთად, საერთო მახასიათებლებიც გააჩნია, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ლიტერატურის შიგნით მიმდინარე მოვლენებს. ლიტერატურული პროცესის მთავარი მახასიათებლები ჩვენ ამგვარად გვაქვს გაზრებული:

> *ლიტერატურა ისტორიულად ცვალებადი ორგანული სისტემაა, რომელიც მხატვრულად ასახავს თანამედროვე ცხოვრებას, აცოცხლებს წარსულს, ან წარმოსახვით ხატავს მომავლის სურათებს.*

[1] გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002, გვ. 21.

მხატვრული ლიტერატურა, გარდა იმისა, რომ თავის ეროვნულ ტრადიციებს ეფუძნება, ვითარდება სხვა ლიტერატურებთან ურთიერთობის, ურთიერთქმედების, ურთიერთზეგავლენის, ურთიერთგამდიდრების სფეროში.

ლიტერატურა შეიცავს ტრადიციისა და ნოვაციის ელემენტებს. გარკვეული დროის შემდეგ ნოვაციის ზოგიერთი ელემენტი შეიძლება ტრადიციული გახდეს, დრომ კი თავისი სიახლე მოიტანოს. ტრადიციისა და ნოვაციის მონაცვლეობა მუდმივად გრძელდება და ლიტერატურის უწყვეტ განვითარებას განაპირობებს.

ეროვნული ლიტერატურა, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში უფრო ძლიერია და რომლის სიახლეც უფრო პროგრესული, განსაზღვრავს ეპოქის ზოგად კანონზომიერებებს ერთიან საზროვნო სივრცეში.

***

მსოფლიო ლიტერატურის ცნება სხვადასხვანაირად არის გაგებული და ფორმულირებული მეოცე საუკუნის მეცნიერებაში – მსოფლიოს წერილობითი ძეგლების ჯამი, მათი წარმოშობიდან თანამედროვეობამდე; მსოფლიო ლიტერატურა, როგორც ერთაშორისი კონტაქტები; მსოფლიო ლიტერატურა, როგორც ლიტერატურული პროცესის *ეროვნული შეზღუდულობის* გადალახვა (ამ კონცეფციიდან გამომდინარე, იგი უნდა განიხილებოდეს როგორც ზეეროვნული *supernational)*; მსოფლიო ლიტერატურა, როგორც უმნიშვნელოვანესი რამ წერილობითი მხატვრული სიტყვის ხელოვნებაში, რომელიც არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ხალხის კულტურის საგანძურია, არამედ შედის სხვა ეროვნულ კულტურათა აქტიურ ფონდში; მსოფლიო ლიტერატურა – დიდ ქმნილებათა და მწერალთა პანთეონი, რომლებსაც აქვთ უნარი ამაღლდნენ თავის დროსა და სივრცეზე; მთელი მსოფლიოს სხვადასხვაენოვან და სხვადასხვაეროვან ლიტერატურათა ერთობლიობა; მსოფლიო ლიტერატურა, როგორც კაცობრიობის სულიერი მოღვაწეობის განსაკუთრებული სფერო და მისი კულტურის ნაწილი, რომელიც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ისტორიის, იდეათა თუ კლასობრივი ბრძოლების ისტორიისაგან განუყოფლად უნდა იქნას შესწავლილი და ა.შ.

ასევე არაერთგვაროვანი მოსაზრებები არსებობს მსოფლიო ლიტერატურის წარმოშობის დროსთან დაკავშირებით. მაგალითად, აღმოსავლური ლიტერატურები,

რომლებიც უძველეს წარსულში იწყებენ არსებობას, განიხილება შუასაუკუნეებიდან, იმ დროიდან, როდესაც ევროპა ეზიარა არაბულ პოეზიას; ზოგჯერ კი უფრო გვიანი დროიდან, მე-19 საუკუნიდან, როდესაც დასავლეთში დაიწყო აღმოსავლური კულტურის ფართოდ ათვისება; არის ასეთი აზრიც, რომ მსოფლიო ლიტერატურა ჩამოყალიბდა მსოფლიო ბაზრისა და საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებასთან ერთად; სხვა მოსაზრებით, მსოფლიო ლიტერატურის წარმოშობის შესაძლებლობა გადატანილია მომავალში, როდესაც აღარ იქნება იდეოლოგიური და ენობრივი ბარიერები; საპირისპირო განმარტების თანახმად, მსოფლიო ლიტერატურა არსებობს პირველი წერილობითი ძეგლების შექმნის დროიდან...

ამ ჩამონათვალიდან უკვე ცხადი ხდება, რომ მსოფლიო ლიტერატურის ცნების თითოეულ განმარტებაში ჩადებულია გარკვეული კონცეფცია. ამიტომ ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ ჩამოყალიბდა ეს მოსაზრებები მეოცე საუკუნის ლიტერატურათმცოდნეობაში.

მსოფლიო ლიტერატურის, როგორც ამგვარი მოვლენის არსებობას გარკვეულ პერიოდში ეჭვქვეშ აყენებდა ი.ჰანკისი და მიიჩნევდა, რომ მასზე დადებითი პასუხის გასაცემად მეცნიერებას უნდა ჩაეტარებინა ბევრი მოსამზადებელი კვლევა, რომელიც გამოავლენდა ეროვნულ ლიტერატურებში საერთო პრობლემების არსებობა-არარსებობას, გაარკვევდა, თუ რამდენად *ორგანული* იყო ლიტერატურული პროცესისათვის ლიტერატურის ისტორიაში მოქმედი ეროვნებათშორისი კავშირები და სხვა *ინტერნაციონალური თუ ზენაციონალური ძალები (manifestations internationales ou supranationales)*, რომელთაც თითოეული ლიტერატურა გაჰყავდა იმ სფეროს გარეთ, რომელშიც ის ალმოცენდა. იგი საჭიროდ მიიჩნევდა ცალკეულ ლიტერატურათა ისტორიის პარალელურ კვლევას, სხვადასხვა ლიტერატურის უდიდეს თხზულებათა შედარებით დახასიათებას და იმის გარკვევას თუ საერთოდ რამდენად შესაძლებელი იყო მათი შეპირისპირება... მანამდე ვიდრე მეცნიერება არ დააგროვებდა შედარებით შედეგებს, ჰანკისი ფიქრობდა, რომ უმჯობესი იყო თავის შეკავება ტერმინისაგან *მსოფლიო ლიტერატურა*, ვინაიდან იგი არის ძალიან ფართო და მისი გაანალიზება მეცნიერებას დიდი სირთულის წინაშე დააყენებდა. იგი წერდა, რომ რამდენადაც მსოფლიო ლიტერატურის *ისტორია* იგება როგორც გამოკვლევა იდეათა, თემათა, სახეთა მიგრაციის შესახებ, ან როგორც ერთი ლიტერატურის ისტორია მისი მრავალრიცხოვანი კავშირების ფონზე, ამიტომ სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს საქმის რეალურ ვითარებას და უნდა ვილაპარაკოთ არა მსოფლიო ლიტერატურაზე, არამედ ბევრი ლიტერატურის ერთობლიობაზე და გავაგრძელოთ ჩვეულებრივი განმარტებების გამოყენება – *Littérature*

européenne, allgemeine Literaturgeschichte, histoire universelle des littératures ou de la litterature.[1]

ჰანკისის პოზიცია ბევრმა დასავლელმა მეცნიერმა გაიზიარა. ფაქტობრივად ისინი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს ანაწევრებენ შემადგენელ ნაწილებად და თითოეულ მათგანს განიხილავენ *ავტონომიურად*. ე. ლაატსი ამტკიცებდა, რომ არსებობდა რამდენიმე მსოფლიო ლიტერატურა – *დასავლეთევროპული მსოფლიო ლიტერატურა და სხვა მსოფლიო ლიტერატურები* (*Abendlandische Weltliteratur und andere Weltliteraturen*), მაგალითად ინდური ან აღმოსავლეთაზიური. ლაატსი თვლის, რომ *დასავლეთევროპული მსოფლიო ლიტერატურა* განხილული უნდა იქნას მთელი სისრულით, *როგორც დიდი განვითარებადი ორგანიზმი*, მაშინ როცა *სხვა მსოფლიო ლიტერატურების* შესწავლა უნდა მოხდეს დასავლეთთან მათი ურთიერთობის შესაბამისად, მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ზოგადი ხაზების დახასიათებისას იგი ევროპოცენტრიზმის პოზიციიდან წარმართავს კვლევას, ვინაიდან მიაჩნია, რომ დასავლეთევროპული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ეპიცენტრს და ისტორიულ-ლიტერატურული პროცესების შეფასების ეტალონს წარმოადგენს.[2]

განსხვავებულად უდგება მსოფლიო ლიტერატურის რაობას ე. ტუნკი. იგი ამ საკითხზე საუბრობს, როგორც *ხალხთა ყველაზე რეპრეზენტაციული ნაწარმოებების ჯამზე* ან *ყველა ერის მხატვრულ თხზულებათა საერთო კრებულზე (das gesamte Schrifftum alles Nationen), ყველა დროისა და ხალხის ლიტერატურის ისტორიაზე*. ფაქტობრივად, ეს ლიტერატურების ისეთი გაერთიანებაა, რომელსაც მ. ვერლიმ *გადახლართული სინთეზის* მეთოდი უწოდა. ტუნკი აღმოსავლურ ლიტერატურებს უმეტესწილად განიხილავს დასავლურთან კავშირში, ვინაიდან მას უპირატესად ევროპული ლიტერატურა აინტერესებს.[3] ლაატსიც და ტუნკიც მიიჩნევენ, რომ ყოველივე, რაც არ მიეკუთვნება დასავლეთ ევროპის ლიტერატურას, გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანი მხატვრული სამყაროა, რომლის დიფერენცირებული განხილვა მათ არ აინტერესებთ. დასავლური უპირატესობის პოზიცია არაერთ ნაშრომსა თუ ენციკლოპედიურ ცნობარშია წარმოჩენილი (გ. სი ბოიარი, რ. ლავალეტი...).[4]

[1] J. Hankiss, Littérature universelle?, "Helicon. Revue internationale des problèmes généraux de la littérature", Budapest, 1938, t.1, p.159

[2] E. Laaths, Geschichte der Weltliteratur, München, 1953, S. 12.

[3] E. von Tunk, Illustrierte Weltliteratur – Geschiñhte. Bd. I. Zürich, 1954, S. 11-12.

[4] G. Se Boyar, Outline of Literature, v. 2. New York and London, 1929; R. Lavalette, Literaturgeschichte der Welt, Zürich, 1948

მსოფლიო ლიტერატურის ზოგად კანონზომიერებათა ფონზე კვლევის უარყოფა, მისი დაყოფა რამდენიმე *მსოფლიო ლიტერატურად* თავისი არსით ძალიან უახლოვდება ინგლისელი ისტორიკოსისა და სოციოლოგიის არნოლდ ტოინბის *ჩაკეტილი* ცივილიზაციის კონცეფციას.[1] საზოგადოდ, არა მარტო ლიტერატურათმცოდნეობით, ისტორიულ და სოციოლოგიურ კონცეფციებსა და კულტუროლოგიურ გამოკვლევებში მთელი მიმართულებაა შექმნილი, სადაც მსოფლიო პროცესის ერთიანობის დანაწევრების სერიოზულ ცდას ვხვდებით. პ. ტიგემი არადასაველთევროპულ ლიტერატურებს *მცირე* ლიტერატურებად მოიხსენიებდა და თავისი გამოკვლევის ძირითადი ნაწილის დამატებით თავებში განიხილავდა. იგი გამართლებულად მიიჩნევდა *სინთეტური ლიტერატურის ისტორიის შექმნას*.[2]

ა. გერარი ცნებას *world literature* განმარტავდა როგორც იმ ნაწარმოებთა ერთიანობას, რომლებმაც მოიპოვეს საყოველთაო აღიარება: იდეალური სახით – მთელი კაცობრიობის მიერ, პრაქტიკულად – დასავლური ცივილიზაციის ზონაში და მკვეთრად მიუჯნავდა მას *საყოველთაო ლიტერატურისგან (Universal literature)*, რაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენაზე დაწერილ ყველა ნაწარმოებს გულისხმობდა.[3]

ა. გერარი თავის ადრეულ ნაწერებში მიიჩნევდა, რომ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ნაციონალურ ლიტერატურათა შორის კავშირების შესწავლაა. მოგვიანებით კი ამტკიცებდა, რომ მსოფლიო ლიტერატურა საერთოდ არ შეიცავს ნაციონალურ ელემენტებს. მას ეს ელემენტები პოლიტიკური გათიშვისა და ნაციონალიზმის გადმონაშთად მიაჩნდა და ამიტომ თვით მსოფლიო ლიტერატურის *ფენომენის* შესწავლაზე ამახვილებდა ყურადღებას. თუ მას ადრე ამ ცნების შინაარსი მრავალწახნაგოვნად მიაჩნდა, შემდგომში თვლიდა, რომ მსოფლიო ლიტერატურის ცნება უნდა გათავისუფლებულიყო ნაციონალური განვითარების პრობლემებისაგან – *მსოფლიო ლიტერატურა* არის ის, რასაც ჩვენ აღვიქვამთ ჩვენს საკუთრებად, მიუხედავად ეპოქისა და პოლიტიკური ორიენტაციისა. ტერმინს *მსოფლიო ჩვენ კოყნებთ როგორც ნაციონალური შეზღუდულობის უარყოფას, წერდა ა. გერარი.*[4]

[1] Э. А. Араб-Оглы, К критике культурно-исторической концепции Арнольда Тойнби, Вестник истории мировой культуры, 1957, №4, ст. 3-22.

[2] P. van Tieghem, Vers une Histoire Synthetique de la littérature moderne, "Helicon. Revue internationale des problèms généraux de la littérature", 1938, t. I, p. 205.

[3] A. Guérard, Preface to World Literature, New York, 1940, p. 16.

[4] A. Guérard, Comparative Litrature?, Yearbook of Comparative and General Literature, 1958, VII, p. 3.

საინტერესოა ასევე მსოფლიო ლიტერატურის ისტორიული შესწავლისადმი აღმოსავლეთცენტრისტული კონცეფციები. იაპონელი ფილოსოფოსი და კულტურის ისტორიკოსი ნისიდა კიტარო წერდა, რომ დასავლურ კულტურას ამოსავლად უდევს ყოფიერების იდეა, მაშინ როდესაც აღმოსავლური კულტურის ამოსავალი არის არმყოფობის იდეა.[1]

დასავლური და აღმოსავლური კულტურის გაყოფის ამ ცდას ბუნებრივია მსოფლიო კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ამ სუბსტანციის როლის გადამწყვეტი უპირატესობის მტკიცება მოჰყვა.

მსოფლიო ლიტერატურის ისტორია, როგორც სხვადასხვა ნაციონალურ ლიტერატურათა განვითარების სინთეზი, განხილულია ნაშრომში *საყოველთაო ლიტერატურის ისტორია*. მისი მიზანია არა ყველა ლიტერატურის ისტორიის, არამედ იმ საყოველთაო ფენომენის შესწავლა, მისი იმ ასპექტების წარმოჩენა, რომლებიც განაპირობებს მსოფლიო ლიტერატურის შექმნას.[2]

მ. ვერლი სვამს საკითხს, თუ რომელი ტრადიციული კავშირებია გადამწყვეტი ლიტერატურაში და ადამიანთა რომელი ერთობა შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურის ისტორიის მთლიანობის მატარებლად – ნაციონალური, ევროპული თუ ზოგადსაკაცობრიო. იგი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად ევროპის ქვეყნების ეროვნული ლიტერატურები გააზრებული იყო როგორც ევროპელ ხალხთა მრავალხმიანი გუნდის ხმები.[3] პოლიტიკის გავლენის შედეგად ეს აზრი აბსურდამდე მივიდა და ი. ჰანკისის *საყოველთაო ლიტერატურის ისტორია (Litterature universelle)* კვლავ აქტუალური გახდა. ჰ. ეპელსჰაიმერმა კი დასავლური ლიტერატურები საერთო ეპოქების მიხედვით გადაანაწილა და შეეცადა სტილური თანმიმდევრობის შესაბამისად შეენარჩუნებინა ევროპული ლიტერატურის მთლიანობა.[4]

რ. უელეკისა და ო. უორენის მოსაზრების თანახმად, მსოფლიო ლიტერატურა წარმოადგენს იმ დიდ მწერალთა და თხზულებათა პანთეონს, რომლებსაც შესწევთ უნარი ამაღლდნენ თავიანთ დროსა და სივრცეზე. ისინი მსოფლიო ლიტერატურით აღნიშნავენ იმ დაგროვილი ლიტერატურული გამოცდილების საგანძურს, რითაც დავალებული ვართ კლასიკოსებისაგან – ჰომეროსის, დანტეს, სერვანტესის, შექსპი-

[1] Ю.Б. Козловский, Концепция восточной культуры Нисида Китаро, Вестник истории мировой культуры, 1961, №2, с. 36.

[2] Histoire générale des littératures, t.I, Paris, Quillet, 1961, p.1.

[3] Макс Верли, Общее литературоведение, перевод с немецкого, М.,1957.

[4] H.W. Eppelsheimer, Handbuch der Weltliteratur, Frankfurt a. M., 1947.

რისა და გოეთესაგან. ისინი *მსოფლიო ლიტერატურას* ჩვენში გავრცელებული ტერმინის *შედევრების ბიბლიოთეკის* სინონიმად იყენებენ.

რ.უელეკი და ა.უორენი მიიჩნევენ, რომ ტერმინები *მსოფლიო* და *საყოველთაო* ლიტერატურა განსხვავდება ერთმანეთისაგან. *მსოფლიო ლიტერატურა* არის გოეთეს *Weltliteratur*-ის კალკი. იგი ძალიან ფართოა და მისი გამოყენება ნიშნავს ხუთივე კონტინენტის ლიტერატურის შესწავლას – ახალი ზელანდიიდან ისლანდიამდე და აგრძელებს მსჯელობას იმის შესახებ, რომ გოეთეს მსოფლიო ლიტერატურაზე საუბრისას მხედველობაში ჰქონდა ის დრო, ის შორეული მომავალი, როდესაც ყველა ლიტერატურა შეერწყმოდა ერთმანეთს და ერთ მთლიანობად გადაიქცეოდა. უელეკისა და უორენის განმარტებით, გოეთეს ცნობილ გამონათქვამში *ჩვენ ახლა მსოფლიო ლიტერატურის ეპოქაში შევედით და თითოეულმა ჩვენგანმა ხელი უნდა შეუწყოს, რომ დაჩქარდეს ამ ეპოქის დადგომა*, იგულისხმება ის დიდი იდეალური სინთეზი, რომელსაც ყველა ხალხის ლიტერატურა შექმნის და თითოეული მათგანი შეიტანს თავის წვლილს ამ საერთო საგანძურში. თვითონ გოეთეს ესმოდა, რომ ეს მხოლოდ ოცნება იყო, ვინაიდან არც ერთი ხალხი არ ისურვებს თავის ინდივიდუალურ საკუთრებაზე უარის თქმას. ჩვენს დროში, წერენ ისინი, გოეთეს ოცნების შესრულებამ შორეულ მომავალში გადაინაცვლა, თან ამასთანავე ჩვენ მაინც და მაინც სერიოზულად არც გვსურს, რომ ნაციონალური ლიტერატურების მრავალფეროვნება წაიშალოს შემოთავაზებული ამალგამით.[1]

გოეთეს აზრის პირველ ნაწილს, რომ ახლა წინა პლანზე წამოიწია მსოფლიო ლიტერატურამ, მართებულად მიიჩნევს ა. დიმა. მისი აზრით, მსოფლიო ლიტერატურის აღმოცენება წარმოადგენს ხარისხობრივად ახალ საფეხურს ნაციონალურ ლიტერატურებთან შედარებით და საერთოდ არ თელის სწორად საყოველთაოს და ნაციონალურის დაპირისპირებას, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია მოვიცვათ ლიტერატურული პროცესის ყველა მოვლენა, მაგალითად, ანტიკური ლიტერატურა, რომელსაც არ ჰქონდა ნაციონალური ასპექტი. ხოლო რაც შეეხება გოეთეს შეხედულების მეორე ნაწილს ნაციონალური ლიტერატურების მნიშვნელობის დაკნინებასთან დაკავშირებით, იგი მიუღებელია ა. დიმასათვის. მისი მტკიცებით, იმ პერიოდში ერთდროულად ვითარდებოდა როგორც მსოფლიო, ასევე ნაციონალური ლიტერატურული ცნობიერება, მიმდინარეობდა ლიტერატურათა როგორც დაახლოვების, ასევე მკვეთრი გამიჯვნის პროცესი.[2]

[1] R. Wellek and A. Wärren, Theory of Literature, 1956.

[2] А. Дима, Принципы сравнительного литературоведения, М., 1977, с. 33-34.

გოეთეს აზრს რუსული ლიტერატურათმცოდნეობა განმარტავს როგორც მწერლის მოწოდებას თანამემამულეთა მიმართ უფრო ფართოდ გასცნობოდნენ სხვა ლიტერატურებს, და არა როგორც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის *უნიფიკაციას* და აღნიშნავს იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც გოეთე იჩენდა ნაციონალური ლიტერატურების, მათ შორის ახალგაზრდა ლიტერატურების და მათი ფოლკლორის მიმართ.

დასავლურ მეცნიერებაში უპირატესად ის აზრი დომინირებს, რომ მსოფლიო ლიტერატურული პროცესი წინასწარ გულისხმობს იმ დაქვემდებარებულ როლს, რომელიც მომავალ *უნივერსალურ* ლიტერატურაში მოელის ყოველივეს, რაც დასავლეთის ცივილიზაციის საზღვრებს მიღმაა. ამ მოსაზრების საპირისპირო პოზიციას გამოხატავს საბჭოთა პერიოდის რუსული ლიტერატურათმცოდნეობა, რომელიც მსოფლიო ისტორიული პროცესის ერთიანობას ეფუძვნება. ი. ნეუპოკოევა შენიშნავს, რომ კვლევის ევროპული მიმართულებიდან გამომდინარეობს ის, რომ *მსოფლიო კულტურის ისტორია დან ამოგდებულია კაცობრიობის მხატვრული ცნობიერების უზარმაზარი ფენები, მისგან გამორიცხავენ არა მარტო ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურებს, არამედ მთელ ზონებსა და რეგიონებს. მსოფლიო კულტურის დასავლეთეროპოცენტრისტული კონცეფცია ქმნის მის ისტორიაში ხელოვნურ ვაკუუმებს, რომლებიც არ იძლევა არც მსოფლიო ლიტერატურული პროცესის რეალური მასშტაბის და არც მასში მოქმედი კანონზომიერებების წარმოდგენის საშუალებას.*[1]*

რუსული ლიტერატურათმცოდნეობის პოზიციის გასამყარებლად ა.მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტმა 1983 წლიდან დაიწყო *მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის* გამოცემა ცხრა ტომად. ამ მონუმენტური გამოკვლევის მიზანი იყო მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებათა წარმოჩენა, ლიტერატურულ პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის უწყვეტი, ორგანული კავშირის ჩვენება.

თეზისურად ასე გამოიყურება გასული საუკუნის მეცნიერთა დამოკიდებულება მსოფლიო ლიტერატურის რაობასთან დაკავშირებით. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ *მეორე ათასწლეულის ცივილიზაციად მიგვაჩნია ევროპული, ქრისტიანული ცივილიზაცია, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში სწორედ ის დაწინაურდა. მხატვრულმა სიტ-*

[1] И. Г. Неупокоева, История Всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа, М., 1976. с. 56.

* აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა დავბინოთ, რომ რაც არ უნდა დასავლეთეროპოცენტრისტული» იყოს ესა თუ ის კონცეფცია, არც ერთ მათგანს არ ძალუძს გვერდი აუაროს ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის, ა. პუშკინის... შემოქმედებას.

ყვამაც, როგორც ცივილიზაციის შემადგენელმა ნაწილმა, ამ დროს ევროპაში დაიწყო გაძლიერება, მაგრამ მსოფლიო ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებათა შესასწავლად მხოლოდ ერთი ათასწლეულის ლიტერატურის კვლევა საკმარისი არ არის და მიგვაჩნია, რომ ლიტერატურის კვლევის ორბიტა ბევრად უფრო ფართო მასშტაბისაა. მისი კვლევის ფოკუსში მოქცეული უნდა იყოს დედამიწაზე მოქმედ განზომილებებში – დროსა და სივრცეში განვითარებადი პროცესი და ამ პროცესში სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა ტერიტორიაზე ცალკეული ლიტერატურის დაწინაურებისა თუ დაკნინების, ლიტერატურული ეპოქების შექმნისა თუ სხვა სივრცეში გადანაცვლების ან გაქრობის გამომწვევი ფაქტორები. ეს ყოველივე კი მსოფლიო ისტორიასთანაა კავშირში და ამდენად, მსოფლიო ლიტერატურის კვლევის ფონს ქმნის.

***

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ის ეროვნული ლიტერატურა, რომელიც დროის გარკვეულ პერიოდში უფრო ძლიერია და რომლის სიახლეც უფრო პროგრესული, განსაზღვრავს ეპოქის ზოგად კანონზომიერებებს საერთო საზროვნო სივრცეში. ნოვაციით დაწინაურებულმა საზროვნო სივრცემ კი სხვადასხვა დროს მსოფლიოს სხვადასხვა არეალში შეიძლება იჩინოს თავი. ასეთი კანონზომიერებიდან გამომდინარე მოვიაზრებთ ევროპულ, ქრისტიანულ ცივილიზაციას მეორე ათასწლეულის ცივილიზაციად.

ეროვნული ლიტერატურების პროგრესი თუ რეგრესი, ლიტერატურული ეპოქების სხვადასხვა გეოგრაფიულ სივრცეში გადანაცვლება, ლიტერატურული ურთიერთობების ინტენსიობა თუ ინერტულობა და ა.შ. მსოფლიო ლიტერატურულ პროცესზე აირეკლება, მაგრამ საგულისხმოა, რომ ლიტერატურული პროცესის შემადგენელი ნაწილების წონასწორობა ყოველთვის შენარჩუნებულია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსოფლიო ლიტერატურული პროცესი თავისი არსით უპირველესად დროისა და სივრცის განზომილებებს უკავშირდება. ვინაიდან ლიტერატურა გეოგრაფიულ სივრცესა და ასტრონომიულ დროში ვითარდება, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს ქმნის როგორც ცალკეული ეროვნული ლიტერატურები და მათი შინაგანი თუ გარეგანი კავშირები, ასევე ლიტერატურული ეპოქები. სწორედ ლიტერატურული ეპოქების კვლევის შედეგად შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ერთ მთლიანობად მოაზრება. მსოფლიო ლიტერატურის წარმოშობა კი ალბათ იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც დაიწყო პირველი ლიტერატურული კონტაქტები.

ნაწილი II

ლიტერატურული და ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის კომპიუტერული დამუშავება

კომპიუტერული საძიებო სისტემები და მათი ენციკლოპედიური განმარტებები

ჩვენ შეეცადეთ შეგვემუშავებინა კომპიუტერული საძიებო სისტემა ფაქტებისა და ანალიზის კლასიფიკაციისათვის: ლიტერატურული პროცესისა და მისი მეცნიერული კვლევისათვის, ასევე მისგან გამომდინარე დისციპლინებისა და მათი შესწავლისათვის, რაც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ლიტერატურის მონაცემთა ბაზების შესაქმნელად. იგი ხელს შეუწყობს მოძიებული ინფორმაციის შენახვას, დამუშავებასა და ახალი მასალით გამდიდრებას.

კომპიუტერული საძიებო სისტემები შემდეგნაირად გვაქვს კლასიფიცირებული – *ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა, ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა, ლიტერატურული ურთიერთობა და მისი კვლევა, თარგმანი და თარგმანმცოდნეობა*. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს მოდელები უნდა შეივსოს და მუდმივად განახლდეს სტუდენტების მიერ სემინარული მუშაობის დროს. საძიებო სისტემებს ახლავს ენციკლოპედიური ლექსიკონი. რომელიც ასევე შეიძლება შეივსოს მოდელებში შეტანილი მასალის შესაბამისად.

ენციკლოპედიური ლექსიკონი დალაგებულია მოდელებისა და მათში განთავსებული ველების თანმიმდევრობით.

ლიტერატურული პროცესი და მისი კვლევა

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა
ძირითადი დარგები
ლიტერატურის ისტორია
ლიტერატურის თეორია
ლიტერატურის კრიტიკა
სტილისტიკა
პოეტიკა
დამხმარე დისციპლინები
პრეზენტოლოგია
ევრისტიკა
ტექსტოლოგია
ბიბლიოგრაფია
პალეოგრაფია
ტექსტის კომენტირება
სტრუქტურალიზმი
წყაროთმცოდნეობა
კვლევის მეთოდები
ანალიზი
კულტურულ-ისტორიული
სისტემატიზება
ლიტერატურული პერიოდიზების
სტრუქტურული
ფორმალური
...

ფილოლოგიის დისციპლინათაშორისი ურთიერთობა

ლიტერატურული ურთიერთობა და მისი კვლევა
ლიტერატურული ურთიერთობა
ლიტერატურული ურთიერთობის კვლევა
ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები
საკვლევი მეთოდი
ისტორიულ-შედარებითი
კვლევის დარგები
ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია
ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორია
თარგმანმცოდნეობა
მხატვრულ-ლიტერატურული
საკვლევი ობიექტები
საკომუნიკაციო კვლევითი ნაშრომები
საკომუნიკაციო-შემეცნებითი
საკომუნიკაციო ლიტერატურის თარგმანი
ჟანრები
ესსე
დისკუსია
ინტერვიუ
პუბლიცისტური ლიტერატურა
საკომუნიკაციო შემეცნებითი ლიტერატურა
თარგმანი
ესსე
ინტერვიუ
დისკუსია
პუბლიცისტური ლიტერატურა

თარგმანი და თარგმანთმცოდნეობა
ორიგინალი
თარგმანი
თარგმანმცოდნეობა
ორიგინალის ლიტერატურა
ავტორი
წარჩინებული
ენა
გამცემი
თარგმანი
ადგილი
თარგმანის ლიტერატურა
წარჩინებული
ენა
მთარგმნელი
გამცემი
თარგმანის მახასიათებლები
თარგმანის სახე
ჩანაცვლება
სინქრონული
ასინქრონული
შესრულების წესი
ზუსტი
წესიერი
ლიბერალური
თარგმანის ტექნიკა
ლიტერალური
პირდაპირი
ნაწილობრივ
სრულყოფილი
თარგმანის პრინციპი
ადეკვატური
ზუსტი
თარგმანის ხასიათი
პირდაპირი
პოეტური
თარგმანმცოდნეობის დარგები
თარგმანის ისტორია
თარგმანის თეორია
თარგმანის კრიტიკა
...
თარგმანის ქმედების მეთოდი
ასტრონომიული მეცნიერებები

მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი

მსოფლიო ლიტერატურა არის ლიტერატურული პროცესი მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ეროვნულ ლიტერატურათა ერთობლიობა ქმნის მსოფლიო ლიტერატურას, მაგრამ ეს არაა ლიტერატურათა მექანიკური ჯამი. თითოეულ ეროვნულ ლიტერატურას შეაქვს თავისი წვლილი ზოგადლიტერატურულ პროცესში, მაგრამ განსაკუთრებული შესწავლის საგანია, რამდენად მოქმედებს ესა თუ ის ლიტერატურა ამ პროცესის განვითარებაზე, მის პროგრესზე.

მსოფლიო ლიტერატურული პროცესი უპირველესად დროისა და სივრცის განზომილებებთანაა დაკავშირებული. ვინაიდან ლიტერატურა გეოგრაფიულ სივრცესა და ასტრონომიულ დროში ვითარდება, მსოფლიო ლიტერატურულ პროცესს ქმნის როგორც ცალკეული ეროვნული ლიტერატურები და მათი შინაგანი თუ გარეგანი კავშირები, ასევე ლიტერატურული ეპოქები. სწორედ ლიტერატურული ეპოქების კვლევის შედეგად შეიძლება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ერთ მთლიანობად მოაზრება. მსოფლიო ლიტერატურის წარმოშობა კი ალბათ იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც დაიწყო პირველი ლიტერატურული კონტაქტები. *ლიტერატურული პროცესი არის კულტურული პროცესის განუყოფელი ნაწილი.*[1]

ეროვნული ლიტერატურა ეროვნული თავისებურებების მატარებელი ლიტერატურაა. აქ საგულისხმოა განვასხვაოთ სხვადასხვაენოვანი და სხვადასხვაეროვანი ლიტერატურები. ერთ ენაზე შესაძლოა შეიქმნას სხვადასხვა ეროვნული ლიტერატურა, რომლებიც სრულიად განსხვავებული იქნება ერთიმეორისაგან ეროვნული კოლორიტით, პრობლემატიკით, სტილური და გამოხატვის თავისებურებებით. ყოველ ეროვნულ ლიტერატურას აქვს ზოგადი და ინდივიდუალური ნიშნები. ზოგადი ნიშნები ლიტერატურული პროცესის მთლიანობისთვისაა დამახასიათებელი და ეპოქის საერთო სააზროვნო სისტემის საფუძველს წარმოადგენს. ინდივიდუალური ნიშნები კი განაპირობებს ამ სისტემაში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას. ეპოქის საერთო სააზროვნო სისტემის საფუძველზე ორიგინალური განვითარების უნარი არის ეროვნული ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი. ეროვნული ლიტერატურის ორგანული თვისებაა ის, რომ იგი სხვა ლიტერატურებთან ამყარებს კავშირს. ეს ურთიერთკავშირები ხელს უწყობს ეროვნული ლიტერატურის განვითარებას.

[1] М. М. Бахтин, Эстетика словесного творчества. 1979, с. 344.

ლიტერატურული ეპოქა. ეპოქა დროის გარკვეული მონაკვეთია, რომელიც ხასიათდება რაიმე ღირშესანიშნავი მოვლენით. ესაა პერიოდი ისტორიაში, მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტებით. დიდი ლიტერატურული პოტენციალის დაგროვება და მისი რეალიზება გარკვეულ არეალში, ქმნის ლიტერატურულ ეპოქას. იგი მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, დროსა და სივრცეში მოძრავი ფენომენია. ცხადია, ლიტერატურულ ეპოქას თავისი საზღვრები სისტემა გააჩნია. ლიტერატურული ეპოქების სისტემები შეიძლება ისევე დახასიათდეს, როგორც ყველა ისტორიული სისტემა – ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერთკავშირში მყოფი ელემენტების მთლიანობა.

ლიტერატურული ურთიერთობა ლიტერატურული პროცესის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია. იგი მნიშვნელოვნად განაპირობებს ცალკეული ეროვნული და შესაბამისად, მსოფლიო ლიტერატურის განვითარებას. ლიტერატურული ურთიერთობა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება – თარგმანი, სესხება, მიბაძვა, გადმოკეთება, გავლენა, ალუზია, ვარიაცია, ადაპტაცია, ინტერპრეტაცია, სტილიზაცია, რემინისცენცია... მათი საშუალებით ლიტერატურები იღებენ და გასცემენ გამოცდილებას, რასაც შედეგად მოსდევს ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრება, ურთიერთქმედება, ურთიერთზეგავლენა. სხვადასხვა ქვეყანას შორის ლიტერატურული ურთიერთობის დამყარებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ამ ქვეყნების პოლიტიკური-ეკონომიკური კავშირები, რელიგიური მიმართულება, კულტურული ორიენტაცია, გეოგრაფიული მდებარეობა. ლიტერატურულ ურთიერთობებს, გარდა წმინდა ლიტერატურული ხასიათისა, ზოგადკულტურული დატვირთვა აქვს. მაგალითად, ლიტერატურულმა ურთიერთობამ შეიძლება გამოიწვიოს ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრება უცხო სიტყვათა ნასესხობებით... ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის დარგებია ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია, თეორია, თარგმანმცოდნეობა. ლიტერატურული ურთიერთობების კვლევა ძირითადად ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ხდება.

ლიტერატურათმცოდნეობა – მეცნიერება მხატვრული ლიტერატურის, მისი წარმოშობის, არსისა და განვითარების შესახებ. ლიტერატურათმცოდნეობა ლიტერატურასთან მიმართებაში მეორადია. *ესაა აზრი სხვის ნააზრევზე* (მ. მ. ბახტინი). თვითონ ტერმინიც ხომ ამას გულისხმობს – მეცნიერება ლიტერატურის შესახებ. ლიტერატურათმცოდნეობა სხვადასხვა დისციპლინათა მთელ სისტემას მოიცავს. ი. კენჭოშვილმა საკითხის დასმის წესით საკუთარი ლოგიკურად წამოწია ტერმინის პრობლემა – *ლიტერატურისმცოდნეობა თუ კრიტიკა* (სჯანი I, თბ., 2000). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ *ლიტერატურისმცოდნეობასთან* შედარებით ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ *ლიტერა-*

ტურათმცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობის ან მუსიკათმცოდნეობის ანალოგიითა და მათი უნიფიკაციის თვალსაზრისით. მეცხრამეტე საუკუნის შუახანებში გერმანიაში დამკვიდრდა ტერმინი *Literaturwissenschaft*, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იგი შევიდა რუსეთში – *литературоведение* და გადმოვიდა ჩვენშიც. მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში იხმარებოდა ხან *ლიტერატურისმცოდნეობა*, ხან *ლიტერატურათმცოდნეობა*. ევროპის სხვა ქვეყნებში ამ ტერმინმა ვერ მოიკიდა ფეხი. მის ნაცვლად ფართოდ იხმარება *criticism*, თუმცა აქა-იქ მაინც გვხვდება *Literary scholarship* დასავლური ტერმინის გათვალისწინებით, *კრიტიკა* შესაძლოა გამოვიყენოთ ფართო მნიშვნელობით, *ლიტერატურათმცოდნეობის* სინონიმად, ან მის ნაცვლად.

ლიტერატურის კვლევა სხვადასხვა პოზიციიდან ხდება. ჩვენი დაკვირვებით, ლიტერატურისადმი მიდგომა შეიძლება იყოს სისტემური, ინტერდისციპლინარული ანუ კომპლექსური, ფსიქოლოგიური, გენდერული. ასევე განსხვავებულია ლიტერატურის კვლევის მეთოდები. ლიტერატურათმცოდნეობის მეთოდები ეფუძნება ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, ბოლო ათწლეულების მანძილზე კი ზუსტ მეცნიერებებსაც იშველიებს. *ჩვენ სწორედ კვლევის მეთოდების საფუძველზე გვაქვს კლასიფიცირებული მხატვრული ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერება ზოგად და შედარებით ლიტერატურათმცოდნეობად.*

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა. ჩვენში ტრადიციულად განასხვავებდნენ ლიტერატურათმცოდნეობის სამ ძირითად დარგს – ლიტერატურის ისტორია, ლიტერატურის თეორია და ლიტერატურის კრიტიკა. ეს უკანასკნელი თეორიისა და ისტორიის მონაცემებს ეფუძნება, ხოლო თეორია და ისტორია თავის მხრივ კრიტიკის გამოცდილებას ითვალისწინებს. ასე რომ, ლიტერატურათმცოდნეობის დარგებს შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება არსებობს. ამ მეცნიერების ერთერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანი დარგია პოეტიკა. მეოცე საუკუნეში კი შეიქმნა სტრუქტურალიზმი, თარგმანმცოდნეობა, ლიტერატურულ ურთიერთობათმცოდნეობა... მას აქვს ასევე ე.წ. მეორე რიგის დისციპლინები, როგორიცაა სალიტერატურო კრიტიკის თეორია, სალიტერატურო კრიტიკის ისტორია, პოეტიკის ისტორია, სტილისტიკის თეორია. ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარე დისციპლინები – ტექსტოლოგია, ბიბლიოგრაფია, არქივმცოდნეობა, ევრისტიკა. პალეოგრაფია, ტექსტის კომენტირება... – ძირითად დისციპლინათა აუცილებელ ბაზას წარმოადგენს. ამასთანავე მათ შესაძლოა გამოაკლინონ დამოუკიდებელი სამეცნიერო მიზნები ან კულტურული ფუნქცია.

ლიტერატურათმცოდნეობას მჭიდრო კავშირი აქვს არაერთ ჰუმანიტარულ დისციპლინასთან. ასეთებია: ფილოსოფია, ესთეტიკა, ჰერმენევტიკა, ფოლკლორისტიკა, ხე-

ლოვნებათმცოდნეობა, ისტორია, ფსიქოლოგია, სოციოლოგია. განსაკუთრებული ურთიერთკავშირი არსებობს ლიტერატურათმცოდნეობასა და ენათმეცნიერებას შორის. ენისა და ლიტერატურის პრობლემებს იკვლევს ფილოლოგიური მეცნიერება.

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდებია – ბიოგრაფიული, კულტურულ-ისტორიული, სოციოლოგიური, ლიტერატურული ჰერმენევტიკის, ფორმალური, სტრუქტურული.

შედარებით ლიტერატურათმცოდნეობას ჩვენ მოვიაზრებთ, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის დარგს, რომელიც ზოგად ლიტერატურათმცოდნეობასთან ერთად განაპირობებს სრულყოფილ ლიტერატურათმცოდნეობით კვლევას. მხატვრული ლიტერატურისა თუ ლიტერატურული პროცესების შედარებითი შესწავლის დიდმა მნიშვნელობამ განაპირობა შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის ცალკე დარგად ფორმირება. თუმცა, მეცნიერთა ნაწილი მას მხოლოდ მეთოდის ფუნქციას ანიჭებს.

ტერმინი *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა* მომდინარეობს ფრანგულიდან – littérature comparée, ტერმინის *შედარებითი ანატომია* (anatomie comparée) ანალოგიით.

შედარების პრინციპი ფართოდ გამოიყენება როგორც სოციალური მეცნიერებების (პოლიტოლოგია, სოციოლოგია, პედაგოგიკა, საერთაშორისო სამართალი), ასევე კულტუროლოგიის, ხელოვნებათმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ენათმეცნიერების შესწავლისას. ისტორიულ-შედარებით მეთოდზე დაყრდნობით შეიძლება ასევე ხელოვნების სხვადასხვა დარგისა და ლიტერატურის ურთიერთქმედების კვლევა.

შედარებითი მეთოდით ლიტერატურათმცოდნეობაში შეისწავლება როგორც ლიტერატურის შინაგანი პროცესები, ასევე გარეგანი კავშირები. ლიტერატურის შიგნით მიმდინარე პროცესებს შეიძლება ჰქონდეთ *ტიპოლოგიური* ან *გენეტიკური* მსგავსება, ხოლო გარეგანი კავშირები ლიტერატურული ურთიერთობის სხვადასხვა ფორმით ხორციელდება.

ფილოსოფია (ბერძნ. phileo – მიყვარს, sophia – სიბრძნე, ე.ი. სიბრძნის სიყვარული) მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადეს კანონზომიერებათა შესახებ; მსოფლმხედველობის თეორიული საფუძველი, თეორიული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამა თუ იმ მეცნიერებას; ამა თუ იმ მეცნიერების შედეგების ძირითადი განზოგადებები.

ესთეტიკა (ბერძნ. aisthetikos – გრძნობა, შეგრძნება) მეცნიერება ზოგადსაკაცობ-

რიო ღირებულებათა, მათი წარმოშობის, აღქმის, შეფასებისა და შეთვისების ისტორიულად განპირობებული რაობის შესახებ. ესთეტიკა საზოგადოების ესთეტიკურ შეხედულებათა სისტემის გამომხატველია. იგი სწავლობს ხელოვნებას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას. ესაა ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნებისა და საერთოდ, მშვენიერების შესახებ.

ლიტერატურათმცოდნეობა კვლევის საკუთარ მეთოდებთან ერთად მეთოდოლოგიურ ბაზად იყენებს ფილოსოფიას და ესთეტიკას.

ენათმეცნიერება იგივეა, რაც ლინგვისტიკა – მეცნიერება ენის შესახებ. იგი შედგება წინარე ლინგვისტიკის, მიკროლინგვისტიკისა და მეტალინგვისტიკისაგან.

ფოლკლორისტიკა არის მეცნიერება ფოლკლორის შესახებ. იგი სწავლობს სიტყვიერებას, მუსიკალურ-ინსტრუმენტალურ, ქორეოგრაფიულ, დრამატულ, ხალხურ შემოქმედებას. ფოლკლორისტიკის აღმოცენებას წინ უსწრებდა ფოლკლორულ ნაწარმოებთა შეგროვება-ჩაწერა, მათი გადამუშავება მწერალთა, დრამატურგთა და კომპოზიტორთა შემოქმედებაში. ფოლკლორისტიკაში სხვადასხვა მიმართულება გამოირჩევა – მითოლოგიური სკოლა, მიგრაციის თეორია (ან სესხებათა თეორია), ანთროპოლოგიური სკოლა, ფსიქოლოგიური სკოლა, ისტორიულ-გეოგრაფიული სკოლა, სტრუქტურალიზმი... გასული საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო ხალხური შემოქმედების სხვადასხვა დარგის კომპლექსურად კვლევა. მიმდინარეობს ასევე ფოლკლორის ისტორიულ-შედარებითი გაანალიზება და მისი მხატვრული სპეციფიკის შესწავლა.

ზოგადი ხელოვნებათმცოდნეობა სწავლობს ხელოვნების დარგების (მხატვრული ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, არქიტექტურა, ქანდაკება, კინო, თეატრი) ისტორიისა და თეორიის საერთო და არსებით საკითხებს.

ისტორია (ბერძნ. historia – მოთხრობა) მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას, კაცობრიობის მიერ განვლილ გზას.

ფსიქოლოგია (ბერძნ. psyche სული და logos მოძღვრება) მეცნიერება ადამიანის სულიერი სამყაროს, ფსიქიკური მოქმედების კანონზომიერებათა ევოლუციისა და ფორმების, ფსიქიკურ თავისებურებათა შესახებ.

სოციოლოგია (ლათ. societas საზოგადოება და ბერძნ. logos მოძღვრება) მეცნიერება საზოგადოებისა და მისი განვითარების კანონების შესახებ.

ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა იხ. გვ. 57.

ლიტერატურის ისტორია რამდენიმე ათასწლეულს ითვლის. მისი მიზანია ლიტერატურის განვითარების დახასიათება მსოფლიო ისტორიის სვლასთან კავშირში. ლიტერატურის ისტორია მეცნიერული ანალიზის საფუძველზე სწავლობს ეროვნულ ლიტერატურებს თუ ცალკეულ მწერლებს ეპოქის კონტექსტში, წარმოაჩენს ლიტერატურულ ფაქტებს და მიზნად ისახავს მათ განხილვას, შეფასებას, ახსნას, განზოგადებას. კვლევის შერჩევისას იგი ლიტერატურის თეორიას ემყარება. ეროვნული ლიტერატურის ისტორიის შესწავლა ხდება ქვეყნის ისტორიული მოვლენების, კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების გათვალისწინებით. ერთი სიტყვით, ლიტერატურის ისტორია უნდა გაანალიზდეს ისტორიული პროცესებისა და ზოგადკულტურული განვითარების ფონზე. ლიტერატურის ისტორიას, თეორიასა და კრიტიკას შორის არ არის მკაფიო საზღვარი. მათ მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ.

ლიტერატურის თეორია სწავლობს ლიტერატურული შემოქმედების ზოგად კანონზომიერებებს და განსაზღვრავს მისი კვლევის წესს. ლიტერატურის თეორია სხვადასხვა ნაწილისგან შედგება. მოძღვრება ლიტერატურული პროცესისა და კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების შესახებ სწავლობს სტილს, გვარებს, ჟანრებს, ლიტერატურულ მიმართულებებსა და მიმდინარეობებს; მთლიანად მხატვრული შემოქმედების პროცესს. მოძღვრება მხატვრულ-ლიტერატურული ნაწარმოების სტრუქტურის შესახებ სწავლობს იდეას, თემას, ხასიათს, სტილისტიკისა და ლექსთწყობის საკითხებს.

ლიტერატურის თეორიული საკითხების დამუშავება ანტიკური ხანიდან, არისტოტელეს პოეტიკიდან იღებს სათავეს. სხვადასხვა პერიოდში იყო ლიტერატურის თეორიის პოეტიკასთან გაიგივების მცდელობა. ა. ნ. ვესელოვსკიმ მას *ისტორიული პოეტიკა* უწოდა. რ. უელეკი და ო. უორენი ლიტერატურის თეორიასა და პოეტიკას განიხილავდნენ როგორც სინონიმებს. კვლევის თანამედროვე დონე მიზნად ისახავს მხატვრული ლიტერატურის ინტერდისციპლინარულ, კომპლექსურ შესწავლას. თანამედროვე ლიტერატურის თეორია ეძებს ლიტერატურასთან მიდგომის ახალ გზებს.

ლიტერატურის კრიტიკა (ბერძნული სიტყვიდან Kritike, განსჯის, განხილვის ხელოვნება). მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ კრიტიკა ლიტერატურული შემოქმედების სახეობაა, რომელიც აფასებს როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, ასევე მასში ასახულ ცხოვრებისეულ მოვლენებს. ამ მოსაზრებას შემდგომი წიაღსვლაც აქვს: მწერალიც და კრიტიკოსიც მხატვრული აზროვნების სფეროში იღწვიან, ერთი წერს ცხოვრებაზე, მეორე კი ლიტერატურაზე. მხატვრული ნააზრევი, მხატვრული კრიტიკა თავად წარმოჩნდება როგორც ლიტერატურული თხზულება. აქ *განსჯის ხელოვნება* მოაზრებულია როგორც შემოქმედებითი პროცესი.

სხვა განმარტებით, ლიტერატურული კრიტიკა ლიტერატურათმცოდნეობის დარგად არის მიჩნეული, რომელიც თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს უნდა აშუქებდეს – ახალ წიგნებს, თანამედროვე ლიტერატურული ჟურნალების პროდუქციას და უპირატესად ესეის, რეცენზიის, მიმოხილვის, სტატიის ხასიათი უნდა ჰქონდეს. გარდა იმისა, რომ კრიტიკა ინფორმაციას უნდა აწვდიდეს მკითხველს, ამასთანავე ლიტერატურასთან კავშირში პოლიტიკის, ეკონომიკის, ეთიკის, ფსიქოლოგიის პრობლემებსაც უნდა ეხებოდეს.

ლიტერატურის შემსწავლელი მეცნიერების დარგების კლასიფიკაციის შესახებ რ. უელეკს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ *ლიტერატურული კრიტიკა სამ სხვადასხვა დარგს მოიცავს: ლიტერატურის ისტორიას, ლიტერატურის თეორიას და ღირებულებათა შემფასებელ კრიტიკას (evaluative criticism), ანუ ლიტერატურის კრიტიკას, ამ ცნების ვიწრო მნიშვნელობით. ლიტერატურის ისტორია ლიტერატურას ისტორიული განვითარების თვალსაზრისით განიხილავს. ლიტერატურის თეორია, ანუ პოეტიკა მიზნად ისახავს ლიტერატურის კვლევის პრინციპების, ჟანრების, მისი ხერხებისა და დანიშნულების ჩამოყალიბებას. ლიტერატურული კრიტიკის, ამ ცნების ვიწრო გაგებით, ანუ ღირებულებათა შეფასების კრიტიკის მიზანია მხატვრული შემოქმედების გაშუქება და ანალიზი. განსჯა-შეფასებას ხშირად მიიჩნევენ კრიტიკის განსაკუთრებულ ამოცანად და ამ თვალსაზრისს სანქციას აძლევს ამ სიტყვის ბერძნული ეტიმოლოგია* (ქართული ციტირება ემყარება ი. კენჭოშვილის წერილს ლიტერატურისმცოდნეობა თუ კრიტიკა, სჯანი I, თბ., 2000, გვ.13). ი. კენჭოშვილი იზიარებს უელეკის თვალსაზრისს და დასძენს – *ქართული კრიტიკული ტრადიციების სიახლისა და სიმწირის გამო მიგვაჩნია, რომ ჩვენში უპირატესობა უნდა მიეცეს არა ლიტერატურისმცოდნეობას, არამედ მის ალტერნატივას – კრიტიკას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დაძლეულ უნდა იქნას კრიტიკის ჩვენთან დამკვიდრებული კანონიკური გაგება, ანუ მისი დაკავშირება უპირატესად და უპირველესად ლიტერატურის მიმდინარე მოვლენებთან, ანუ მასთან, რასაც ინგლისურენოვან სამყაროში Book Review-ს (წიგნების მიმოხილვას, რეცენზირებას) უწოდებენ.* ეს არის ყურადსაღები მოსაზრება და ვთლით, რომ სასურველია, ტერმინი *კრიტიკა* უფრო ფართო მნიშვნელობით – სხვადასხვა პერიოდის ლიტერატურული ფაქტებისა და მოვლენების შესაფასებლად გამოიყენებოდეს.

ჩვენი აზრით, კრიტიკა მოქმედებს ჩვენს მიერ აღწერილი ლიტერატურული კომუნიკაციის ყველა ელემენტზე და მათი ურთიერთობის ხასიათზე. იგი, ასე ვთქვათ, აწესრიგებს ლიტერატურული კომუნიკაციის პროცესს – მწერალი მასალას იღებს არსებული სინამდვილიდან. ამ სინამდვილის შეცნობაში მას გარკვეულ დახმარებას

უწევს სოციალურ-პოლიტიკური თუ ფილოსოფიური პრობლემების კრიტიკა, რომელიც მის ყურადღებას მიაპყრობს ამა თუ იმ თემატიკისადმი.

კრიტიკას თავისებური ზემოქმედება აქვს მწერლის მიერ ნაწარმოების შექმნის პროცესზე. სხვა მწერალთა შემოქმედების ანალიზისა და თვითონ მისი წინარე შემოქმედების კრიტიკა გავლენას ახდენს ახალი ნაწარმოების წერის პროცესზე, გარკვეულ იმპულსსა და ორიენტირს აძლევს ამ პროცესს.

კრიტიკა დიდ როლს თამაშობს ნაწარმოების ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, რაც ხელს უწყობს მის სოციალურ ფუნქციონირებას.

ასე რომ, კრიტიკა ეხმარება როგორც მწერლის, ასევე მკითხველის კლასიკურ მემკვიდრეობასა და მის ტრადიციებში, თანამედროვე ხელოვნებასა და მხატვრულ მოდაში, საზოგადოდ კულტურულ ცხოვრებაში ორიენტირებას.

გარდასული დროის ნაწარმოების კრიტიკოსს უხდება იმის გარკვევა თუ როგორ მიიღო ეს ნაწარმოები მწერლის თანამედროვე კრიტიკამ და როგორ აღიქმება იგი გარკვეული პერიოდის შემდეგ. ნაწარმოების კრიტიკა მის მხატვრულ განსჯა-განხილვას გულისხმობს. მხატვრული განხილვა კი კრიტიკულ აზრთან ერთად ესთეტიკურ მიდგომას მოითხოვს.

ლიტერატურის კრიტიკას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამდენად მას გააჩნია საკუთარი ისტორია და თეორია, რომლებიც ცალ-ცალკე დისციპლინებად ჩამოყალიბდა.

პოეტიკა (ბერძნ. poetike techne შემოქმედებითი ხელოვნება) ლიტერატურათმცოდნეობის უძველესი დარგია. იგი არის მეცნიერება ლიტერატურულ ნაწარმოებში ენობრივ საშუალებათა მხატვრული გამოხატვის სისტემის შესახებ. პოეტიკის მკვეთრი გამიჯვნა ლიტერატურის თეორიისაგან ძნელია, ვინაიდან ისიც სწავლობს ლიტერატურულ გვარებს, ჟანრებს, მიმდინარეობებს, მიმართულებებს, სტილს, მხატვრულ ენას, სიუჟეტს, კომპოზიციას და ა.შ. პოეტიკის მიზანს შეადგენს ტექსტის იმ ელემენტების გამოყოფა და სისტემატიზაცია, რომლებიც მონაწილეობენ მკითხველისათვის ესთეტური ეფექტის შექმნაში. ჩვეულებრივ განასხვავებენ თეორიულ ანუ ზოგად პოეტიკას (მაკროპოეტიკა), კერძო პოეტიკას (მიკროპოეტიკა) და ისტორიულ პოეტიკას. თეორიული პოეტიკა ნაწარმოებში გამოყოფს და განსაზღვრავს იმ საერთო თვისებებს, რომლებიც ნებისმიერი ერისა და ეპოქის მხატვრულ ნაწარმოებებს ახასიათებს. კერძო პოეტიკა კი თეორიული პოეტიკის მიერ დადგენილი ნორმების საფუძველზე სწავლობს კონკრეტულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ესთეტურად მნიშვნელოვანი ელემენტების ურთიერთმიმართებას. ისტო-

რიული პოეტიკა შეისწავლის ცალკეული პოეტური ხერხების ევოლუციის პროცესს ისტორიულ-შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის დახმარებით. ამ დროს ვლინდება სხვადასხვა კულტურათა პოეტიკური სისტემების საერთო ნიშნები, რასაც ან საერთო (გენეტიკურ) წყაროსთან, ან ადამიანური აზროვნების უნივერსალურ (ტიპოლოგიურ) კანონზომიერებებთან მივყავართ. მსგავსი თვისებების გამო, რომლებიც განპირობებულია ლიტერატურული პროცესის ტიპოლოგიური სიახლოვით, ასხვავებენ ევროპულ და აღმოსავლურ პოეტიკას. დამოუკიდებელ დარგს წარმოადგენს ასევე პოეტიკის ისტორია.

სტილისტიკა. სტილისტიკის ადგილი მეცნიერების სხვადასხვა დარგს შორის არის მიჩნეული. სტილისტიკა არსებობს ენათმეცნიერებაში, არსებობს ლიტერატურათმცოდნეობაში. ლიტერატურათმცოდნეობაში მას თვლიან ლიტერატურის თეორიის განაყოფად ან ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის შემადგენელ ნაწილად. როგორც ლიტერატურის თეორიის განაყოფი, იგი ლიტერატურული ქმნილების სტრუქტურულ თავისებურებათა ცალკეულ მხარეს შეისწავლის; როგორც ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის შემადგენელი ნაწილი, იგი მხატვრული ენის ზოგად არსსა და მწერლის ენის კონკრეტულ თავისებურებებს სწავლობს. სტილისტიკას ასევე მიიჩნევენ პოეტიკის ნაწილად. პოეტიკის შესწავლის საგანს სხვადასხვა ასპექტთან ერთად წარმოადგენს ნაწარმოების ლექსიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ თავისებურებათა კვლევა, რასაც სწორედ პოეტიკის შესაბამისი ნაწილი – სტილისტიკა შეისწავლის. ამასთანავე სტილისტიკას აქვს საკუთარი თეორია, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობის ე.წ. მეორე რიგის დისციპლინებს მიეკუთვნება.

არქივმცოდნეობა. ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საარქივო მასალის (დოკუმენტური, მემუარული, ეპისტოლარული. დღიურები, ხელნაწერები, რედაქციები, ვარიანტები და ა.შ.) მოწესრიგებას მისი შემდგომი შესწავლისათვის. არქივმცოდნეობა აწესრიგებს სწორედ ამ მასალებს.

ბიბლიოგრაფია. ლიტერატურული ბიბლიოგრაფია სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობის ძალზე სერიოზული დარგია, რომლის მიზანია ინფორმაციის მოძიება მხატვრული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობითი შრომების შესახებ, რომლებიც ლიტერატურის მკვლევარებს დაეხმარება სამეცნიერო მუშაობაში.

ევრისტიკა სხვადასხვა საბის ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევის ერთობლიობას გულისხმობს – ავტორის, თარიღის, წერილის ადრესატის ვინაობის მიკვლევა; ლიტერატურული მისტიფიკაციის აღმოჩენა და განმარტება; ბიოგრაფიის დეტალური შეს-

წაკლა პრობლემების დადგენის მიზნით და ა.შ. ევრისტიკული კვლევა ხშირად იყენებს ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროთმცოდნეობას, განსაკუთრებით ხშირად მიმართავს ტექსტოლოგიას. ევრისტიკა ფაქტობრივად ატრიბუციის სინონიმია. ევრისტიკული თუ ატრიბუციული ძიება ეფუძნება დოკუმენტურ მასალას – ავტოგრაფებს, მემუარებს, ეპისტოლარულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე მიმოწერას, საარქივო მასალას და სხვა. ცალკე გამოყოფენ ბიბლიოგრაფიულ ევრისტიკას.

სამეცნიერო მუშაობა დიდად არის დამოკიდებული ლიტერატურულ ბიბლიოგრაფიასა და ლიტერატურულ არქივზე. ბიბლიოგრაფია და არქივმცოდნეობა ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარე დისციპლინებია.

პალეოგრაფია ისტორიულ-ფილოლოგიურ დისციპლინათა რიცხვს განეკუთვნება. იგი შეისწავლის დამწერლობის ისტორიასა და ძველი მწერლობის ძეგლებს. მისი მიზანია ტექსტების სწორი წაკითხვა, შექმნის დროისა და ადგილის განსაზღვრა. ზოგადი პალეოგრაფია არ არსებობს. მისი, როგორც მეცნიერების არსებობას, განაპირობებს ალფაბეტი და სამწერლობო ენა. პალეოგრაფიულ კვლევას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ისტორიული, ორთოგრაფიული, ტექსტოლოგიური მონაცემები; ასევე ფართოდ გამოიყენება ლიტერატურის ისტორია, ხელოვნების ისტორია...

ტექსტოლოგია ფილოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის, ადგენს და გამოსცემს ლიტერატურის ნაწარმოებთა ტექსტებს მათი კრიტიკულად შემოწმებისა და შემდგომი კვლევისათვის. იგი, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილი, ორგანულად არის დაკავშირებული ლიტერატურის ისტორიასა და თეორიასთან და წარმოადგენს მათ წყაროთმცოდნეობით ბაზას. ტექსტოლოგიას დახმარებას უწევს ლიტერატურული ბიბლიოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ჰერმენევტიკა, ისტორიული პოეტიკა, სტილისტიკა. ტექსტოლოგიის ძირითადი მიზანია ლიტერატურული ნაწარმოების ტექსტის ისტორიისა და მისი წყაროების ფილოლოგიური შესწავლა, დათარიღება, ტექსტის დადგენა (ე.ი. დიაქრონული, ისტორიულად გააზრებული წაკითხვა). იგი ძირითადად ემყარება ავტოგრაფებს, ასლებს, რედაქციებს, ნუსხებს, ავტორიზებულ გამოცემებს. აკადემიური გამოცემა ხასიათდება ტექსტის სიზუსტით, რომელიც დადგენილია მისი ისტორიისა და ყველა წყაროს (ხელნაწერი თუ ნაბეჭდი) სიღრმისეული შესწავლის შედეგად; ტექსტის სისრულით – მისი რედაქციებითა და ვარიანტებით; კომენტარებით, რომელშიც ასახულია ტექსტების კვლევის რეზულტატები, ცნობები რედაქციების არსებობის, დასაბუთება ტექსტის შერჩევის შესახებ, დათარიღება და ა.შ.; სამეცნიერო აპარატით. ტექსტოლოგიური ანალიზი გულისხმობს გამოკვლევის ისტორიზმს; ტექსტის კავშირის დადგენას ისტორიულ-ლიტერატურულ და კულტურულ-ისტორიულ კონტექსტთან;

იგივე ავტორის სხვა თხზულებებისა და მსგავს პირობებში მოღვაწე სხვა ავტორთა ნაშრომების გათვალისწინებას; საკვლევი ნაწარმოების გაკვლენის კვალის ძიებას სხვა თხზულებებზე და ა.შ.

ტექსტის კომენტირება არის ფილოლოგიური კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი ერთი მიმართულება, რომლის არსი მდგომარეობს ლიტერატურული ძეგლის ახსნა-განმარტებაში. ტექსტის კომენტირება კავშირშია როგორც ლიტერატურათმცოდნეობის სხვა დარგებთან (უმეტესად ტექსტოლოგიასა და პალეოგრაფიასთან), ასევე ისტორიასთან, ენის ისტორიასთან, ესთეტიკასა და სხვა მეცნიერებებთან. შესაბამისად, კომენტარებიც სხვადასხვა ხასიათისაა – ტექსტოლოგიური, ისტორიულ-ლიტერატურული, ბიოგრაფიული, ლინგვისტური და სხვა.

სტრუქტურალიზმი ლიტერატურათმცოდნეობითი მიმართულებაა, რომლის მიზანია აღმოაჩინოს, აღწეროს და განმარტოს აზროვნების სტრუქტურა, რომელიც საფუძვლად უდევს კულტურის ისტორიასა და თანამედროვეობას. სტრუქტურალიზმის ამოცანაა ტექსტის შექმნის მექანიზმის მიკვლევა. სტრუქტურალიზმი უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სტრუქტურის ელემენტებს შორის დამოკიდებულებას, ვიდრე თვით ამ ელემენტებს. სტრუქტურული კვლევა წარმოაჩენს შიდა ტექსტობრივ კავშირებს, გამოყოფს ნაწარმოების სტრუქტურის დონეებს და ადგენს იერარქიულ კავშირს მათ შორის. ამასთანავე ახდენს ცალკეული ტექსტებისა თუ მათი ლიტერატურული მიმართულებების მოდელირებას.

წყაროთმცოდნეობა ლიტერატურათმცოდნეობის დამხმარე დისციპლინაა, რომელიც სწავლობს ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის წყაროებს, მათი შემდგომი კვლევის წესებს. წყაროთმცოდნეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ლიტერატურის ისტორიასა და ტექსტოლოგიას. პრაქტიკულად იგი გამოიყენება ტექსტების გამოცემისას. ეს დარგი ძირითადად ლიტერატურულ ტექსტებს ემყარება (ჩანაწერებს, მონახაზებს, გეგმებს, ვარიანტებს, დაუსრულებელ და დასრულებულ ტექსტებს). ლიტერატურათმცოდნეობის წყაროდ შეიძლება დღიურების, მოგონებების, მიმოწერის გამოყენება. სიღრმისეული ანალიზისათვის წყაროთმცოდნეობითი კვლევის გარდა აუცილებელია სხვა სახის განმარტებების დართვა, ტექსტების კომენტირება.

ბიოგრაფიული მეთოდი. ბიოგრაფიული ჟანრი ანტიკურობიდან იღებს სათავეს. ხოლო ბიოგრაფიული მეთოდი – ლიტერატურის შესწავლის ერთ-ერთი პირველი მეცნიერული ხერხი, რომანტიზმის ეპოქაში შეიქმნა. ფრანგმა კრიტიკოსმა შარლ ოგიუსტენ სენტ-ბევიმ 1836-1839 წლებში შექმნა კრიტიკული ეტიუდები XVII-XVIII საუკუნეე-

ბის ფრანგი მწერლების შესახებ. ამ ნაშრომში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მწერლის ცხოვრების გზას. ამ *ლიტერატურულ-კრიტიკული პორტრეტებით* დაედო სათავე ბიოგრაფიულ მეთოდს. მოგვიანებით ეს მეთოდი თავისებურად გაიაზრეს და გამოიყენეს ფრანგმა მოღვაწემ იპოლიტ ადოლფ ტენმა და დანიელმა ლიტერატურათმცოდნემ გეორგ ბრანდესმა. სენტ-ბევი ბიოგრაფიას ეპოქალურ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ მოვლენებთან აკავშირებდა. იპოლიტ ტენის *გარემოს თეორიის* მიხედვით ადამიანის ბიოგრაფია რასობრივ ნიშანს, გეოგრაფიულ გარემოს უკავშირდება. ბრანდესი კი ბიოგრაფიას საზოგადოებრივ მოძრაობასთან აკავშირებდა. XX საუკუნის დასაწყისიდან ბიოგრაფიული მეთოდი უფრო ნაკლებად გამოიყენებოდა. ამ მეთოდის მიმდევრებმა ერთგვარად გაწბინდეს იგი ადრეული *გარეშე ელემენტებისაგან* და შეუდგნენ მწერლის *იდუმალი მე*-ს გახსნას. საბჭოთა პერიოდის ლიტერატურათმცოდნეობა ბიოგრაფიულ მეთოდს ძირითადად კვლევის დამხმარე ხერხად თვლიდა.

ადრე ბიოგრაფიულ მეთოდში გულისხმობდნენ მწერლის ცხოვრებისა და პიროვნების შესწავლას და ეს ორი მომენტი განიხილებოდა, როგორც მწერლის შემოქმედების განმსაზღვრელი. სენტ-ბევი წერდა, რომ ლიტერატურა, ლიტერატურული შემოქმედება ჩემთვის განუყოფელია ადამიანის ნატურისაგან; მე შემიძლია ვისიამოვნო ამა თუ იმ ნაწარმოებით, მაგრამ მე გამიჭირდება მასზე მსჯელობა თუ არა მაქვს ცნობები მისი ავტორის შესახებ; მე ვიტყოდი ასე: *ხე ისეთსავე ნაყოფს იძლევა როგორიც თვითონ არის*. აი რატომ მივყევარ ლიტერატურის შესწავლას საკმაოდ ბუნებრივად ფსიქოლოგიის შესწავლასთან.[1]

ბიოგრაფიულ მეთოდს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ნაწარმოების ავტორი არის ცოცხალი ადამიანი საკუთარი ბიოგრაფიით, თავისი ცხოვრების ფაქტებითა და მოვლენებით, რომლებიც ზეგავლენას ახდენს მის შემოქმედებაზე და ცხადია, გარკვეულად განსაზღვრავს ნაწარმოების თემისა თუ სიუჟეტის შერჩევას; მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ მწერლის, როგორც შემოქმედის პიროვნება და მისი ნაწარმოები არამც და არამც არ არის იგივეობრივი, ხშირ შემთხვევაში კი რადიკალურად საპირისპიროა. კვლევის თანამედროვე დონისათვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მწერლის ბიოგრაფიის შესწავლა, რადგან მან შეიძლება ნათელი მოჰფინოს და ახსნადი გახადოს მისი შემოქმედების არაერთი დეტალი.

სენტ-ბევის აკრიტიკებდნენ სუბიექტივიზმისა და მეცნიერული სისტემის უქონლო-

[1] Сент-Бёв Ш. О., Шатобриан в оценке одного из близких друзей в 1803г. //Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX вв. Трактаты. Статьи. Эссе /Сост., общ. ред. Г. К. Косикова, М., 1987, с. 40.

ბის გამო. მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ჰყავდა მიმდევრები, საკმაოდ ღვაწლმოსილი პიროვნებები. გარდა ამისა, ბიოგრაფიულმა მეთოდმა თავისებურად შეამზადა ფსიქოლოგიური მიდგომისა და ფროიდიზმის საფუძველი.

კულტურულ-ისტორიული მეთოდი ლიტერატურას ახასიათებს, როგორც ხალხის სულის აღბეჭდვას მისი ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. ეს არის ლიტერატურის შესწავლის ხერხი, რომელიც შეიმუშავა ფრანგმა ფილოსოფოსმა, ისტორიკოსმა და ლიტერატურათმცოდნემ იპოლიტ-ადოლფ ტენმა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. კულტურულ-ისტორიულ სკოლას მიეკუთვნებოდნენ ფ. ბრიუნეტიერი, გ. ლანსონი (საფრანგეთი), გ. ბრანდესი (დანია), ვ. შერერი (გერმანია), ფ. დე სანქტისი (იტალია). ეს მეცნიერები აღიარებდნენ რა სენტ-ბევის მიდგომას ლიტერატურასთან, ამასთანავე მოითხოვდნენ ისტორიზმის წამოწევას. ყველაზე თანმიმდევრულად ჩამოაყალიბა ეს დებულება ი. ტენმა.[1] იგი არ უარყოფდა მწერლის პიროვნების კავშირს მის ნაწარმოებთან, მაგრამ ამასთანავე ინტერესდებოდა უფრო ზოგადი ისტორიული და ნაციონალური კანონზომიერებებით. ტენი იყო პოზიტივიზმის მხარდამჭერი, ნატურალისტური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. იგი ეძებდა ისეთ სისტემას, რომელსაც ექნებოდა მყარი საფუძველი როგორც მეცნიერების, ასევე ხელოვნებისთვისაც. ლიტერატურულ ნაწარმოებში ტენი იკვლევდა არა მხოლოდ *მისი შემქმნელის სულის ფსიქოლოგიას*, არამედ ხალხისა და მისი თანადროული საუკუნის ფსიქოლოგიას. ტენის შეხედულებით, ლიტერატურის ხასიათს განსაზღვრავს სამი საწყისი ძალა, სამი სხვადასხვა წყარო – რასა, გარემო, მომენტი. მისი განმარტებით, ერთი რასის წარმომადგენლები შეიძლება სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა კონტინენტზე აღმოჩნდნენ, სხვადასხვა კლიმატურ ზონაში დასახლდნენ, რასა სულიერ ერთიანობას მაინც შეინარჩუნებს. ტენისათვის რასა სტაბილურია, დროთა ვითარებაში ნაკლებ ცვალებადია, ემთხვევა ნაციონალურ ხასიათსა და ნაციონალურ მენტალიტეტს; ხოლო გარემო სხვადასხვაგვარია. ჟერმენ დე სტალის მსგავსად, მანაც ყურადღება გაამახვილა გეოგრაფიულ ფაქტორზე, რომელიც განაპირობებს ხალხის ხასიათის ფორმირებას. ტენის შეხედულებისამებრ, გეოგრაფიულ, ისტორიულ, სოციალურ ფაქტორებს ისეთივე მნიშვნელობა აქვს ნაციისათვის, როგორც ინდივიდისათვის საცხოვრებელ ადგილს, აღზრდას, ოჯახს, პროფესიასა და საზოგადოებრივ მდგომარეობას. რასისა და გარემოს ე.წ. *შეხვედრის* შედეგად ლიტერატურასა და ხელოვნებაში იცვლება *ნახატი*. მომენტი კი ტენს გააზრებული აქვს როგორც *კულტურის ისტორიული დონე და ტრადიცია*.

[1] Тэн И., История английской литературы. Введение // Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX вв. Трактаты. Статьи. Эссе /Сост., общ. ред. Г. К. Косикова, М., 1987.

მხატვრული ნაწარმოების შექმნის ზოგადი მიზეზების ძიებას მივყავართ იმ შეხედულებამდე, რომ იგი არის არა მარტო ბიოგრაფიული ავტორის ქმნილება, არამედ ეპოქის დოკუმენტი და კულტურულ-ისტორიული მეთოდისათვის იგი უმთავრესად მნიშვნელოვანია სწორედ როგორც ეპოქის დოკუმენტი. კულტურულ-ისტორიული მეთოდი დღესაც გამოიყენება ლიტერატურის რთული მოვლენების შესასწავლად.

სოციოლოგიური მეთოდი უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას ამახვილებს ლიტერატურის კავშირზე გარკვეული ეპოქის სოციალურ მოვლენებთან. მისი წარმოშობა უკავშირდება ლიტერატურათმცოდნეობის კულტურულ-ისტორიულ სკოლას. XIX საუკუნეში ამ მეთოდის მნიშვნელოვან ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა პოზიტივიზმი. სოციოლოგიურ მეთოდს კულტურულ-ისტორიულ სკოლასთან აახლოვებს ისტორიზმი, სურვილი იმისა, რომ განიხილოს ლიტერატურა, როგორც ხალხის მატერიალური კულტურის კანონზომიერების გამომხატველი, გამაახვილოს ყურადღება პროცესისადმი და არა ინდივიდებისადმი, მხატვრული შემოქმედება ახსნას სხვა მეცნიერებების (პირველ რიგში ეკონომიკის, სოციოლოგიის...) კანონების დახმარებით, გამოიჩინოს დაინტერესება თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ლიტერატურა პოლიტიკურ სიტუაციასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სოციოლოგიური მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც თვით ნაწარმოების ანალიზისას საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე, ასევე მისი ზეგავლენის შესასწავლად მკითხველებზე, საზოგადოებაზე. აქ მას შეხების წერტილები აქვს ლიტერატურისადმი ფსიქოლოგიურ მიდგომასა და რეცეპტიულ ესთეტიკასთან. პირველ შემთხვევაში ნაწარმოებში გამოიყოფა ისტორიული ტენდენციები, სოციალურად განპირობებული მომენტები, ხასიათები, რომლებიც მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ ატმოსფეროსთან, ეკონომიკური და პოლიტიკური კანონების მოქმედებასთან. მეორე შემთხვევაში კი საქმე ეხება ნაწარმოების რეცეფციის პრობლემას მკითხველთა სხვადასხვა ფენების, კლასების, დაჯგუფებების მიერ.

სოციოლოგიური მეთოდი ლიტერატურისადმი სხვადასხვა მიდგომასა და მეთოდთან ერთად არის მნიშვნელოვანი ხერხი ნაწარმოების მრავალმხრივი კვლევისათვის. თუმცა, სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა მეცნიერი მას მიიჩნევდა კვლევის ერთადერთ, უნივერსალურ საშუალებად.

ლიტერატურული ჰერმენევტიკა არის მეცნიერება ტექსტების ახსნა-განმარტების, საზრისის გაგების, ინტერპრეტაციის პრინციპების შესახებ. სიტყვის *ჰერმენევტიკა* წარმოშობა დაკავშირებულია ბერძნული ღმერთის ჰერმესის სახელთან, რომელიც იყო ჭკვიანი, გამჭრიახი, მოხერხებული, ზეცის შიკრიკი და მისივე ნების აღმსრულებელი, მგზავრთა მფარველი, ოლიმპიელი ღმერთების ნების მაცნე ადამიანები-

სათვის და ამ ნების ამხსნელი და განმმარტებელი. ლიტერატურული ჰერმენევტიკის საგანია ინტერპრეტაცია, გაგება. ინტერპრეტაციის არსი კი მდგომარეობს ლიტერატურული ნაწარმოების აღქმაში პიროვნების ცნობიერების მიერ. კლასიკური ჰერმენევტიკა აღმოცენდა ძველ საბერძნეთში, სადაც ხდებოდა ბერძენ პოეტთა ნაწარმოებების განმარტება.

ჰერმენევტიკის ზოგადფილოსოფიური პრობლემა დაამუშავა ფ.დ.ე. შლაიერმახერმა. მისი კონცეფციის თანახმად, მხოლოდ იმის *გაგება* არის შესაძლებელი, რასაც აქვს *ინდივიდუალობა*: საკუთარი ან სხვისი სულიერი ცხოვრება, მხატვრული ნაწარმოები, ისტორიული ძეგლი. ინდივიდუალობა თავის თავში იტევს მთელი ცხოვრების სისავსეს, როგორც გაცნობიერებულს, ასევე გაუცნობიერებელს. ჰერმენევტიკის ამოცანაა უკეთესად გაიგოს ავტორი, ვიდრე თვით ავტორს ესმის საკუთარი თავის. შლაიერმახერის მიმდევარია ვ. დილთაი. მისი კლასიკური ნაშრომია *ჰერმენევტიკის წარმოშობა*. მან ინდივიდუალურის გაგება წარმოადგინა როგორც *სულიერი ცხოვრების კავშირი*, რომელიც მიიღწევა მხოლოდ შინაგან განცდებში. შლაიერმახერისა და დილთაის მიხედვით ჰერმენევტიკის ძირითად ბირთვს ქმნის აზრი, რომ დროში მოცემული სულიერი კავშირის *ნაწილი* წარმოდგენილია თავისი ურთიერთობით *მთელთან*. შესაბამისად, *ნაწილშიც* არსებობს *მთელი* სულიერი კავშირი. სულიერი მთლიანობის მიღწევის პროცესი მისი ნაწილების გამოხატვით არის სწორედ *გაგება*. *გაგების* ხელოვნების დამუშავებისას ის ემყარებოდა უმთავრესად ლიტერატურული ნაწარმოებების ინტერპრეტაციას. მან ინტერპრეტაციის ადგილად მიიჩნია შემეცნების თეორიის, ლოგიკისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ურთიერთგადაკვეთის წერტილი.

ჰერმენევტიკის განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ჰ.გ. გადამერის შრომები. გადამერი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ტრადიციის ცნებას. ტრადიცია და გაცნობიერებული ისტორიული დისტანცია ერთმანეთისაგან მიჯნავს მოლაპარაკესა და ინტერპრეტატორს. მისი აზრით, ჭეშმარიტი გაგება ვერ მოხერხდება ინტერპრეტატორის მიერ საკუთარი ცნებების უარყოფისა და ამა თუ იმ კონკრეტულ ეპოქაში თავისი თავის ტრანსპლანტაციით. დროით ინტერვალს შეუძლია ფილტრის ფუნქციის შესრულება. დროითი დისტანცია კერძო შემეცნებითი ინტერესების უკუგდების საშუალებას იძლევა, რასაც ჭეშმარიტ *გაგებამდე* მივყავართ.

თანამედროვე ლიტერატურულ ჰერმენევტიკაში მნიშვნელოვანი ნაშრომები აქვს შესრულებული ე.დ. ჰირშის. იგი იკვლევს ჰერმენევტიკის ზოგადთეორიულ პრობლემებს იმ დისკუსიებთან მიმართებაში, რომლებსაც ატარებენ ინტერპრეტაციის განსხვავებული სკოლები.

ჰერმენევტიკული მოძღვრების ისტორია იყოფა ორ პერიოდად – კლასიკურ ჰერმენევტიკად და თანამედროვე ლიტერატურულ ჰერმენევტიკად. მათ შორის ძირითადი განსხვავება უკავშირდება *გაგების* ისტორიულ ბუნებას, ისტორიულ დისტანციას, *გაგების* პროცესში ისტორიული პოზიციის როლის პრობლემებს.

ფორმალური მეთოდი. ლიტერატურათმცოდნეობაში ფორმალური მეთოდი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა. ეს მეთოდი მხატვრულ ფორმას მოიაზრებს როგორც ლიტერატურის სპეციფიკის განმსაზღვრელ კატეგორიას, რომელსაც შესწევს დამოუკიდებლად განვითარების უნარი. სისტემაში *ლიტერატურა* იგი ფოკუსირებულია უშუალოდ ნაწარმოებზე. მხატვრული ნაწარმოების ანალიზისას იგი ცდილობს გაემიჯნოს *ავტორს* და *მკითხველს*.

სტრუქტურული მეთოდი. ამ მეთოდის ჩამოყალიბება უკავშირდება XX საუკუნეში მთელი რიგი ჰუმანიტარული მეცნიერების გადასვლას კვლევის ემპირიულ-აღწერილობითი დონიდან აბსტრაქტულ-თეორიულზე. მისი მიზანია წარსული და თანამედროვე კულტურის საფუძველში არსებული აზროვნების სტრუქტურის მიკვლევა, აღწერა და განმარტება. სტრუქტურალიზმი თავდაპირველად ენათმეცნიერებაში დამკვიდრდა, შემდეგ ლიტერატურათმცოდნეობაში, ეთნოგრაფიაში და მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგში. ლიტერატურათმცოდნეობითი სტრუქტურალიზმი ჩამოყალიბდა *პარიზის სემიოლოგიური სკოლისა* და *ლიტერატურის სოციოლოგიის ბელგიური სკოლის* მეცნიერთა მიერ. 50-70-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ფრანგული სტრუქტურალიზმი. შეერთებულ შტატებში სტრუქტურალიზმი 70-იანი წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა. 70-80-იანი წლების მიჯნაზე სტრუქტურული მეთოდის ბევრი მიმდევარი ნარატოლოგიით დაინტერესდა, დიდი ნაწილი კი პოსტსტრუქტურალიზმისა და დეკონსტრუქტივიზმის პოზიციებზე გადავიდა.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა იხ. გვ. 58.

ლიტერატურული ურთიერთობა იხ. გვ. 56.

ტიპოლოგიური კავშირი (ტიპოლოგია – typos – სახე, ანაბეჭდი, logos – მოძღვრება; მეცნიერული სისტემატიზაციის სახე; საგნებისა და მოვლენების კლასიფიკაცია მათი საერთო თვისებების გათვალისწინებით) შეიძლება არსებობდეს მსგავს ისტორიულ საფუძველზე დამოუკიდებელი განვითარების შედეგად და ეფუძნებოდეს კულტურულ-საზოგადოებრივ მსგავსებას. ტიპოლოგიური კავშირი შეიძლება იყოს *სინქრონული* და *დიაქრონული*. ეს უკანასკნელი განპირობებულია არათანა-

ბარი საზოგადოებრივი განვითარების გამო სხვადასხვა რეგიონების ლიტერატურებში სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობისა და მხატვრული მეთოდების არათანადროული ჩამოყალიბებით.

გენეტიკური კავშირი ლიტერატურათა იმ საერთო წარმომავლობას, მონათესავე ლიტერატურების განვითარების ანალოგიურ თავისებურებებსა და ტენდენციებს გულისხმობს, რომლებიც განპირობებულია საერთო გენეზისით – *საერთო ისტორიული ფესვებით, საერთო ლიტერატურული ან ისტორიულ-კულტურული ტრადიციებით*. მსოფლიო ლიტერატურის ტიპოლოგიურად მსგავსი პროცესები თავად ლიტერატურული პროცესის კანონზომიერებას გამოავლენს. გენეტიკური კავშირი კი ლიტერატურის მემკვიდრეობითობაზე მეტყველებს. ასახავენ რა ერთიანი ლიტერატურული პროცესის სხვადასხვა მხარეს, ტიპოლოგიური და გენეტიკური კავშირები გარკვეულ შემთხვევაში ავსებენ და ენაცვლებიან ერთიმეორეს.

შედარებითი კვლევის დროს მსგავსება-განსხვავებათა სისტემის ანალიზია საჭირო. ამასთანავე უნდა შესწავლილ იქნას ის მხატვრული ჯაჭი, რომელიც ამ შეპირისპირებას ააშკარავებს. შედარებითი კვლევისას ყურადღება გამახვილებულია ჟანრებზე, თხრობის თავისებურებებზე, კომპოზიციაზე, პერსონაჟთა სისტემასა და მათი აგების ხერხებზე, თემატიკაზე, მოტივზე, სტილსა თუ ენაზე იქიდან გამომდინარე თუ რას ეიკვლევთ – ტიპოლოგიურ მსგავსებებს, გენეტიკურ კავშირებსა თუ ლიტერატურულ ურთიერთობებს.

მიგვაჩნია, რომ შედარება გაგების უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია. ლიტერატურული პროცესის შემადგენელი ნაწილების მსგავსება-განსხვავების წარმოჩენა განაპირობებს კონკრეტული ლიტერატურული ძეგლებისა თუ ეროვნული ლიტერატურების იერარქიულ განთავსებას გარკვეული პერიოდის გეოგრაფიულ არეალში.

შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდია ისტორიულ-შედარებითი ანუ შედარებითი.

ლიტერატურის შესწავლის პროცესში ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა გარკვეულ ერთიანობას ავლენენ.

ისტორიულ-შედარებითი ან შედარებითი მეთოდი ეფუძნება ლიტერატურის ისტორიულ-შედარებით შესწავლას. ტერმინი *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა* მიუთითებს, რომ ამ მეთოდის საფუძველში დევს შედარება, შეპირისპირება, ხოლო ნებისმიერი შედარება-შეპირისპირების საფუძველს წარმოადგენს მსგავსება

– განსხვავების მექანიზმი. ლიტერატურათმცოდნეობაში ეს მეთოდი შემოვიდა მას შემდეგ, როცა უკვე არსებობდა სენტ-ბევის ბიოგრაფიული მეთოდი, ამ მეთოდის გავრცობა ი. ტენისა და გ. ბრანდესის მიერ, რასაც ფაქტობრივად სოციოლოგიასთან მივყევართ და ფ. ბრიუნეტიერის შეხედულება, რომელიც სოციოლოგიისა და ბიოლოგიისაკენ არის მიმართული. შედარებით მეთოდს აქვს ზოგადმეცნიერული მნიშვნელობა და მოდელირების უნარი, რომელიც მოიცავს საზოგადოდ ადამიანის აზროვნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოტივს. ტერმინი *შედარებითი მეთოდის* განსაზღვრება ჩვენში პირველად ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა[1].

ლიტერატურული ურთიერთობა იხ. გვ. 56.

ლიტერატურული ურთიერთობის ფორმები. ლიტერატურული ურთიერთობა ფორმათა ნაირსახეობით ხასიათდება. მათში აისახება ლიტერატურათშორისო გარეგანი კავშირები, რომელსაც ზოგიერთი ავტორი *კონტაქტურ კავშირს* უწოდებს. მასში ის აზრია ჩადებული, რომ აქ საქმე ეხება კონტაქტის შედეგად მიღებულ ფორმებს, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო ტიპოლოგიურ და გენეტიკურ კავშირებთან. ჩვენი აზრით, ტერმინი მთლად გამართულად არ ჟღერს, ვინაიდან კონტაქტი და კავშირი ფაქტობრივად სინონიმებია. ამდენად ჩვენ ვამჯობინებთ, რომ გარეგანი კონტაქტების შედეგად მიღებულ ფორმებს ვუწოდოთ ლიტერატურული ურთიერთობის ფორმები. მათი შინაარსიდან გამომდინარე ისინი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფში გავაერთიანოთ – მხატვრულ-ლიტერატურული, სამეცნიერო-კვლევითი და სამეცნიერო-შემოქმედებითი. მხატვრულ-ლიტერატურულ ჯგუფში ჩვენ ვაერთიანებთ იმ ფორმებს, რომლებიც თავისი შინაარსით მხატვრულ შემოქმედებას განეკუთვნება – თარგმანი, სესხება, მიბაძვა, გადმოკეთება, გავლენა, ალუზია, რემინისცენცია, უცხოეროვნული თემატიკა, ინტერპრეტაცია, ვარიაცია, სტილიზაცია და სხვა. სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფის ფორმებად სხვადასხვა სახის სამეცნიერო ნაშრომსა (ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ლიტერატურათმცოდნეობითი შრომები) თუ ეპისტოლარული მიმოწერის შესწავლას და სხვა ამ ტიპის მასალას მოვიაზრებთ. სამეცნიერო-შემოქმედებით ჯგუფს კი სამეცნიერო-ორატორული გამოსვლები და შემოქმედებითი ხასიათის ღონისძიებები შეადგენს. ესენია – სიმპოზიუმი, კონფერენცია, სემინარი, სესია, დისპუტი, მწერალთა და ლიტერატურის მკვლევართა საიუბილეო-შემოქმედებითი საღამოები, მრგვალი მაგიდები და სხვ. საგულისხმოა, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმები ყველა დროში თანაბრად პროდუქტიული არ არის. მათი პოპულარობა მატულობს ან კლებულობს ეპოქალური მოვლენების შესაბამისად.

[1] ი. ჭავჭავაძე, აი ისტორია, წიგნში ი.ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები ხუთ ტომად, ტ.4, თბ.,1987.

თარგმანი კულტურის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი სფეროა. მას დიდი ფუნქცია აკისრია როგორც ეროვნული კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში, ასევე ეროვნებათშორისი თუ ენათშორისი დიალოგის დამყარებაში. თარგმანი სიტყვის ან ტექსტის ერთი ენიდან მეორეზე გადატანას ნიშნავს. ე.ი. ენათშორისი კომუნიკაციის საშუალებაა. გარდა ამისა საგულისხმოა, რომ თარგმანი უამრავ სისტემას შორის ამყარებს კონტაქტს. იგი ეროვნებათშორისი ურთიერთობის ფართო სპექტრს მოიცავს. უპირველესად კი კულტურათშორისი კომუნიკაციის აქტია. თარგმანი თავისი შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება იყოს სამის სახის – *მხატვრული, სამეცნიერო-ტექნიკური* და *პუბლიცისტური*. მხატვრული და სამეცნიერო (ლიტერატურათმცოდნეობითი) ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებია. მხატვრულ თარგმანს ლიტერატურულ ურთიერთობათა ფორმებს შორის ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეროვნებათშორისი კომუნიკაციის დამყარებაში თარგმანის მეტად სერიოზულმა როლმა, მისმა უტილიტარულმა, პრაგმატულმა მნიშვნელობამ თუ მთარგმნელობითი კულტურის განვითარებამ განაპირობა თარგმანის ფუნქციის განსაზღვრა და მისი სხვადასხვა დარგის პოზიციიდან მრავალმხრივად შესწავლა. თარგმანის რთულ პრობლემატიკას მეტად სპეციპიკური, ინტერდისციპლინარული მეცნიერება – თარგმანმცოდნეობა იკვლევს.

სესხება. ლიტერატურული სესხება მწერლის მიერ სხვისი ნაწარმოების თემის, სიუჟეტის, ჟანრის, სახის და ა.შ. გამოყენებას, გადმუშავებასა და ახალი ნაწარმოების შექმნას ნიშნავს. მსოფლიო ლიტერატურაში არაერთი თემა თუ სიუჟეტი მრავალჯერ მეორდება. აქედან შეიქმა გამოთქმები, მოარული სიუჟეტები, მარადიული თემები... მაგალითად სულიერი და მიწიერი ცხოვრების ჭიდილზეა აგებული ძველი ქრისტიანული თქმულება *წმინდა მარტინეს ცხოვრება*, გუსტავ ფლობერის *წმინდა ანტონის ცდუნებანი*, ემილ ზოლას *აბატ მიურეს შეცოდებანი*, ილია ჭავჭავაძის *განდეგილი*, მიხეილ ლერმონტოვის *მწირი*... მარადიული თემაა ლიტერატურაში სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირება თავისი მრავალმხრივი გამოხატულებით, (მაგ. სიხარბის თემა, სიძუნწის თემა, მოქმედება-უმოქმედობის საკითხი). უმოქმედობის ცოდვას ხშირად მეორე ცოდვაც – სიხარბე და გაუმაძღრობაც ემატება: ფრანსუა რაბლეს *გარგანტუა და პანტაგრუელი*, ილია ჭავჭავაძის *კაცია ადამიანი?!* (ლუარსაბ თათქარიძე), ივანე გონჩაროვის *ობლომოვი* (ილია ობლომოვი), უილიამ თეკერეის *ამაოების ბაზარი* (ჯოზეფ სედლი). სესხების წყაროდ ხშირად ფოლკლორული ნაწარმოები, მითი თუ ლეგენდა გვევლინება. მაგალითად, ძუნწის სახე ანტიკურობიდან იღებს სათავეს. ევკლიონი, ტიტუს მაქციუს პლავტუსის კომედიაში *ქოთანი (განძი)*, ბარაბა, ქრისტოფერ მარლოს პიესაში (მალტელი ებრაელი), შაილოკი

უილიამ შექსპირის პიესაში *ვენეციელი ვაჭარი*, არპაგონი, მოლიერის კომედიაში *ძუნწი*, გობსეკი, ონორე დე ბალზაკის რომანში *გობსეკი*, ებენიზერ სკრუჯი, ჩარლზ დიკენსის *საშობაო სიმღერაში*, ალექსანდრე პუშკინის *ძუნწი რაინდი*, პლიუშკინი, ნიკოლოზ გოგოლის პოემაში *მკვდარი სულები*, სოლომონი, ლავრენტი არდაზიანის მოთხრობაში *სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი*, ჰაჯი-ყარა, მირზა ფათალი ახუნდოვის *ძუნწის თავგადასავალში*, კარაპეტა, გიორგი ერისთავის *ძუნწში*...

ხალხურ თქმულებათა სესხებისათვის აკრიტიკებდა ახალგაზრდა კრიტიკოსი იპოლიტე ვართაგაჟა ვაჟა-ფშაველას. ვაჟა-ფშაველას პასუხში ვკითხულობთ: *ყოველი დიდებული საკაცობრიო ნაწარმოები შექსპირისა, გიოტესი ხალხურ ქმულებებზეა აშენებული... ავტორები ფაუსტს, გიოტეს გარდა ასობითა ჰყვანდა. მაგრამ გიოტეს მეტმა ნამდვილი ფაუსტის დაწერა ვერაფერ შეძლო, რადგან საკუთარმა სულიერმა ქურამ სხვა მწერალთა ვერ შესძლო გადადუღება ხალხისაგან მოცემული მასალისა და მის საკუთრებად გარდაქმნა. ესევე დაემართათ შექსპირის ჰამლეტს, მეფე ლირს, რომეო და ჯულეტას და სხვ. ესევე ითქმის დიდებულ შოთაზე და მის ვეფხისტყაოსანზე... ჩემი პოემები თითქმის ყველა, სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თვითეული მათგანი სხვადასხვანაირად. ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს, სხვა სრულიად დაშორებულია... დიდი სახელი მხოლოდ მეტად თავისებურად შემუშავებულმა ამბებმა მოიპოვეს საზოგადოებაში. ამ პოემების ჯგუფს ეკუთვნის სტუმარ-მასპინძელი და გველის მჭამელი...*[1]

გავლენა ლიტერატურული ურთიერთობის საკმაოდ რთული ფორმაა, რომლის მაღალგანვითარებულ სახეს შემოქმედებითი იმპულსი წარმოადგენს. გავლენის დანიშნულებას ა. დიმა სწორედ შემოქმედებით სტიმულში ხედავდა.[2] შესაძლოა, ასევე მწერალმა გამოიყენოს სხვა მწერლის მხატვრული გამოცდილება, გავლენა განიცადოს სიუჟეტის განვითარებამ, მოქმედმა გმირებმა. გავლენა თავისი არსით ახლოსაა სესხებასთან. *ჩვენში ძალიან სათაკილოდ და ვითომ ნიჭის დამამცირებლად მიაჩნიათ მწერალზე სხვისი გავლენა. ზემოქმედება მწერალზე აუცილებლად საჭიროა, უამისოდ მწერალი ცარიელი, უშინაარსო არსება იქნებოდა, თუამასთანავე ივი ცოცხლად გამომსახავი არ იყოს შთაბეჭდილებათა,*[3] წერდა ვაჟა-ფშაველა.

[1] ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგაჟასი, წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990, გვ. 406-408.

[2] А. Дима, Принципы сравнительного литературоведения (пер. с рум.), М., 1977, с. 42

[3] ვაჟა-ფშაველა, PRO DOMO SUA წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1990, გვ. 394

მიბაძვა. ლიტერატურული მიბაძვა რომელიმე მხატვრულ-ლიტერატურული ნიმუშის შეგნებულად გადმოღება, გამეორება ან გადაკეთებაა. იგი ან ლიტერატურული ტრადიციის მემკვიდრეობითაა განპირობებული, ან სხვა მწერლის მოწაფეობით, ან ლიტერატურულ-ესთეტიკური პოზიციების მიმსგავსებით... მიბაძვა შეიძლება იყოს "ბრმა" და დაემსგავსოს ეპიგონობას (ეპიგონობა არაშემოქმედებით მიბაძვას ნიშნავს. ეპიგონობის ყველაზე დაბალი საფეხურია პლაგიატი, რაც ფაქტობრივად სრულ შემოქმედებით უძლურებას წარმოადგენს). მიბაძვის სინონიმად იხმარება *გადმოკეთება.* ან მიბაძვა–გადმოკეთება. მიბაძვის არეალი მერყეობს თავისუფალი თარგმანიდან და თავისუფალი სტილიზაციიდან სრულ დამოუკიდებელ ნაწარმოებამდე. ამდენად იგი შესაძლოა შემოქმედებით ხასიათს ატარებდეს. მიბაძვა ამგვარად აქვს ფორმულირებული ა.ს. პუშკინს – *ტალანტი არაა თავისუფალი, და მისი მიბაძვა სულაც არაა სამარცხვინო მიტაცება – ნიშანი გონებრივი სისუსტისა, არამედ კეთილშობილი რწმენა საკუთარი ძალებისა. გენიოსის ნაკვალევზე სწრაფვისას იმედი ახალ სამყაროსა აღმოჩენისა. ანდა უფრო ძალებული სურვილი, შეისწავლო საკუთარი ქმნილება და მისცე მას მეორე სიცოცხლე.*[1] მაგრამ ეს არის დიდი პოეტის შეხედულება და ეს საკითხი მისი თვალსაწიერიდან არის შეფასებული. უმეტესად კი მიბაძვა და გადმოკეთება პოლიტიკური, კულტურული, ლიტერატურული კრიზისის პირობებში იჩენს ხოლმე თავს და იმ პერიოდისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ალუზია (ლათ. allusio ხუმრობა, ნართაული) მხატვრულ ლიტერატურაში. ორატორულ გამოსვლაში ან სალაპარაკო ენაში გამოთქმული სტილისტური ფიგურაა. რომელშიც გადაკრული, ქარაგმული მინიშნებაა საზოგადოებისათვის ცნობილ პოლიტიკურ, ისტორიულ თუ ლიტერატურულ ფაქტებზე.

სამეცნიერო ნაშრომი მეცნიერული კვლევის საფუძველზე შექმნილი ნაშრომია. რომელიც შეიცავს სიახლეს, შედგება მოძიებული მასალის ანალიზისა და განზოგადებული დასკვნებისაგან. ლიტერატურული ურთიერთობის სფეროში ეს არის ძირითადად უცხოეროვნულ მწერლებთან მიმართებაში შექმნილი გამოკვლევა.

მონოგრაფია (ბერძნ. monos – ერთი; grapho – ვწერ), მონოგრაფიული გამოკვლევა. ვრცელი სამეცნიერო ნაშრომი რომელშიც ღრმადაა შესწავლილი ერთ კონკრეტული პრობლემა, საკითხი (ამ შემთხვევაში ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიული).

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანი. აქ იგულისხმება ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების თარგმანი.

---

[1] А. С. Пушкин, собр. соч. т.VI, М., 1962, с. 150

ეპისტოლარული ლიტერატურა (ბერძნ. epistole ეპისტოლე, ძვ. წერილი, მიმართვა) ეპისტოლის ფორმის, ხასიათის, მიმოწერით შექმნილი ლიტერატურაა.

კონფერენცია (ლათ. conferentia) ამა თუ იმ სამეცნიერო, კულტურული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური საკითხის განსახილველად მოწყობილი თათბირი, კრებაა.

კონგრესი (ლათ. – congressus თავმოყრა, ყრილობა) უმეტესად საერთაშორისო ხასიათის შეკრებაა სამეცნიერო, კულტურულ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ საკითხებზე.

სემინარი (ლათ. seminarium – სანერგე; სკოლა) ამა თუ იმ საგნის შემსწავლელი მეცადინეობა, სადაც დარგის ექსპერტები სხვებს უზიარებენ გამოცდილებას.

სესია (ლათ. sessio – სხდომა), სამეცნიერო სესია, გარკვეული პერიოდულობით გამართული სხდომებია.

დისპუტი (ლათ. disputo – ვმსჯელობ, ვდაობ) საჯარო პაექრობა, კამათი რაიმე საკითხის გარშემო. ფაქტობრივად იგივე დატვირთვა აქვს რაც დისკუსიას (ლათ. discussio), აზრთა გაცვლა-გამოცვლა სადაო საკითხებზე.

საიუბილეო შემოქმედებითი ფორმა სხვადასხვა ღონისძიებას მოიცავს. მწერლისა თუ კრიტიკოსის საიუბილეოდ ეწყობა კონფერენცია, სამეცნიერო სესია, შემოქმედებითი შეხვედრა და სხვ.

ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია სხვადასხვა ეროვნულ ლიტერატურას შორის დამყარებული კონტაქტით იწყება. მას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ლიტერატურული ურთიერთობა მსოფლიო ლიტერატურული პროცესის შემადგენელი კომპონენტია და ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ლიტერატურათმცოდნეობიდან ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის ცალკე დარგად გამოყოფა გამოიწვია იმან, რომ ლიტერატურულ ურთიერთობათა უამრავი ფაქტი დამოუკიდებელ მეცნიერულ შესწავლას მოითხოვს.

ლიტერატურულ ურთიერთობათა თეორია. ლიტერატურულ ურთიერთობათა ხანგრძლივი ისტორიის კვლევამ ბუნებრივად წარმოშვა თეორიული პრინციპების შექმნის აუცილებლობა და მისი ცალკე კვლევის დარგად ჩამოყალიბება.

თარგმანმცოდნეობის არსი ტექსტის წყარო ენასა და ტექსტის მიმღებ ენას შორის ეკვივალენტურობის პირობათა შესწავლაში მდგომარეობს. იგი ფილოლოგიური მეცნიერების, უპირატესად ლიტერატურათმცოდნეობის საფუძველზე აღმოცენდა, მაგ-

რამ დროთა განმავლობაში კვლევის პროცესში მომიჯნავე მეცნიერებებიც ჩაერთნენ და თარგმანმცოდნეობა კომპლექსური მეცნიერება გახდა. პოლემიკა იმაზე, თუ რომელი დარგის პრიმატით უნდა იქნას გაანალიზებული თარგმანი, ფაქტობრივად დასრულდა. თარგმანის შესწავლის ორბიტა გაფართოვდა, მან ინტერდისციპლინარული ხასიათი მიიღო და ზოგადკულტურული კვლევის ობიექტი გახდა. სწორედ ამიტომ წერდა ა. დ. შვეიცერი, რომ თარგმანზე დაკვირვება არ შეიძლება დაყვანილ იქნეს ორი განსხვავებული ენის ურთიერთმიმართებათა დადგენასა და მხოლოდ განსხვავებული ენობრივი მექანიზმების ანალიზის დონეზე. თარგმანის შესწავლა მოითხოვს განსხვავებული კულტურების ურთიერთმიმართებაზე დაკვირვებასაც.[1] თარგმანმცოდნეობის განვითარების შედეგად მისგან სხვა დარგებიც გამოიყო. სახელდობრ, თარგმანის ისტორია, თარგმანის თეორია, თარგმანის კრიტიკა. ამჯერად ჩვენ იგი გვაინტერესებს როგორც ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევის დარგი და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურის ლიტერატურათმცოდნეობითი პოზიციიდან შემსწავლელი და შემფასებელი მეცნიერება.

თარგმანმცოდნეობის საფუძვლების შექმნა საქართველოში ეფრემ მცირეს სახელთანაა დაკავშირებული.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი იხ. გვ. 71-72.

თარგმანისა და თარგმანმცოდნეობის ისტორია საქართველოში შორეულ წარსულში იღებს სათავეს. მემატიანის ცნობით, მეხუთე საუკუნის პირველ მესამედში არჩილ მეფის რძლის საგდუხტ დედოფლის დავალებით უთარგმნიათ სახარება. როგორც ჩანს, მას მოჰყოლია ძველი და ახალი აღთქმის თარგმნა, დამოწმებული იაკობ ცურტაველის *შუშანიკის წამებაში* (476-484 წწ.). მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში კი ქართველმა მთარგმნელმა და ფილოლოგმა ეფრემ მცირემ პირველი მთარგმნელობითი თეორია ჩამოაყალიბა. ეს თეორია სამი არსებითი ნიშნით ხასიათდება: ა/თხზულება უნდა ითარგმნოს ორიგინალის ენიდან; ბ/ თარგმანი უნდა იყოს ზუსტი, მაგრამ სიზუსტემ არ უნდა შელახოს იმ ენის ბუნებრიობა, რომელზეც ტექსტი ითარგმნება; გ/თარგმანს დართული უნდა ჰქონდეს კომენტარები, რომლებშიც განხილული იქნება ნაწარმოებთან დაკავშირებული ისტორიული, ენობრივი და ტექსტოლოგიური საკითხები. თარგმანმცოდნეობა, როგორც მეცნიერების დარგი, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ყალიბდებოდა.

მხატვრული თარგმანი არის თარგმანის ის სახე, რომელიც ლიტერატურული ურთიერთობის ყველაზე ძველსა და მდგრად ფორმას წარმოადგენს. მხატვრული

[1] Швейцер А. Д., Теория перевода. Статус, проблемы, аспекты, М., 1988, с. 8.

ლიტერატურის თარგმნა არის შემოქმედებითი პროცესი, რომლის დროსაც ერთ ენაზე შექმნილი მხატვრული ძეგლი გარდაითქმება სხვა ენაზე. ამა თუ იმ ქვეყნის ნათარგმნი ლიტერატურა ეროვნული მწერლობის ნაწილია. მხატვრული თარგმანი ქვეყნის კულტურას ამდიდრებს, ხოლო ***სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი*** სამეცნიერო და ტექნიკური დარგის წარმატებას ეშსახურება. სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანი ფაქტობრივად ლინგვისტიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ზღვარზე მყოფი სფეროა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მასალის დიდი სიზუსტით გადმოცემა. ლიტერატურათმცოდნეობით კომპეტენციებში ცხადია, ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების თარგმანზეა საუბარი.

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა საქართველოში მეთერთმეტე საუკუნიდან იწყება. ითარგმნებოდა ფილოსოფიური, კანონიკური, ისტორიული, ასტრონომიულ-ასტროლოგიური შრომები, სამართლის ძეგლები, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიული ლიტერატურა, ქიმიის, ფიზიკის, მათემატიკის სახელმძღვანელოები. სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის საწყის ეტაპზევე დადგა ნაშრომების სიზუსტითა და სისწორით გადმოღების საკითხი, ყურადღება გამახვილდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის დადგენაზეც (პეტრიწისეული მთარგმნელობითი პრინციპი). მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან პრესის გაფართოებასთან ერთად ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა სამეცნიერო თარგმანის საკითხი კვლავ წამოსწიეს – დღის წესრიგში დადგა სახელმძღვანელოების თარგმნის, სათარგმნი მასალის შერჩევისა და ტერმინოლოგიის დადგენის აუცილებლობა. სამეცნიერო ტერმინი ზუსტ შესატყვისობაში უნდა ყოფილიყო საგნის თვისებასთან და მისი შერჩევისას სხვადასხვა ფაქტორი უნდა გათვალისწინებულიყო. სახელდობრ, ლაკონურობა, კეთილხმოვანება და წარმოთქმის სიმარტივე.

ისევე როგორც მხატვრულ თარგმანს, სამეცნიერო პროზის თარგმნასაც ჩვენში უტილიტარული დანიშნულება ჰქონდა. მთარგმნელობით პრაქტიკასთან ერთად იქმნებოდა თეორიული მოსაზრებებიც, რომელთა განზოგადება და სრულყოფა მეოცე საუკუნეში დაიწყო. ძირითადად ასევე მეოცე საუკუნის პროდუქტია ლიტერატურათმცოდნეობითი მასალის ქართულად თარგმნა.

პუბლიცისტურ (ლათ. Publicus – საზოგადოებრივი) ***თარგმანში*** მიმდინარე საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალური საკითხები, მოვლენები და მათი შეფასებაა ასახული. ესაა უმეტესად საგაზეთო-საჟურნალო სტატიებისა თუ ინტერნეტის ქსელში გაჩენილი ახალი მასალის თარგმანი. პუბლიცისტური თარგმანი ტექსტის სიზუსტით გადმოღებას მოითხოვს.

შესრულების ფორმის მიხედვით თარგმანი შეიძლება იყოს *ზეპირი, წერილობითი* და *კომპიუტერული.*

ზეპირი თარგმანი შეიძლება იყოს *თანმიმდევრული* და *სინქრონული.* თანმიმდევრული თარგმანის აღმავლობის პერიოდი XX საუკუნის ორ ომს შორის იყო. იგი უმეტესად ერთა ლიგაში გამოიყენებოდა. სტანდარტის მიხედვით, ორატორს შეეძლო ელაპარაკა იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ჩათვლიდა საჭიროდ. შემდეგ თარჯიმანი იწყებდა თარგმნას, რაც ფაქტობრივად იმდენსავე დროს საჭიროებს, რამდენიც დასჭირდა ორატორს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სადაც ხუთ ოფიციალურ ენაზე მიმდინარეობდა მუშაობა, მალე საგრძნობი გახდა თანმიმდევრული თარგმანის არაეკონომიურობა – გამომსველელის სიტყვის ოთხ დანარჩენ ენაზე თარგმნა ოთხჯერ მეტ დროს მოითხოვდა, რამაც სინქრონული თარგმანის გამოყენების აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. სინქრონული თარგმანის სამუშაო ინსტრუმენტად გამოყენების ოფიციალურ თარიღად ნიურნბერგის პროცესია მიჩნეული, თუმცა იგი ადრეც არსებობდა. 1926 წელს ამერიკულ ფირმას IBM (*International Business Machines*) გადაეცა სინქრონული თარგმანის პატენტი. სინქრონული თარგმანის გამოყენების პირველი ცდა ჩატარდა საბჭოთა კავშირში 1928 წელს კომინტერნის კონგრესზე. 1946 წელს სინქრონული თარგმანის სამსახურის უფროსმა, IBM-ის ფირმის ყოფილმა თანამშრომელმა ლეონ დოსტერტმა მოაწყო სინქრონული თარგმანის დემონსტრირება გაეროში. თანმიმდევრულმა თარგმანმა (ისიც მხოლოდ სინქრონულთან ერთად) მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებამდე იმუშავა უშიშროების სამსახურში. თანმიმდევრული თარგმანი დღესდღეობით შემორჩა როგორც ორმხრივი დიპლომატიის, ორმხრივი ურთიერთობის მომსახურების ინსტრუმენტი. სინქრონული თარგმანი კი მრავალმხრივ დიპლომატიასა და მრავალმხრივ ურთიერთობებს ემსახურება.

წერილობითი ფორმით სრულდება როგორც მხატვრული თარგმანი, ასევე სამეცნიერო-ტექნიკური და პუბლიცისტური. სავარაუდოა, რომ საქართველოში წერილობითი თარგმანი უსწრებდა ორიგინალურ მწერლობას. წერილობითი თარგმანი შეიძლება შესრულდეს ორიგინალიდან, არაორიგინალიდან, პწკარედულად, ზუსტად, თავისუფლად. ხასიათის მიხედვით წერილობითი თარგმანი შეიძლება იყოს პროზაული და პოეტური.

კომპიუტერულ თარგმანს, ისევე როგორც სინქრონულს, თავისი წინამორბედი ჰყავს *მანქანური თარგმანის* სახით. სინქრონული თარგმანის სამსახურის უფროსის

ლეონ დოსტერტის სახელი ასევე დაკავშირებულია ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში მანქანური თარგმანის პირველი ნაბიჯების ორგანიზებასთან. დღეს კი მანქანური თარგმანი თანამედროვე კომპიუტერმა შეცვალა.

არაორიგინალის ენიდან თარგმნის (შუამავალი ენის საშუალებით) წინააღმდეგ გამოთქმული თეორიული მოსაზრებების მიუხედავად, *ორიგინალის* და *არაორიგინალის ენიდან თარგმნის ტენდენცია* საუკუნეების მანძილზე თანაარსებობს. ამ ორ ტენდენციას ემატება *პწკარედული თარგმანი*, რომელიც მეოცე საუკუნის პროდუქტია. პწკარედი უპირატესად პოეტური ნაწარმოებებისათვის კეთდება.

თარგმანის შესრულების პრინციპებია *თავისუფალი* და *ზუსტი*. თარგმანის პრინციპების დაპირისპირება ოდითგანვე არსებობდა და დღემდე მიმდინარეობს, ანტიკურ ხანაში თავისუფალი თარგმანი იყო დაწინაურებული, ფეოდალიზმის ეპოქამ კი სიტყვასიტყვითი თარგმნის პრინციპი წამოსწია წინ. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია თავისუფალი და *სიტყვასიტყვითი* თარგმანი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სიტყვასიტყვითი, ბუკვალისტური პრინციპი ზუსტი თარგმანის სახეობას წარმოადგენს და ზუსტი უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვასიტყვითი. თავისუფალს შეიძლება სწორედ ზუსტი თარგმანი დაუპირისპირდეს. თარგმანი შეიძლება იყოს ზუსტი, მაგრამ არა სიტყვასიტყვითი.

თარგმანი თავისი ხასიათის მიხედვით არის *პროზაული* და *პოეტური*. პროზაული თარგმანი მართალია, თავისუფალია პოეტური პირობითობისაგან, მაგრამ მხატვრული პროზის მთარგმნელმა თავიდანვე სწორად უნდა შეიცნოს დედნის რიტმი, ინტონაცია, აზრის გადმოცემის მანერა და მათი კავშირი ნაწარმოების ფაბულას, სიუჟეტსა და კომპოზიციასთან, აგრეთვე ფორმის იმ ელემენტებთან, რომლებიც ემსახურება ნაწარმოების ერთიანი იდეის გახსნას. პროზას, პოეზიის მსგავსად, აქვს რიტმი. პროზის რიტმი ენობრივი მასალის გარკვეული ორგანიზაციის ფორმაა (აზრობრივი და სინტაქსური ელემენტების განლაგება, სიტყვათა გამეორება, პარალელიზმები, კონტრასტები, ემოციური თხრობა, თხრობის ტემპი...) და ესთეტური დატვირთვა გააჩნია. *რიტმული პროზა* პოეტური პროზის კატეგორიას განეკუთვნება და პროზისა და პოეზიის მიჯნაზე დგას. მისი ძირითადი მახასიათებელია რიტმი, რომელიც არეგულირებს პოეტურ სინტაქსს, პოეტურ ინტონაციას, ინვერსიას, ამაღლებულ ლექსიკას...

პოეტური თარგმანი პოეზიის კანონების ჩარჩოთია შემოფარგლული. პოეტური სინტაქსი საკმარდ განსხვავდება მხატვრული პროზის სინტაქსისაგან. პოეტური

ნაწარმოების რიტმი შეთანხმებულია დედნის შინაარსთან, შინაარსი კი შესაბამის ინტონაციასთან. ამგვარად იქმნება პოეტური ნაწარმოების სტილი. სტილის შემადგენელი ელემენტების ზუსტად დადგენა ხელს უწყობს თარგმანის წარმატებას.

თარგმანის ისტორია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით შეისწავლის ამა თუ იმ ენაზე ნათარგმნ ლიტერატურას; იკვლევს მის ხასიათს, ზოგად კანონზომიერებებს; მთარგმნელობითი კულტურის დონეს დროის სხვადასხვა მონაკვეთში; ამასთანავე არკვევს რამდენად შეესატყვისება ერთმანეთს ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურისა და ორიგინალური მწერლობის ხასიათი თუ მხატვრული დონე, ვინაიდან ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა ფაქტობრივად ეროვნული მწერლობის ნაწილი ხდება.

თარგმანის თეორია. მთარგმნელობითი კულტურის განვითარებასთან ერთად ჩამოყალიბებას იწყებს თეორიული დებულებები. თარგმანის ინტერდისციპლინარული კვლევიდან გამომდინარე, თარგმანის თეორიაც სხვადასხვა დარგის ცნებითი აპარატით, კვლევის მეთოდებითა და ტერმინოლოგიით სარგებლობს. ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ობიექტს მხატვრული თარგმანი წარმოადგენს. ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომები იქმნება მხატვრული თარგმანის ისტორიაში, მხატვრული თარგმანის თეორიაში, *მხატვრული თარგმანის კრიტიკაში.*

ეს უკანასკნელი თანამედროვე მხატვრულ თარგმანს აანალიზებს. მხატვრული თარგმანის ანალიზისათვის შესაძლოა ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის მეთოდების გამოყენება. იქიდან გამომდინარე თუ რა კუთხით აპირებს მკვლევარი თარგმანის განხილვას, ირჩევს კვლევის შესაბამის მეთოდსა თუ მეთოდებს. თარგმანის კვლევის ძირითადი მეთოდი არის *ისტორიულ-შედარებითი,* თუმცა თანამედროვე თარგმანმცოდნეობა შედარება-შეპირისპირების გარდა სხვა დარგების კვლევის მეთოდების საფუძველზეც აფასებს თარგმანს მკვლევარის პროფესიული ინტერესებიდან გამომდინარე.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი იხ. გვ.71-72.

დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის

1. განათავსეთ სათანადო ველებში: რემინისცენცია, უცხოეროვნული თემატიკა, ინტერპრეტაცია, ვარიაცია, სტილიზაცია და დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები.

2. შეადგინეთ კომპიუტერული მოდელი: ლიტერატურათმცოდნეობითი სკოლები, კონცეფციები, ტერმინები. ამისათვის გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი მასალა, განათავსეთ სათანადო ველებში და თქვენს მიერ შედგენილ მოდელს, მოძიებულ ტერმინოლოგიასა და სხვა ველებში შეტანილ მასალას დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები:

ახალი კრიტიკა, სტრუქტურალიზმი, პოსტსტრუქტურალიზმი, დეკონსტრუქტივიზმი, პოსტმოდერნიზმი, რეცეპტიული ესთეტიკა, ნარატოლოგია, მითოლოგიური კრიტიკა, ფენომენოლოგია, ფუნქციონალიზმი, ჩიკაგოს სკოლა, რეცეპტიული კრიტიკა, ბუფალოს კრიტიკოსთა სკოლა.

3. შეადგინეთ კომპიუტერული მოდელი: მხატვრული შემოქმედების მეთოდები და დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები.

4.შეადგინეთ კომპიუტერული მოდელი: ლიტერატურული მიმდინარეობები და დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები.

5. შეადგინეთ კომპიუტერული მოდელი: ლიტერატურულ ნაწარმოებთა თემა, ფაბულა, სიუჟეტი, კომპოზიცია და დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები.

6. შეადგინეთ კომპიუტერული მოდელი: მხატვრული ენის შემადგენელი ნაწილები და დაურთეთ ენციკლოპედიური განმარტებები.

7. შეარჩიეთ კონკრეტული მაგალითები სხვადასხვა მოდელების ველებში შეტანილი მასალისათვის.

შენიშვნები

მიხეილ ბახტინი (1895-1975) – ცნობილი რუსი ფილოსოფოსი და ლიტერატურათმცოდნე. მისი ნაშრომების ძირითადი იდეა კონცენტრირებულია *დიალოგიზმში.* იგი თვლიდა, რომ სისტემა *ლიტერატურის* ელემენტების გამაერთიანებელი არის დიალოგური ურთიერთობა, რომელიც აყალიბებს ჯრის წარმოქმნის უნარის მქონე კომუნიკაციურ სისტემას. მისი მთავარი თეზისია ის, რომ ჯრისადმი მიმართება ყოველთვის დიალოგურ ხასიათს ატარებს.

მნიშვნელოვანი ნაშრომებია: *დოსტოევსკის პოეტიკის პრობლემები; ლიტერატურისა და ესთეტიკის საკითხები; ფრანსუა რაბლეს შემოქმედება და შუასაუკუნეებისა და რენესანსის ხალხური კულტურა.*

ლ. ფონ ბერტალანფი (1901-1972) – ავსტრიელი თეორეტიკოსი ბიოლოგი. მან დაამუშავა სისტემებისა და მათი ელემენტების ქცევის ზოგადი პრინციპები.

ჰანს გეორგ გადამერი (1900-2002) – გერმანელი ფილოსოფოსი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჰერმენევტიკის კვლევის მიზანს არ წარმოადგენს *გაგების* მეთოდის შექმნა, არამედ *გაგების* თანმხლები პირობების გამოვლენა. იგი ხელს უწყობდა მხატვრული ტექსტების განმარტების ხელოვნების სამეცნიერო დისციპლინად – ლიტერატურულ ჰერმენევტიკად ჩამოყალიბებას.

მისი სერიოზული გამოკვლევაა *ჭეშმარიტება და მეთოდი*, რომელიც თანამედროვე ჰერმენევტიკის განვითარების ახალ ეტაპად იქცა.

ალექსანდრე დიმა – ცნობილი რუმინელი ლიტერატურათმცოდნე. მას აქვს მნიშვნელოვანი ნაშრომები კულტურის ფილოსოფიაში, ესთეტიკის ისტორიაში, ლიტერატურის ისტორიასა და თეორიაში. ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში მან დიდი წვლილი შეიტანა კომპარატივისტიკის განვითარებაში.

მისი მნიშვნელოვანი ნაშრომი კომპარატივისტიკის დარგში არის *შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრინციპები.*

ალექსანდრე ვესელოვსკი (1838-1906) — გამოჩენილი რუსი მეცნიერი. იგი აღიარებდა მსოფლიო ლიტერატურის განვითარების ზოგადსაკაცობრიო პრინციპს და უპირატესად ისტორიულ-შედარებით მეთოდს იყენებდა.

მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია *ისტორიული პოეტიკა.*

დიმიტრი ლიხაჩოვი (1906-1999) – ცნობილი რუსი ლიტერატურათმცოდნე, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი. მოღვაწეობდა ასევე რუსული ლიტერატურის ინსტიტუტში (პუშკინის სახლი). იგი კომპლექსურად იკვლევდა ლიტერატურის, ფოლკლორის, ხელოვნების, სოციოლოგიისა და სხვა პრობლემებს.

მნიშვნელოვანი გამოკვლევებია: *ადამიანი ძველი რუსეთის ლიტერატურაში; ანდრია რუბლიოვისა და ეპიფანე ბრძენის დროინდელი რუსული კულტურა; ტექსტოლოგია; ძველი რუსული ლიტერატურის პოეტიკა...*

არნოლდ ჯოზეფ ტოინბი (1889-1975) – ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი. მისი აზრით, არ არსებობს კაცობრიობის ერთიანი ისტორია, არსებობს მხოლოდ თავისებური და დახშული ცივილიზაციების ისტორია და თითოეული მათგანი გადის წარმოშობის, ზრდის, მსხვრევისა და ხრწნის სტადიებს, რის შემდეგაც ქრება და ადგილს უთმობს ახალ ცივილიზაციას. ცივილიზაციის განვითარების მამოძრავებელი ძალაა *შემოქმედებითი უმცირესობა*, რომელსაც თავისი გზით მიჰყავს *ინერტული უმრავლესობა*.

ტოინბის აღიარება მოუპოვა ფუნდამენტურმა ნაშრომმა *ისტორიის გამოკვლევა (ტ.1-12, 1934-61წწ.)*.

ფრიდრიხ დანიელ ერნსტ შლაიერმახერი (1768-1834) – გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი, თანამედროვე ჰერმენევტიკის ფუძემდებელი, ჰალესა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი. იენელ რომანტიკოსებთან მისი ახლობლობა ასახულია ნაშრომში *საუბრები რელიგიაზე*. შემოქმედებითი აქტის მისეული გააზრებაა, როცა პირველსაწყისი იმპულსის სახით გვევლინება არაცნობიერი.

ფილოსოფიური ჰერმენევტიკის ძირითადი დებულებანი შლაიერმახერმა ასახა ტრაქტატებში: *ჰერმენევტიკა; დიალექტიკა; კრიტიკა*.

გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელი (1770-1831) – კლასიკური გერმანული ფილოსოფიის ღვაწლმოსილი წარმომადგენელი. განვითარების ცნებაზე დაყრდნობით მან შექმნა დიალექტიკის თეორია, რომლის მიხედვითაც აზრი პირველი უმარტივესი ცნებიდან აუცილებლობით გადადის საპირისპირო ცნებებზე, თეზისიდან – ანტითეზისზე. მესამე საფეხური კი თეზისისა და ანტითეზისის გაერთიანებაა სინთეზის საფუძველზე. ერთი ციკლის დასრულებით დასაბამი ეძლევა ახალ ციკლს.

ჰეგელის ძირითადი ნაშრომებია: *გონის ფენომენოლოგია; ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია;* ლიტერატურასა და ხელოვნებას ეძღვნება *ესთეტიკა*.

ერიკ დონალდ ჰირში (1928-?) – თანამედროვე ლიტერატურული ჰერმენევტიკის გამოჩენილი წარმომადგენელი, ვირჯინიის უნივერსიტეტის პროფესორი. მისთვის განმარტების დანიშნულებაა ის, რომ ტექსტის ნიშნობრივი სისტემიდან უნდა შეიქმნას უფრო მეტი, ვიდრე მისი ფიზიკური არსებობაა, კერძოდ, მისი მნიშვნელობა.

მისი გამოკვლევები წარმოდგენილია შრომებში: *ინტერპრეტაციის უტყუარობა; ჰერმენევტიკის სამი განზომილება; ინტერპრეტაციის მიზნები*.

ბიბლიოგრაფია

თ. გამყრელიძე, საქართველო ევროპა, თუ აზია? გაზ. ლიტერატურული საქართველო, 4-10 ივლისი, N27, 2003.

ვაჟა-ფშაველა, კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, წიგნში *ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990.*

ვაჟა-ფშაველა, კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი, წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1990.

ვაჟა-ფშაველა, PRO DOMO SUA წიგნში: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1990.

გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, თბ., 2002.

ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული «ვეფხისტყაოსანში», თბ., 1993.

Э.А. Араб-Оглы, К критике культурно-исторической концепции Арнольда Тойнби, Вестник истории мировой культуры, 1957, №4, ст. 3-22.

Макс Верли, Общее литературоведение, перевод с немецкого, М.,1957.

Гегель Г., Энциклопедия философских наук. Философия духа, М., 1977.

А. Дима, Принципы сравнительного литературоведения (пер. с рум.), М., 1977.

Ю.Б. Козловский, Концепция восточной культуры Нисида Китаро, Вестник истории мировой культуры, 1961, №2, с.36.

Лихачев Д.С., Древнеславянские литературы как система. – В кн. Славянские литературы. VI Международный съезд славянистов, Прага, август, 1968.

Лотман Ю.М., Структура художественного текста, М., 1970.

Неупокоева И.Г., История всемирной литературы. Проблемы системного и сравнительного анализа, М., 1976.

Ш. Нуцубидзе, Руставели и Восточный Ренессанс, Тб., 1967.

Сент-Бёв Ш.О., Шатобриан в оценке одного из близких друзей в 1803г. // Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX вв. Трактаты. Статьи. Эссе / Сост., общ. ред. Г.К. Косикова, М., 1987.

Тэн И., История английской литературы. Введение // Зарубежная эстетика и теория литературы XIX-XX вв. Трактаты. Статьи. Эссе /Сост., общ. ред. Г.К. Косикова, М., 1987.

Толстой А.Н., Собр, соч, в 10-ти томах., М., 1961, т.10.

Швейцер А.Д., Теория перевода. Статус, проблемы, аспекты, М., 1988.

G. Se Boyar, Outline of Literature, v. 2. New York and London, 1929.

H.W. Eppelsheimer, Handbuch der Weltliteratur, Frankfurt a. M., 1947.

J. Hankiss, Littérature universelle?, "Helicon. Revue internationale des problèmes généraux de la littérature", Budapest, 1938, t.1.

A. Guerard, Preface to World Literature, New York, 1940, p.16.

A. Guerard, Comparative Litrature?, Yearbook of Comparative and General Literature, 1958, VII, p.3.

Histoire générale des littératures, t.I, Paris, Quillet, 1961, p.1.

E. Laaths, Geschichte der Weltliteratur, München, 1953.

R. Lavalette, Literaturgeschichte der Welt, Zürich, 1948.

P. van Tieghem, Vers une Histoire Synthetique de la littérature moderne, "Helicon. Revue internationale des problems généraux de la littérature", 1938, t. I.

E. von Tunk, Illustrierte Weltliteratur – Geschichte. Bd. I. Zürich, 1954

K. Vivian, Vepkhistqaosani: Elements From Eastern and Western Cultures, Bedi Kartlisa, revue de Kartvélologie, vol. XXXIX, Paris,1981.

R. Wellek and A. Warren, Theory of Literature, 1956.